ლელო

№037
(12 107)

15 თებერვალი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი

### დიდი სტუმრის მოლოდინში

# პლატინი მოდის

დავით ცაბაძე

უეფას ახალი პრეზიდენტი მიშელ პლატინი სიტყვის კაცია. ჯერ კიდევ არჩევნებამდე, მან პირობა მისცა ნოდარ ახალკაცს, რომ პირველი სამუშაო ვიზიტი თბილისში ექნებოდა. უკვე გამარჯვების შემდეგ კი დაადასტურა, რომ დანაპირებს აუცილებლად შეასრულებდა. და აი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ პლატინი საქართველოს 7 მარტს ეწვევა. თბილისში ის ერთ დღეს დაყოფს და 8 მარტს გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ პლატინი ორი წლის წინაც (სხვათა შორის, მაშინაც მარტის თვეში) იყო საქართველოში. 30 მარტს ის საქართველო-თურქეთის შესარჩევ მატჩს დაესწრო. ამ ვიზიტის დროს ფრანგი მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდა. საინტერესოა, ამჯერად თუ შედგება პლატინისა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა. ფეხბურთის ფედერაციის ინტერესშიცაა, რომ ეს შეხვედრა კიდევ გაიმართოს. თუმცა მოსიე მიშელის ვიზიტის დეტალები ჯერ არ დაზუსტებულა.

ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა "ლელოსთან" კომენტარში განმარტავს:

"მისი ვიზიტის პროგრამას უეფადან ერთ კვირაში მივიღებთ. ბუნებრივია, ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული მონახაზი და წინადადებები, რომელსაც უეფას ხელმძღვანელობასთან შევათანხმებთ და მერე უკვე ყველა დეტალი გვეცოდინება".



ორი წლის წინ, თბილისში. სააკაშვილისა და პლატინის შეხვედრა.

კიდევ ნახავს მიშელი მიხეილს?

UEFA CUP

## პირველი მატჩები ქართველების გარეშე

ვერდერმა, პსჟ-მ და ესპანიოლმა თითქმის გაინაღდეს

უეფას თასი. 1/16 ფინალი. ტექნიკური შედეგები

15

● ფეხბურთი



## გლაზგოში მოგება შეიძლება

ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

2

## გავიხსენოთ უელსი?

ბრიტანელები სპარინგს გვთავაზობენ

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

## საქართველომ რეიტინგში ცვლილება შეიტანა

3

## გოგუა: სპარტაკი თუ ტომი?

4

### პლატინის ახალი იდეა

## ვითამაშოთ ხუთი მსაჯით

6



3

## ამნისტია ცხადაძეს

## ესპანელებს რატომ არ უჩივლე, ბიჭო?



უკრაინელებმა დემეტრაძეს შეუტიეს

4

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge



უჩა უგულავა

ეროვნული ნაკრები

# ესპანეთი და უკვე უელსიც

რაკი ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვა ეჭვქვეშ დადგა, ფეხბურთის ფედერაციამ ალტერნატიულ ვარიანტზე დაიწყო მუშაობა. როგორც გუშინ გამცნეთ, მიმდინარეობს მოლაპარაკება ესპანურ მხარესთან, რათა 22 აგვისტოს თბილისს "სელექსიონი" ესტუმროს. პრინციპში, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაცია წინააღმდეგი არ არის და ვნახოთ, რას მოგვიტანს მოლაპარაკებები. გამოჩნდა სხვა ვარიანტიც. როგორც შევიტყვეთ, ესპანელთა გარდა, უელსსაც სურს ჩვენთან ამხანაგური შეხვედრის ჩატარება. ეს ინფორმაცია გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამაც** დაგვიდასტურა.

*"ეს მიღებული წესია, როცა ერთი თარიღის ფარგლებში მუშაობა რამდენიმე ვარიანტზე მიდის. დიახ, ესპანელთა გარდა, უელსელებსაც სწადიათ საქართველოსთან თამაში. ბუნებრივია, ყველაფერი ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან უნდა შეთანხმდეს. განვიხილავთ და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ".*

აქვე გავიხსენოთ, რომ უელსთან ორი დიდებული მატჩი გვაქვს ჩატარებული. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ბრიტანელებს 6 ქულა ავართვით. 1994 წლის 16 ნოემბერს, თბილისში, **გიორგი ქინქლაძის, შოთა არველაძის, გოჩა გოგრიჭიანის** თითო გოლისა და **თემურ ქეცბაიას** დუბლის წყალობით, უელსელები 5:0 დავამარცხეთ. 1995 წლის 5 ივნისს კი, კარდიფში, ქინქლაძის ფანტასტიკური გოლის წყალობით, 1:0 გავიმარჯვეთ.

**დავით ცაბაძე**

21-წლამდელთა ნაკრები. შესარჩევი ციკლი

# პირველი ორი ჩვენია

21-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შედეგები მკითხველისთვის უკვე ცნობილია. საქართველოს ნაკრები მეოთხე ჯგუფში ესპანეთთან, რუსეთთან, პოლონეთთან და ყაზახეთთან ერთად მოხვდა. რაც შეეხება კალენდარს, გუშინდელ ნომერში მხოლოდ ჩვენი გუნდის განრიგი გაგაცანით. დღეს მას სრული სახით შემოგთავაზებთ:

| | |
|---|---|
| 05.06.2007 | **საქართველო-ესპანეთი** |
| 22.08.2007 | **პოლონეთი-საქართველო** |
| 07.09.2007 | **საქართველო-ყაზახეთი**, რუსეთი-პოლონეთი |
| 11.09.2007 | **ესპანეთი-საქართველო**, პოლონეთი-ყაზახეთი |
| 12.10.2007 | პოლონეთი-ესპანეთი, რუსეთი-ყაზახეთი |
| 16.10.2007 | **ყაზახეთი-საქართველო**, პოლონეთი-რუსეთი |
| 16.11.2007 | ესპანეთი-პოლონეთი |
| 20.11.2007 | **საქართველო-რუსეთი** |
| 26.03.2008 | ესპანეთი-ყაზახეთი |
| 20.08.2008 | ყაზახეთი-პოლონეთი, რუსეთი-ესპანეთი |
| 05.09.2008 | **რუსეთი-საქართველო**, ყაზახეთი-ესპანეთი |
| 09.09.2008 | ესპანეთი-რუსეთი |
| 10.09.2008 | **საქართველო-პოლონეთი** |

აქ საგულისხმო ის გახლავთ, რომ ქართველ 21-წლამდელებს 8 მატჩიდან 6 ამ წელს უწევთ და მხოლოდ ორი გაისად. აქედან გამომდინარე, თუ ყველაფერი კარგად იქნა, 2008 წლის ორივე მატჩი (რუსეთთან სტუმრად, პოლონეთთან შინ) ჩვენი გუნდისთვის გადამწყვეტი იქნება.

**დავით ცაბაძე**

# მსაჯთა სამზადისი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებისთვის უკეთ მოსამზადებლად, ქართველი მსაჯები ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" გადიან შეკრებას, სადაც თეორიულ ცოდნას ილრმავებენ, ფიზიკურად კი ფიზკულტურის აკადემიის სტადიონის სარბენ ბილიკებზე ემზადებიან. სასწავლო შეკრებას ყოფილი მსაჯები და ფიზმომზადების პროფესორ-მასწავლებლები უძღვებიან.

ფიზიკურ მომზადებაში ტესტირება 16 თებერვალს ჩატარდება, თეორიული გამოცდა კი – მეორე დღეს. 20-21 თებერვალს ფედერაციაში მსაჯთა და დამკვირვებელთა სემინარია დაგეგმილი. სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 50 მსაჯი გადის.

აქვე გაცნობებთ, რომ მსაჯთა აკადემიამ მიღება გამოაცხადა. სასწავლებელში ჩარიცხულთათვის სწავლა უსასყიდლო იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

# გლაზგოში მოგება შეიძლება

## ნაკრებზე, კლუბზე, ტრანსფერებსა და ბლოხინის ულტიმატუმზე

**დავით კვირკველია ერთ-ერთია უკრაინაში წარმატებით მოთამაშე ქართველთაგან. თურქეთთან მატჩის შემდგომ ფეხბურთელი სამშობლოში დარჩა მცირე ხნით და უკრაინისკენ გეზი გუშინ აიღო. ჩვენც დრო ვიხელთეთ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს არაერთ საინტერესო საკითხზე დავეკითხეთ. საუბარი კი განვლილი მატჩით დავიწყეთ.**

- გარდა იმისა, რომ ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები აკლდნენ, სხვა პრობლემაც გვაწუხებდა. ფეხბურთელების ნაწილი ამ პერიოდში მოსამზადებელ შეკრებას გადის და ამ მატჩისთვის ოპტიმალურ ფორმაში არ იყო. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ძალიან რთულ თამაშს ველოდით და ასეც იყო. მიუხედავად ამისა ჩვენი შრომა დაფასდა და ამხანაგური, მაგრამ მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ.

**- საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- რომ ვთქვა ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო, ან ცუდად ვითამაშე-თქო არცერთ შემთხვევაში არ ვიქნები მართალი. კლუბში შეკრებაზე აქცენტი ჯერ მხოლოდ ფიზიკურ კონდიციებზე გვაქვს გადატანილი. შესაბამისად, ჩვეულ ფორმაში ჯერ არ ვარ. თუმცა თურქეთთან მატჩში მაინც ნორმალურად ვითამაშე. მეორე ტაიმში დაღლილობა დამეტყო, ამას მიკროტრავმაც დაემატა და შეცვლა ვითხოვე.

**- მატჩის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა რა გითხრათ?**

- ყველას მადლობა გადაგვიხადა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ჩამოვიდა გუნდთან და ყველას მოგვილოცა წარმატება. ყველანი ბედნიერები ვიყავით, რომ გავიმარჯვეთ და ხალხი გავახარეთ.

**- მატჩამდე რა მითითებები მოგცათ ნაკრების თავკაცმა?**

- მეტოქე საფუძვლიანად გაგვირჩია. ამას გარდა მატჩის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი. მართალია, ეს ამხანაგური მატჩია, მაგრამ გენერალური რეპეტიციაა შესარჩევი ციკლის წინ და სხვა დატვირთვა აქვსო. სხვათა შორის, ტოპმიოლერმა საუბარში პატრიოტულ მოტივსაც ხაზი გაუსვა, რაც ყველას ძალიან გვესიამოვნა.

**- ნაკრების განვლილ მატჩებს რომ გადავხედოთ გული რაზე გწყდებათ?**

- უკრაინაში წაგებაზე. ფრე კი არა, მოგება გვეკუთვნოდა, მაგრამ რას ვიზამთ. ასეთია ფეხბურთი და რაც არ უნდა ვამტკიცოთ, წარსულს ველარ შევცვლით. უბრალოდ მკითხეთ და იმიტომ გავიხსენე ეს მატჩი...

ასევე, გული მწყდება იტალიასთან საშინაო მატჩზეც. მხოლოდ მაშინ დაგვჯაბნეს, როცა კაცნაკლულები დავრჩით მოედანზე. ერთადერთი ვისთანაც თამაშის მიხედვით უშანსოდ ვიყავით, ეს საფრანგეთის ნაკრები იყო.

**- შესარჩევ ციკლს შოტლანდიასთან გასვლითი მატჩით განვაახლებთ. მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- უკრაინელებმა როგორც მითხრეს, სქოთებს კარგი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ მათთან მატჩში. რამდენადაც ვიცი, შოტლანდია შინ უფრო უკეთ თამაშობს, ვიდრე სტუმრად. კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენზე უკეთესი ნაკრები ჰყავდეთ.

**- რა შედეგს ელით "ჰემპდენ პარკზე" გასამართ მატჩში?**

- ძნელია წინასწარ გადაჭრით რაიმეს თქმა. გააჩნია რა კონტინგენტით ვითამაშებთ გლაზგოში. მნიშვნელოვანი დანაკლისი თუ არ გვექნება, შოტლანდიელებთან თავისუფლად შეგვიძლია თამაში.

**- დღეისათვის გლაზგოში მხოლოდ მალხაზ ასათიანის თამაშია გამორიცხულიმის გარდა არავინ რომ არ დაგვაკლდეს, მაშინ რას ვიზამთ?**

- თუკი ასე იქნება, მაშინ მოგებაც შეგვეძლება. მინიმუმ ფრე მაინც. თუკი შოტლანდიას სწრაფ გოლს გავუტანთ, მერე ანგარიშის გაზრდაზე უნდა ვიზრუნოთ და საამისო შანსიც არაერთი გვექნება.

**- ნაკრებში ახალი გუნდის შენების პროცესი მიდის. ეროვნულის სტაჟიანი წევრი ხართ და მინდა გკითხოთ რამდენად გაიზარდა ჩვენი გუნდი შარშან გერმანულ-ავსტრიული შეკრებიდან დღემდე?**

- გუნდი რომ იზრდება ამაზე ორი აზრი არ არსებობს და ამას თითოეული გულშემატკივარი ხედავს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს ყველა მატჩის წინ 4-5 წამყვანი ფეხბურთელი აკლდება, ჩვენი გუნდი თამაშით არცერთ მეტოქესთან არ შერცხვენილა.

**- ანუ წლის ბოლომდე მოესწრება ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, მომდევნო შესარჩევ ციკლში ჯგუფიდან გასვლისთვის რომ ვიბრძოლოთ?**

- დიახ, პროგრესი სახეზეა და ვფიქრობ, ეს სრულიად შესაძლებელია. წინსვლა კვლავაც გაგრძელდება და მალე ბევრად უკეთესი შედეგებიც გვექნება.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. როგორ ემზადებით სეზონის მეორე ნახევრისთვის და რა მიზნებისთვის იბრძოლებს ზაპოროჟიეს "მეტალურგი"?**

- მეორე მოსამზადებელი შეკრება დავასრულეთ. გუნდი 10 თებერვალს დაბრუნდა ზაპოროჟიეში, 14 თებერვლიდან კი მესამე შეკრებას დავიწყებთ ანთალიაში. ნაკრებში ვიყავი გამოძახებული და კლუბმა მცირე ხნით გამათავისუფლა. თბილისშიც ამიტომ ვარ. ხვალ გუნდს ანთალიაში შევუერთდები.

რაც შეეხება მიზნებს, ჩვენი გუნდი ფაქტობრივად, სეზონის წინ ჩამოყალიბდა. პირველი წრე არცთუ ისე სახარბიელოდ, მე-12 ადგილზე დავამთავრეთ. მიზნად მე-7 ადგილზე გასვლა დაგვისახეს. კარგი იქნება, მეტსაც თუ შევძლებთ და ევროტურნირების საგზურს მოვიპოვებთ, მაგრამ ეს იოლი არ იქნება.

**- ოლეგ ბლოხინმა უკრაინაში ლეგიონერთა ლიმიტის შემცირებაზე ულტიმატუმიც კი წამოაყენა. ამას ის მოჰყვა, რომ შაშიაშვილსა და მჟავანაძეს ახალი გუნდის ძებნაზე მოუწევთ ზრუნვა. ბევრმა ეს უკრაინაში ქართველი ლეგიონერების შევიწროებად აღიქვა. ამას თქვენც ხომ არ გრძნობთ?**

- ორი მოსამზადებელი შეკრება გავიარეთ და ჩემს გუნდში მსგავსი რამ არ მიგრძვნია. მართალი გითხრათ, გამიკვირდა შაშიაშვილის, მჟავანაძისა და კანდელაკის ამბავი რომ გავიგე. ყველაზე მეტად კანდელაკის ამბავი გამიკვირდა, რადგან გუნდში წამყვანი ფიგურა იყო. ბლოხინის გაცხადებაც ვიცი, მაგრამ ასე იოლი არაა უკრაინაში ლეგიონერთა ლიმიტის დაწესება და უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობის შემცირება...

**- ასე რატომ ფიქრობთ?**

-ეს მთელი სისტემაა. უკრაინაში მოასპარეზე ლეგიონერებში მილიონებია გადახდილი. გუნდების მწვრთნელთა უმრავლესობას თამაში სწორედ ამ უცხოელებზე აქვს აგებული და გადაწყობა ასე იოლი არაა, ამას დრო დასჭირდება.

**- "მეტალურგში" კიდევ ერთი ქართველი, მცველი გიორგი ციმაკურიძეა. დაიტოვებს მას გუნდი?**

- გიორგი ოპტიმალურ ფორმაში არ იყო, მაგრამ რაც ითამაშა ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მერე ფეხის ტრავმამ შეაწუხა "გაგრასთან" მატჩში. რამდენადაც ვიცი, ციმაკურიძე მოსწონთ და იმედი მაქვს დაიტოვებენ კიდეც.

**- ირაკლი მოდებაძემ ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელება თუ მოასწრო?**

- მესამე მოსამზადებელ შეკრებაზე შემოგვიერთდება, მაგრამ, არა მგონია ჯერ სრული დატვირთვით შეძლოს ვარჯიში.

**- "მეტალურგს" ლადო ბურდულის გადაბირება უნდოდა. ეს საქმე რა სტადიაშია?**

- ამაზე ჯერ კიდევ ზაფხულში იყო საუბარი. "კრივბასთან" თამაშის შემდეგ, ჩვენს მწვრთნელებსა და კლუბის თავკაცებს ბურდული მოეწონათ და ამ საკითხზე ზამთარში გაგრძელდა საუბრები. თავად ლადოც არაა წინააღმდეგი, რომ ჩვენთან გადმოვიდეს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი მოლაპარაკებები ისევ მიდის თუ შეწყდა. უკრაინაში სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა და ვნახოთ, რა გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**




დავით კვირკველია (5)

ეროვნული ბიბლიოთეკა



კახა კალაძე

მეგობრების შეხვედრა

# კალაძემ მილანში შევჩენკო ნახა

## ...და რონალდოსთან ერთად ივარჯიშა

**კახა კალაძემ** ტრავმა მოირჩინა და ნელნელა უახლოვდება საფეხბურთო ბატალიებს. "ლივორნოსთან" მატჩს (2:1 "მილანის" სასარგებლოდ) მან სათადარიგოთა სკამიდან უცქირა. გუშინ "მილანის" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინებოდა, რომ კახა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. "მილანელოს" ბაზაზე ის **რონალდოსთან** ერთად გამოჩნდა. იტალიელ მიმომხილველთა მტკიცებით, ამ უქმეებზე კალაძე "სიენასთან" გასვლით მატჩში ითამაშებს.

იტალიურმა წყაროებმა ჩვენებური გუშინ სხვა საინტერესო მასალაშიც მოიხსენიეს. აი, რას წერს "გაძეტა დელო სპორტი": *"ანდრეი შევჩენკო, მეუღლე კრისტენ პაზიკთან ერთად, ბლიც-ვიზიტით მილანს ესტუმრა. მან იქ მხოლოდ რამდენიმე საათი დაჰყო, მაგრამ მეგობრებისა და ყოფილი თანაგუნდელების მონახულება მაინც მოასწრო. უფრო მეტიც, შევამ სოლფერინოზე მდებარე კახა კალაძის რესტორანშიც ივახშმა, ღამით კი საკუთარი თვითმფრინავით ლონდონში გაბრუნდა. კალაძის რესტორანში, ქართველ მასპინძელთან ერთად, ანდრეის პაოლო მალდინი და მისი მეუღლე ადრიანა დახვდა...*

*აეროპორტში გაგზავრებამდე, ტურატის ქუჩაზე, შევჩენკო და კალაძე თინეიჯერებივით კიბეებზე ჩამომსხდარნი კარგა ხანს საუბრობდნენ. ცხადია, ამ საუბრის დეტალები უცნობია. ალბათ, ძველმა თანაგუნდელებმა "მილანში" ერთად გატარებული წლები გაიხსენეს. ისინი ხომ დიდი ხნის მეგობრები არიან ჯერ კიდევ კიევის "დინამოდან".*

*თავად კალაძემ პრესას შემდეგი განუცხადა: "ანდრეი ახლა ჩინებულად გამოიყურება და ეს საუბრის დროსაც ვიგრძენი. გაცილებით თავდაჯერებული ჩანდა, ვიდრე "ჩელსიში" გადასვლის პირველ ხანებში. ჩვენ ახლო მეგობრები ვართ და მისმა ჩამოსვლამ, ბუნებრივია, ძალიან გამახარა".*

**დავით ცაბაძე**

ფიფას რეიტინგი





# საქართველომ ნაინია

გუშინ ფიფამ თებერვლის რეიტინგი გამოაქვეყნა. სასიამოვნოა, რომ საქართველოს ნაკრებმა, ბოლო მოგების შემდეგ, დიდი ნახტომი გააკეთა: თურქეთთან გამარჯვებამ წინ მთელი 9 საფეხურით წაგვწია. შედეგად, პოსტსაბჭოთა სივრციდან ლატვიას (6 პუნქტით უკან დაიხია) გავუსწარით, სხვათა შორის, პირველად ბოლო 7 წლის განმავლობაში. საერთოდ კი, ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებიდან საქართველოს უკრაინა, რუსეთი, უზბეკეთი, ბელარუსი, ლიტვა და მოლდოვა უსწრებენ.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ჯგუფიდან. იტალია ერთი საფეხურით დაწინაურდა, ბრაზილია ჩამოაქვეითა და ახლა რეიტინგს თავად უდგას სათავეში. საფრანგეთი ისევ მეოთხეზეა, უკრაინამ ორი ადგილით ნაინია, უახლოესმა მეტოქე შოტლანდიამაც გვარიანი ნახტომი გააკეთა: ექვსი საფეხურით წინ. პროგრესი აქვს ლიტვასაც: ოთხი ადგილით ზემოთ. ფარერები კი ორი პუნქტით ჩამოქვეითდა.

დაბოლოს, ფიფას ახალ რეიტინგში მოწინავე ათეულისა და ჩვენი ჯგუფის მეტოქეთა განლაგება ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| **1. (2) იტალია** | **1562** |
| 2. (1) ბრაზილია | 1540 |
| 3. (3) არგენტინა | 1535 |
| **4. (4) საფრანგეთი** | **1496** |
| 5. (5) გერმანია | 1459 |
| 6. (6) ინგლისი | 1330 |
| 7. (7) ჰოლანდია | 1312 |
| 8. (8) პორტუგალია | 1262 |
| 9. (10) ჩეხეთი | 1193 |
| 10. (12) ესპანეთი | 1161 |
| **11. (13) უკრაინა** | **1018** |
| **20 (26) შოტლანდია** | **854** |
| **72. (68) ლიტვა** | **435** |
| **86. (95) საქართველო** | **363** |
| **183. (181) ფარერები** | **31** |

*შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებულია წინა თვის რეიტინგში დაკავებული ადგილი.*

მეორე წრის წინ

სიონი

# ცხადაძე ამნისტირებულია

რამდენიმე დღის წინ, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნაზე იმსჯელეს. საერთო აზრით, ეს ნაბიჯი მიზანშეწონილი იქნებოდა. გარკვეული ფორმალობების გამო, მაშინ **კახა ცხადაძისთვის** სასჯელის შემსუბუქება ვერ მოესწრო, მაგრამ ითქვა, რომ საკითხი სეზონის განახლებამდე აუცილებლად გადაწყდებოდა.

გუშინ ალმასკომის წევრების სატელეფონო გამოკითხვის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ ცხადაძე სეზონის მეორე ნახევრიდან "სიონის" სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება, მისი დისკვალიფიკაცია კი ამიერიდან პირობითი იქნება. ალმასკომის ცამეტი გამოკითხული წევრიდან ამ გადაწყვეტილებას მხარი ცამეტივემ დაუჭირა. მანამდე ალმასკომის წევრები ცხადაძის ახსნა-განმარტებით ბარათს და ბოლნისური კლუბის შუამდგომლობას გაეცნენ.

გუშინვე "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ქიპაშვილმა** გვამცნო, რომ კრებაზე ბოლნისის გამგებელმა და კლუბის პრეზიდენტმა **გია არევაძემ** მწვრთნელ-ფეხბურთელებს მიზანი ნათლად ჩამოუყალიბა: ჩემპიონობა და თასი. თანაც, ამ ორი ტიტულის დაუფლება "სიონისთვის" პროგრამა-მაქსიმუმიც იქნება და პროგრამა-მინიმუმიც.

"ჩიხურასთან" 18 თებერვალს გასამართ პირველ სათასო დაპირისპირებას რაც შეეხება, უკვე გადაწყვეტილია, რომ დიდთოვლობის გამო, ეს მატჩი საჩხერეში ვერ გაიმართება. საჩხერელებს სარეზერვო ვარიანტებად ჭიათურა და გორი აქვთ შეგულებული და პროფლიგას თავის არჩევანს, ალბათ, დღეს აცნობებენ.

**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა ცხადაძე



ვასილ არუდაშვილი

კახეთი

# კახური ლაზარეთი

ბოლო ორი საკონტროლო მატჩი "კახეთმა" მეტად არადამაჯერებლად ჩაატარა. თელაველები ჯერ გურჯაანში განადგურდნენ თბილისის "მერანთან" (0:4), შემდეგ კი დედაქალაქში, "დინამოს" ბაზაზე ქართული ფეხბურთის ფლაგმანისგან ხუთი უპასუხო ბურთი მიიღეს.

გასაგებია, რომ ამ ორივე გუნდს "კახეთი" ბევრ კომპონენტში ჩამორჩება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა გარემოებებთან ერთად, თელაველთა თამაშს ტრავმების ეპიდემიამაც დაასვა დაღი.

"კახეთს" განსაკუთრებით დაცვის ხაზში აქვს პრობლემები. ლაზარეთში არიან **გერგიშვილი** და **მურველაშვილი**, ასევე ნახევარმცველი **ჩოთლაშვილი** და თავდამსხმელი **ძამუკაშვილი**. ტრავმა აწუხებს მეკარე **იაშვილსაც**, მაგრამ იმის გამო, რომ გუნდს მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს, მწვრთნელები ბოლომდე ტვირთავენ.

შექმნილი არასახარბიელო სიტუაციის გამო, მოედანზე დაბრუნებას ჩქარობს და ალბათ, მეორე წრის პირველივე ტურში ითამაშებს "კახეთის" მთავარი მწვრთნელი **ვასილ არუდაშვილი**. შეგახსენებთ, მან პირველი წრის მსვლელობისას ტრავმის გამო, ფეხბურთელობაზე დროებით უარი თქვა. მისგან განსხვავებით, დაზიანებები ვერ მოიშუშეს **ვეფხია ტარულაშვილმა** და **დავით ბურდულმა**, მათი მოედანზე ხილვა ამ ეტაპზე გამორიცხულია.

გასაგები მიზეზების გამო, "კახეთი" შემადგენლობის გაძლიერებას ვერ ახერხებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

არუდაშვილს კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრის ჩატარება სურს. ამის თაობაზე მოლაპარაკება ბოლნისის "სიონთან" მიმდინარეობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მერანი

# ძლიერი სამეული

დღეს "მერანი" ლაგოდეხურ შეკრებას დაასრულებს. თბილისში დაბრუნების წინ დედაქალაქელები, სავარაუდოდ, ამხანაგურად ლაგოდეხის გუნდს გაეჯიბრებიან.

მანამდე კი უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა ბოლნისის "სიონთან" კიდევ ერთი სპარინგი გამართეს და ამჯერად 1:0 გაიმარჯვეს. ჩემპიონების კარში გოლი 65-ე წუთზე **გაგა ბურჯანაძემ** გაიტანა თერთმეტმეტრიანით.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **სეფიაშვილი, თურქია, გრიგალაშვილი, ჯანგიძე, ოსიტაშვილი, კედელაშვილი, ა. ნოზაძე, ბურჯანაძე, ბესარაშვილი, ქემაშვილი, ნაკანი.**

შეცვლაზე **ტაბატაძე** და **გოგიჩაიშვილი** შევიდნენ.

როგორც ხედავთ, "მერანის" რიგებში **ამირან კედელაშვილმა, დავით ნაკანმა** და **არჩილ ნოზაძემ** ითამაშეს. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ეს სამეული მეორე წრეში გუნდის ღირსებას დაიცავს.

გამორიცხული არაა, "მერანი" კიდევ უფრო გაძლიერდეს. კლუბის ხელმძღვანელობა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას და თუ მათთან საერთო ენა გამონახა, "მერანი" კიდევ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გახდება.

მეორე წრის დაწყებამდე მწვრთნელებს, **სერგო კუტივაძესა** და **დავით ეჯიბიშვილს** ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარებაც სურთ. მიმდინარე ჩემპიონატში გუნდის მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება და მაქსიმალურად მაღალი საფეხურის დაკავება იქნება, მომავალი სეზონისთვის კი "მერანი" გაცილებით მაღალ მიზნებს შეეჭიდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩიხურა

# ვინ ითამაშებს საჩხერეში?

სეზონის განახლებამდე ორი დღე დარჩა, საჩხერის "ჩიხურა" კი კვლავაც გაურკვეველ მდგომარეობაშია. დაფინანსების საკითხი უახლოეს პერიოდში უნდა გაირკვეს. თუმცა უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი ვითარება უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებს საჩხერელთა მთავარ მწვრთნელ **ხვიჩა ქასრაშვილს** - სეზონის განახლებამდე ორი დღით ადრეც არ იცის, რომელი მოთამაშეების დამატებას მოახერხებს.

ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციით, "ჩიხურას" ხელმძღვანელობას რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის დამატება სურს: თბილისის "დინამოდან" **სერგი ორბელაძისა** და მეკარე **ზვიად სტურუასი**, "ამერიდან" კი **ამირან კედელაშვილისა** და **დავით სევასტოპულოსი**.

ხვიჩა ქასრაშვილმა ამ ინფორმაციაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: "*30 მოთამაშეს მაინც ველაპარაკეთ, მაგრამ ვინ ითამაშებს "ჩიხურაში", ეს დღემდე ჩვენც არ ვიცით. თუმცა ყველა მოთამაშის აყვანა ნაღდად არ გვიფიქრია.*"

იმედია, საჩხერის "ჩიხურა" ერთწლიანი გუნდების ბედს არ გაიზიარებს. თუმცა სადღეისო ვითარებით გუნდზე სწორედ ასეთი წარმოდგენა შეგექმნება.

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უკრაინელებმა დემეტრაძეს შეუტიეს

## ესპანელებს რატომ არ უჩივლე, ბიჭო?

"დემეტრაძის საქმეს" უკრაინული პრესა აქტიურად აშუქებს. იქაური "სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტებმა კომენტარი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს ჩამოართვეს.

აშკარაა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი, **გრიგორი სურკისი** დემეტრაძეზე გაბრაზებულია, რაც მისი კომენტარიდანაც ჩანს.

*"ჩვენ დემეტრაძეს თამაშს არ ვუკრძალავთ.* უკრაინაში გადმოსვლის *დროს, მან მუშაობის უფლება მიიღო. ზუსტად ასეთ ვითარებაში იყო ესპანეთშიც, სადაც ძირითად შემადგენლობამდე ვერ "ქაჩავდა" და ხშირად ვერ თამაშობდა. დონეცკის "მეტალურგმა" წლეულს ძალიან ბევრი ლეგიონერი დაიმატა და მისმა ხელმძღვანელმა არ იცის, ამდენ უცხოელს რა მოუხერხოს. ამჟამად თამაშის უფლება რვა ლეგიონერს აქვს. ეს თავად დემეტრაძის პრობლემაა, რვა კაცშიც თუ ვერ ხვდება. ეტყობა, დონეცკის "მეტალურგში" არასტაბილურად მოთამაშემ ჩათვალა, რომ თერთმეტ უცხოელში მას ძირითადში ადგილი გარანტირებული ექნება. საინტერესოა, რატომ არ მიმართა მან ესპანეთის სასამართლოსაც, როდესაც "რეალ სოსიედადის" შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა? პირენეებზე ხომ საერთოდ დრაკონული ლიმიტია: არაევროკავშირიდან გუნდში მხოლოდ სამ ფეხბურთელს ათამაშებენ. ისე კი, დარწმუნებული ვარ, პროცესს აუცილებლად მოვიგებთ"* – ამბობს სურკისი.

მისმა მოადგილემ, ვიცე-პრეზიდენტმა **სერგეი სტოროჟენკომ** დიპლომატია საერთოდ დაივიწყა:*"ქართველი თავდამსხმელის ფიზიკური მომზადების დონე "მეტალურგის" მწვრთნელს არ აკმაყოფილებს. ის "რეალ-სოსიედადის" ძირითადშიც იშვიათად ხვდებოდა. მეჩვენება, რომ დემეტრაძე ჭანჭიკია იმ თამაშში, რომელიც თავად არაფერში სჭირდება. თუკი ის, საფეხბურთო მოედანის ნაცვლად, თამაშს სასამართლოს დარბაზში ამჯობინებს, გამოდის, კარიერა უკვე დაუსრულებია. მერწმუნეთ, პრობლემის არსი ლიმიტში არაა. თუკი თამაში არ იცის, წავიდეს და კრემჩატიკი დაგავოს".*



გოგიტა გოგუა

# სპარტაკი თუ ტომი?

**გოგიტა გოგუა** მოსკოვში დღე-დღეზე თავისი ახალი კლუბის გარკვევას შეეცდება. მას **ანდრეი ჩერვიჩენკომ** უნდა უთხრას თუ სად გაანათხოვრებს.

თუმცა არც ისაა გამორიცხული, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა კარიერა ნაცნობ კლუბში გააგრძელოს. მას ნალჩიკის "სპარტაკის" ხელმძღვანელობა დაბრუნებას სთხოვს. გაზეთ "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, ნალჩიკელები ქართველი ნახევარმცველის მენეჯერთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

*"თუკი კლუბი კომპრომისს მიაღწევს იმ ხალხთან, რომლებიც გოგუას ინტერესებს წარმოადგენენ, ფეხბურთელი "სპარტაკს" სოჭის შეკრებაზე გაჰყვება. ეს მოსამზადებელი ეტაპი 20 თებერვლიდან 2 მარტამდე გაგრძელდება"*, - იუწყება რუსული გაზეთი.

ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად გოგიტას ორი კლუბი იწვევს - ნალჩიკის "სპარტაკი" და ციმბირული "ტომი". ყაბარდო-ბალყარეთში მისი დაბრუნება მართლაც არაა გამორიცხული, მაგრამ "ტომი" გაცილებით მეტად აქტიურობს და ნახევარმცველს უკეთეს პირობებსაც სთავაზობს. ამდენად, მისი "ტომში" წასვლა უფრო რეალურად ჩანს.

გოგიტა ჩერვიჩენკოს დღეს ან ხვალ უნდა შეხვდეს და ალბათ საბოლოო პასუხსაც შეიტყობს.

# გიგაურის შანსი ლატვიაში

თბილისის "დინამოს" მცველი **დავით გიგაური** თურქეთშია და ამჯერად ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსის" რიგებში ვარჯიშობს.

დათომ ლატვიელებს სიდეში 12 თებერვალს ჩააკითხა, მეორე დღეს კი გუნდის მაისურა პირველად მოირგო. ლატვიელთა მეტოქე უკრაინული "ილიჩევეცი" იყო.

შეხვედრა ფრედ 3:3 დასრულდა. როგორც შევიტყვეთ, "ვენტსპილსის" მწვრთნელი **რომან გრიგორჩუკი** კმაყოფილი დარჩა ქართველის მომზადების დონით, თუმცა ეს ჯერ არაფერს ნიშნავს.

ლატვიელები სიდეში კიდევ ოთხ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ: რუსეთის "მეტალურგ-კუზბასთან" (15 თებერვალი), პოლონურ "აკრასთან" (17 თებერვალი), უკრაინულ "კარპატთან" (21 თებერვალი), 19 თებერვლის მეტოქეს კი ახლა არკვევენ.

20 წლის ქართველს მწვრთნელები ამ მატჩებში დეტალურად დააკვირდებიან და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

დათოს სასარგებლოდ ის ფაქტი შეიძლება გამოდგეს, რომ "ვენტსპილსიდან" ახლახან ლატვიის 2006 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, კამერუნელ **ჟან-პოლ ნდენკი** წავიდა. იგი ცენტრალური მცველი და გუნდის ლიდერი იყო. რომანჩუკი სწორედ მის შემცვლელს ეძებდა და გიგაური დაცვის ცენტრის პრობლემის მოსაგვარებლად ჩაიყვანა.

ერთი კურიოზი ამასთან დაკავშირებით "ვენტსპილსის" ოფიციალურ ვებგვერდზე ამოვიკითხეთ, სადაც "ილიჩევეცთან" მატჩის შემადგენლობა ეწერა, თუმცა ერთი მცველის პოზიციაზე გვარის ნაცვლად ეწერა - ფეხბურთელი, რომელიც გასინჯვაზეა. ამ ზოგადში გიგაური იგულისხმებოდა.

რომან გრიგორჩუკმა მატჩის შემდეგ გასასინჯ მოთამაშეებზე ისაუბრა: *"ჩამოსული ახალგაზრდები უდავოდ პერსპექტიულები არიან. მათზე კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. მართალია, ჯერ მათი მომზადება ძირითადში სათამაშოდ საკმარისი არაა, მაგრამ ამას მოევლება. აქედანვე გამოჩნდა, რომ ისინი თავის ლატვიელ კონკურენტებს ბევრად ალემატებიან. თითოეულ პოტენციურ ახალწვეულს ყურადღებით ვაკვირდებით, ვსწავლობთ მათ შესაძლებლობებს და საბოლოო დასკვნებსაც გამოვიტანთ."*

საბოლოო დასკვნების გამოტანას გრიგორჩუკი 21 თებერვალს, საკონტროლო შეხვედრების შემდეგ აპირებს

# ალადაშვილმა გაიტანა

ისრაელში შეკრებაზე იმყოფება კიევის "დინამო", რომლის ძირითად გუნდში დამკვიდრებას ცდილობს **კახა ალადაშვილი**. ქართველი მცველი "დნეპრიდან" საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნდა კიეველთა კლუბს, თუმცა ჯერ ცხადი არაა, თუ სად გააგრძელებს ალადაშვილი თამაშს. "დინამოს" მწვრთნელმა **ანატოლი დემიანენკომ** მას შანსი მისცა, შეკრებაზე წაიყვანა და ქართველიც ერთობ მოწადინებულია. კიეველებმა ჯერ თელ-ავივის "მაკაბი" დაამარცხეს 2:0, ამ მატჩში ალადაშვილი მოედანზე 72-ე წუთზე შევიდა და ერთი სახიფათო ჩაწოდებაც განახორციელა. გუშინ "დინამოს" მეტოქე შედარებით სუსტი, თუმცა უმაღლესი ლიგის "ჰაკოახი" იყო. უკრაინელებმა 7:0 მოიგეს, ბოლოსწინა გოლი "ჰაკოახის" კარის ბადეში სწორედ ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა. კახა მოედანზე **ნინკოვიჩის** ნაცვლად შევიდა. 73-ე წუთზე მან დაახლოებით შვიდი მეტრიდან გაუტანა მეტოქეს. ეს კიეველთა ბოლო საკონტროლო მატჩი იყო ისრაელის შეკრებაზე.

# ხოჯავა ანჟიში ვარჯიშობს

რუსთავის "ოლიმპისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** მახაჩკალის "ანჟისთან" ერთად თურქულ შეკრებაზეა.

დაღესტნური კლუბი დღეს ანთალიაში შეკრებას ამთავრებს და 21 წლის ფეხბურთელის საკითხიც ახლო მომავალში გაირკვევა. "ანჟი" 13 თებერვალს ანთალიაში ლატვიის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან "დინაბურგს" შეხვდა და 1:2 წააგო. შეხვედრაში მონაწილეობა ხოჯავამაც მიიღო.

აღსანიშნავია, რომ "დინაბურგში" შეცვლაზე ორმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა - **გიორგაძემ და სვანიძემ**. ასეთი გვარის მოთამაშეებს აქ თამაშით კი ვიცნობთ, მაგრამ მათი ვინაობა არაა დაკონკრეტებული - ვინ არიან, რომელი კლუბიდან და ა.შ.



გოჩა ხოჯავა

# მელქაძე ყარაგანდის შახტიორშია

ლევან მელქაძემ ლუგანსკის "ზარია" მიატოვა, მაგრამ არა ანთალია. უკრაინულ კლუბთან გაურკვეველმა ვითარებამ აიძულა ვარჯიში ყაზახეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან ყარაგანდის "შახტიორში" გაეგრძელებინა.

მან უკვე საკონტროლო მატჩის ჩატარებაც მოასწრო ყარაგანდელთა რიგებში. 14 თებერვალს "შახტიორი" ბელარუსის "ნაფტანს" ამხანაგურად გაეჯიბრა და 2:1 მოუგო. მელქაძე მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე და მართალია, ბურთი არ გაუტანია, მაგრამ ორი საგოლე მომენტი შექმნა.

როგორც შევიტყვეთ, მელქაძეს კონტრაქტი ყარაგანდელთა ქართველმა პრეზიდენტმა **გრიგოლ ლორიამ** შესთავაზა.

მელქაძეს თავდასხმაში საკმაოდ ცნობილი კონკურენტი ჰყავს - "შახტიორში" მას ლატვიის ნაკრების თავდამსხმელი **მიხოლაპსი** დახვდა.

ამ კლუბში ლევანთან ერთად კიდევ ერთი ჩვენებური, ნახევარმცველი **გიორგი გაბიდაური** ითამაშებს. გუნდის გულშემატკივართა გამოკითხვით გიორგი და "შახტიორიდან" ბოლნისის "სიონში" გადასული **ვიტალი დარასელია** გასული წლის ყველაზე პოპულარულ მოთამაშეთა შორის დასახელდნენ. სამწუხაროა ისაა, რომ არც ერთ ქართულ კლუბს არ აღმოაჩნდა ის მინიმალური თანხა, რომლითაც საქართველოში ლევან მელქაძის დატოვება იქნებოდა შესაძლებელი.

ასე მიდიან ქართველები უცხოეთის არც ისე პრესტიჟულ ლიგებში. ამით კი საქართველოს ჩემპიონატი ზარალდება. საქართველოში რომ თამაშობდნენ მელქაძე, გაბიდაური, გოგობერიშვილი, ადამია, აბრამიძე, ინწკირველი, ტრაპაიძე, მუჯირი, თარხნიშვილი, კვარაცხელია, მანჩხავა და მსგავსნი, მერწმუნეთ, უფრო მაღალი დონის თამაშები იქნებოდა და სტადიონებზე გაცილებით მეტი მაყურებელიც მივიდოდა.

გვერდი მოამზადა მერაბ მამულაშვილმა

## მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯვრისწერის დაუვიწყარს დღეს ულოცავს საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ყაზანის "რუბინის" ფეხბურთელს **ლაშა სალუქვაძეს** და უსურვებს ბედნიერებას ოჯახთან ერთად.



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
პროფესიული ფეხბურთის ლიგა
www.pfl.ge

## საქართველოს 2006-07 წლების XVIII ეროვნული ჩემპიონატი. I ლიგა. II წრე

**XVIII ტური**
**27.02.2007 სამშაბათი**

გაგრა-მერცხალი
მალაროელი-მესხეთი
სამტრედია-ზესტაფონი 2
ოლიმპი-ამერი 2
მეშაქრე-ჩიხურა 2
გურია-სპარტაკი
დინამო 2-ნ.დინამო
მეშახტე-რაჭა
ვიტ ჯორჯია 2-მგლები

**XIX ტური**
**04.03.2007 კვირა**

სპარტაკი-მეშაქრე
ამერი 2-მეშახტე
რაჭა-სამტრედია
ნ.დინამო-მერცხალი
მგლები-გურია
ვიტ ჯორჯია 2-გაგრა
მესხეთი-დინამო 2
ჩიხურა 2-ოლიმპი
ზესტაფონი 2-მალაროელი

**XX ტური**
**11.03.2007 კვირა**

დინამო 2-ზესტაფონი 2
მალაროელი-რაჭა
სამტრედია-ამერი 2
მეშახტე-ჩიხურა 2
მეშაქრე-მგლები
გურია-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-სპარტაკი
გაგრა-ნ.დინამო
მერცხალი-მესხეთი

**XXI ტური**
**15.03.2007 ხუთშაბათი**

გურია-გაგრა
ვიტ ჯორჯია-მეშაქრე
მგლები-ოლიმპი
სპარტაკი-მეშახტე
ჩიხურა 2-სამტრედია
ამერი 2-მალაროელი
რაჭა-დინამო 2
ზესტაფონი 2-მერცხალი
მესხეთი-ნ.დინამო

**XXII ტური**
**19.03.2007 ორშაბათი**

გაგრა-მესხეთი
ნ.დინამო-ზესტაფონი 2
მერცხალი-რაჭა
დინამო 2-ამერი 2
მალაროელი-ჩიხურა 2
სამტრედია-სპარტაკი
მეშახტე-მგლები
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია 2
მეშაქრე-გურია

**XXIII ტური**
**25.03.2007 კვირა**

მეშაქრე-გაგრა
გურია-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 2-მეშახტე
სამტრედია-მგლები
სპარტაკი-მალაროელი
ჩიხურა 2-დინამო 2
ამერი 2-მერცხალი
რაჭა-ნ.დინამო
ზესტაფონი 2-მესხეთი

**XXIV ტური**
**01.04.2007 კვირა**

გაგრა-ზესტაფონი 2
მესხეთი-რაჭა
ნ.დინამო-ამერი 2
მერცხალი-ჩიხურა 2
დინამო 2-სპარტაკი
მალაროელი-მგლები
სამტრედია-ვიტ ჯორჯია 2
მეშახტე-გურია
ოლიმპი-მეშაქრე

**XXV ტური**
**05.04.2007 პარასკევი**

ოლიმპი-გაგრა
მეშაქრე-მეშახტე
გურია-სამტრედია
ვიტ ჯორჯია 2-მალაროელი
მგლები-დინამო 2
სპარტაკი-მერცხალი
ჩიხურა 2-ნ.დინამო
ამერი 2-მესხეთი
რაჭა-ზესტაფონი 2

**XXVI ტური**
**12.04.2007 შაბათი**

გაგრა-რაჭა
ზესტაფონი 2-ამერი 2
მესხეთი-ჩიხურა 2
ნ.დინამო-სპარტაკი
მერცხალი-მგლები
დინამო 2-ვიტ ჯორჯია 2
მალაროელი-გურია
სამტრედია-მეშაქრე
მეშახტე-ოლიმპი

**XXVII ტური**
**18.04.2007 ოთხშაბათი**

მეშახტე-გაგრა
ოლიმპი-სამტრედია
მეშაქრე-მალაროელი
გურია-დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2-მერცხალი
მგლები-ნ.დინამო
სპარტაკი-მესხეთი
ჩიხურა 2-ზესტაფონი 2
ამერი 2-რაჭა

**XXVIII ტური**
**22.04.2007 კვირა**

გაგრა-ამერი 2
რაჭა-ჩიხურა 2
ზესტაფონი 2-სპარტაკი
მესხეთი-მგლები
ნ.დინამო-ვიტ ჯორჯია 2
მერცხალი-გურია
დინამო 2-მეშაქრე
მალაროელი-ოლიმპი
სამტრედია-მეშახტე

**XXIX ტური**
**29.04.2007 კვირა**

სამტრედია-გაგრა
მეშახტე-მალაროელი
ოლიმპი-დინამო 2
მეშაქრე-მერცხალი
გურია-ნ.დინამო
ვიტ ჯორჯია 2-მესხეთი
მგლები-ზესტაფონი 2
სპარტაკი-რაჭა
ჩიხურა 2-ამერი 2

**XXX ტური**
**03.05.2007 ხუთშაბათი**

გაგრა-ჩიხურა 2
ამერი 2-სპარტაკი
რაჭა-მგლები
ზესტაფონი 2-ვიტ ჯორჯია 2
მესხეთი-გურია
ნ.დინამო-მეშაქრე
მერცხალი-ოლიმპი
დინამო 2-მეშახტე
მალაროელი-სამტრედია

**XXXI ტური**
**07.05.2007 ორშაბათი**

მალაროელი-გაგრა
სამტრედია-დინამო 2
მეშახტე-მერცხალი
ოლიმპი-ნ.დინამო
მეშაქრე-მესხეთი
გურია-ზესტაფონი 2
ვიტ ჯორჯია 2-რაჭა
მგლები-ამერი 2
სპარტაკი-ჩიხურა 2

**XXXII ტური**
**14.05.2007 ორშაბათი**

გაგრა-სპარტაკი
ჩიხურა 2-მგლები
ამერი 2-ვიტ ჯორჯია 2
რაჭა-გურია
ზესტაფონი 2-მეშაქრე
მესხეთი-ოლიმპი
ნ.დინამო-მეშახტე
მერცხალი-სამტრედია
დინამო 2-მალაროელი

**XXXIII ტური**
**18.05.2007 პარასკევი**

დინამო 2-გაგრა
მალაროელი-მერცხალი
სამტრედია-ნ.დინამო
მეშახტე-მესხეთი
ოლიმპი-ზესტაფონი 2
მეშაქრე-რაჭა
გურია-ამერი 2
ვიტ ჯორჯია 2-ჩიხურა 2
მგლები-სპარტაკი

**XXXIV ტური**
**23.05.2007 ოთხშაბათი**

გაგრა-მგლები
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა 2-გურია
ამერი 2-მეშაქრე
რაჭა-ოლიმპი
ზესტაფონი 2-მეშახტე
მესხეთი-სამტრედია
ნ.დინამო-მალაროელი
მერცხალი-დინამო 2

## მუჯირი და თარხნიშვილი დაზავდნენ



დავით მუჯირი

სამარის "კრილია სოვეტოვი" კვიპროსის კურორტ აიანაპაში რუსეთის ჩემპიონატის ახალი სეზონისთვის ემზადება. გუშინ რუსული კლუბი მოლდოვის ჩემპიონ "შერიფს" შეხვდა, მატჩი 1:1 დასრულდა. შეხვედრაში ქართული დერბი შედგა. მეორე ტაიმში **კოვბას** ნაცვლად **დავით მუჯირი** შევიდა მოედანზე, ტირასპოლელთა შორის კი სასტარტოში იყო გუნდის კაპიტანი და ლიდერი **ვაჟა თარხნიშვილი**. სხვათა შორის ერთი პერიოდი მუჯირი „შერიფის" ღირსებასაც იცავდა.

## გაგრა გაანადგურეს

უკრაინაში შეკრებაზე მყოფმა პირველი ლიგის "გაგრამ" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა, **გია გეგუჩაძის** შეგირდების მეტოქე უკრაინის უმაღლესი ლიგის "კრივბასი" იყო, სადაც ორი ქართველი ფეხბურთელი, **ლადო ბურდული** და **ვასილ გიგიაძე** ასპარეზობს. ერთი ტაიმი "გაგრა" ტოლსწორად ეთამაშა "კრივბასს", სამაგიეროდ მეორეში ოთხი გოლი გაუშვა და მხოლოდ ერთი გაიტანა - 1:4. უკრაინელთაგან დუბლი **ივაშჩენკომ** მიითვალა, თითო გოლი კი **როჟკოვმა** და **კოსტიშინმა** გაიტანეს. ქართველებმა პრესტიჟის გოლი სულ ბოლოს გაიტანეს. "კრივბასის" სასტარტოში ქართველთაგან მხოლოდ ლადო ბურდული იყო, ახლახან ტრავმამოშუშებული გიგიაძე შეცვლაზეც არ გამოჩენილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი, ნერგაძე, გიგაური | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ანთალია |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა, მალიჩავა, სამხარაძე | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა) | ბორჯომი |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | — | — |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი, ლობჟანიძე, ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კეველიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კეველიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# კრისტიანო: მივდივარ!

## მანჩესტერელი ვარსკვლავის სურვილი მისმა მეგობარმა გაახმაურა. უგო ვიანა კრისტიანოს ესპანეთში ელის

**კრისტიანო რონალდო** "მანჩესტერიდან" წასვლას აპირებს. ეს ინფორმაცია მისმა მეგობარმა, "ვალენსიის" 24 წლის ნახევარმცველმა **უგო ვიანამ** გაავრცელა. ვიანამ დაადასტურა, რომ რონალდოს ესპანეთში გადასვლა სურს. ფეხბურთელს "ბარსელონა" და "რეალი" ეპატიჟებიან. *"ის მანჩესტერში დიდხანს აღარ გაჩერდება. ინგლისელებს ძალიან გაუჭირდებათ მისი შენარჩუნება. რონალდომ ბევრი იშრომა და ძალიან მალე "იუნაიტედზე" გაცილებით დიდ გუნდში ითამაშებს,"* - განუცხადა ვიანამ "სანის" მიმომხილველს.

კრისტიანო ვიანას ერთი კვირის წინ, პორტუგალიის ნაკრების შეკრებაზე ესაუბრა. ისინი ბავშვობიდან მეგობრობენ. ორივე ლისაბონის "სპორტინგის" სკოლის აღზრდილია. *"ყველამ იცის, რომ თუ "ბარსა" ან "რეალი" რომელიმე ფეხბურთელის ყიდვას გადაწყვეტენ, ყოველთვის აღწევენ მიზანს. მე და მიგელმა ("ვალენსიის" კიდევ ერთი პორტუგალიელი ლეგიონერი) კრისტიანოს ვუთხარით, რომ ესპანური გაზეთები განუწყვეტლივ მის ტრანსფერზე წერდნენ. ის თავმდაბალი და ჩუმი ადამიანია, მაგრამ ნათელია, რომ ესპანეთში ჩამოსვლა სურს. "ბარსელონა", "რეალი" ან "ვალენსია" მისთვის იდეალური კლუბი იქნებოდა. რონალდო ძალიან სწრაფად გაიზარდა. ჩემი აზრით, რონალდინიოსა და დეკუსთან ერთად, ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში შედის."* - თქვა უგო ვიანამ.

"სანის" სტატიას მაშინვე გამოეხმაურა "იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კეიროში**. მას თანამემამულე ვარსკვლავთან ახლო ურთიერთობა აქვს. ამიტომ ინგლისელ მიმომხილველებს განუცხადა, დარწმუნებული ვარ, "იუნაიტედიდან" წასვლაზე არცკი უფიქრიაო: *"არ მესმის, რატომ უნდა გაცვალოს "მანჩესტერი" "რეალზე"? სპორტული თვალსაზრისით, მას არაფერი შეემატება. ის "იუნაიტედის" ოჯახის წევრია და ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ კლუბის ლეგენდარული ფეხბურთელი გახდეს."* **სერ ალექს ფერგიუსონს** რონალდოს თაობაზე არაფერი უთქვამს. გუშინ და გუშინწინ ის ტელე და ფოტოკამერების წინ არ გამოჩენილა.



კრისტიანო რონალდო

"მანჩესტერზე" საუბარს ამ ინფორმაციით დავასრულებთ: "სანის" მტკიცებით, ფერგიმ **რობინიოს** ტრანსფერზე დაიწყო ფიქრი. მას ბრაზილიელი თავდამსხმელის შეძენა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა ის "სანტოსში" თამაშობდა. ორი დღის წინ რობინიომ "რეალიდან" აბარგების სურვილი გამოთქვა. ამის მიზეზი მთავარ მწვრთნელთან უთანხმოებაა. ფაბიო კაპელო მას, ფაქტობრივად, არ ათამაშებს. რობინიომ თქვა, რომ თუ იტალიელი გაისადაც სამეფო კლუბში იმუშავებს, მას ახალი სამსახურის მოძებნა მოუხდება. რობინიოს თემას "გაძეტა დელო სპორტიც" ეხმაურება და ამბობს, რომ "რეალს" უკვე ორი გრანდი შეეხმიანა. ერთი "მანჩესტერ იუნაიტედია", ხოლო მეორე - "მილანი". "გაძეტას" მტკიცებით, "როსონერი" მზადაა, ფეხბურთელი 17 მილიონ გირვანქად გაყიდოს.

ბარსელონა. სკანდალი ჯერ არ დასრულებულა

# მოტამ ეტოო და რონალდინიო შეარიგა

## კამერუნელ ფორვარდს გული სტკივა, რომ პრობლემები გასახდელის ფარგლებს გასცდა, მისი აზრით, რონალდინიოს საყვედური სხვების დაუნახავად უნდა ეთქვა...

**სამუელ ეტოოს** გუშინწინდელი განცხადება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. უკვე იცით, რომ "ბარსელონის" ფორვარდმა მთავარი მწვრთნელისა და **რონალდინიოს** წინაალმდეგ გაილაშქრა. სამუს არ მოეწონა, რომ **ფრანკ რიიკაარდმა** "რასინგთან" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კონტექსტიდან ამოგლეჯილად თქვა, ეტოომ მოედანზე შესვლა არ ისურვა და ეს დიდი უპასუხისმგებლობააო. გაუჩოსგან კი მას დიდაქტიკური ტონი არ ესიამოვნა. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა თანაგუნდელს შენიშვნა მისცა, ყოველი ჩვენგანი, პირველ ყოვლისა, გუნდის ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდესო.

სამწუხაროდ, კამერუნელის აღშფოთებისა და მოედანზე შეუსვლელობის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. თავად ფეხბურთელმა თქვა, თუ გაინტერესებთ, რიიკაარდთან მიდით და ყველაფერს ის გეტყვითო. გუშინ "დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში კი გაურკვევლად ისაუბრა. თითქოს ის სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა და მოედანზე შეუსვლელობის მიზეზად ტრავმასთან დაკავშირებულ პრობლემას ასახელებდა. რა დასამალია, ამ ვერსიის თითქმის არავის სჯერა... ჟურნალისტებმა, რა თქმა უნდა, არ დაახანეს და ჰოლანდიელ სპეციალისტს სიმართლის გამოააშკარავება სთხოვეს. "ბარსელონის" დამრიგებელმა განაცხადა, რომ მიზეზი მისთვისაც უცნობია. ბუნებრივია, 21-ე საუკუნის ჟურნალისტები ინფორმაციულ ვაკუუმს ვერ შეეგუებოდნენ. უდავოა, რომ დაგროვებულ კითხვებს პასუხი მოენახება, მაგრამ სიმართლის თქმას არც ერთი მხარე არ ჩქრობს. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მაინც. ჩვენს კოლეგებს ისღა დარჩენოდათ, კონფიდენციალური წყაროების საშუალებით მეტად საინტერესო ინფორმაცია მოეძიებინათ. გუშინ ესპანურ მედიაში უამრავი მოსაზრება გამოითქვა. იმ კორესპონდენტებმა, რომლებსაც ინფორმატორები არ ჰყავთ, საკუთარი ანალიზი შემოგვთავაზეს. ასე მაგალითად, სააგენტო "ეფეს" წამყვანი ჟურნალისტი **ემილიო რიდრუეხო** მიიჩნევს: *"ეს ბომბის აფეთქება იყო. ერთი შეხედვით, ყველას ეგონა, რომ "ბარსაში" პრობლემები უბრალოდ არ არსებობდა, თუმცა სამუს გამოსვლის შემდეგ სულ სხვა რეალობა დავინახეთ. კატალონიურ გრანდში დიდი განხეთქილებაა. შესაძლოა, ეს დაპირისპირება თავად ეტოოს პროვოცირებული იყოს. ვინც ამ ბიჭს იცნობს, უკლებლივ ყველა დამეთანხმება, რომ დიდებული ადამიანია. სამუს უზარმაზარი გული აქვს. ის თავად სიკეთის განსახიერებაა, მაგრამ ამავდროულად ძალიან ფეთქებადი პიროვნებაა. მან უბრალოდ არ იცის, როგორ უნდა დაჯდეს სათადარიგოთა სკამზე. არადა, თითქმის ხუთთვიანი ტრავმის შემდეგ, ძნელია მწვრთნელმა პირდაპირ ძირითადში გიკრას თავი. ცხადია, რიიკაარდს წონადი არგუმენტები ჰქონდა, მაგრამ სამუმ ეს არ გაითვალისწინა და გაცხარდა."*

ასევე ფიქრობს "ელ მუნდოს" მესვეტე **ხესუს დიასიც**: *"ელემენტარულ ამპარტავნობასთან გვაქვს საქმე. ეტოომ ვერ აიტანა, რომ გამოჯანმრთელებისა და ვარჯიშის განახლების შემდეგ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში მოუხდა სათადარიგოთა სკამზე მოკალათება. რა თქმა უნდა, ის ბრიყვი არ არის, ვერ მიხვდეს, რომ ხანგრძლივი იძულებითი შვებულების შემდეგ ფორმაში არ მყოფი ფეხბურთელის დაყენებას არც ერთი მწვრთნელი გარისკავს. ეს მან ჩვენზე უკეთ იცოდა, მაგრამ ამპარტავნებამ სული შუხუთა და ის გააკეთებინა, რაც გააკეთა."*

კრიტიკულია, "რადიო მარკას" წამყვანი **მანუელ გონსალესიც**: *"სკანდალი ეტოოს მოწყობილია. "ბარსელონაში" არავინაა ისეთი იდიოტი, რომ სამუელის დარი ფორვარდი დაჩაგროს და ამით გუნდის შემტევი პოტენციალი მიზანმიმართულად დაასუსტოს. უბრალოდ, კამერუნელს ნერვები და მოთმინება არ ეყო. ხუთთვიანი მკურნალობის შემდეგ მან პირდაპირ თავდასხმის ხაზში დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ასე თითქმის არასოდეს ხდება. ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, რომ ამდენი ბოლმის გადმონთხევის შემდეგ კლუბში სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბება. ეტოომ ორი "ბარსელონაზე" ისაუბრა. თითქოს ერთ დაჯგუფებას მისადმი კარგად განწყობილი ხოან ლაპორტა ხელმძღვანელობს, მეორე ნაწილს კი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან დათხოვნილი სანდრო როსელი მართავსო. მან რონალდინიოსაც უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა. უბრალოდ ვერ წარმომიდგენია, რომ ამ დაძაბულობამ კვალი არ დატოვოს. "ბარსელონას" არსაიდან უდიდესი ქარიშხალი დაატყდა თავს".*

როგორც გითხარით, ხსენებულ ჟურნალისტებს ინფორმაცია არ ჰქონდათ და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებები წარმოაჩინეს. აი, კატალონიური ტელევიზიის ყოველკვირეული გადაცემის "ელ ლარგეროს" წამყვან **ხოსე რამონ დე ლა მორენას** კი სანდო წყაროებზე დაყრდნობით ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი შეატყობინეს. სენიორ დე ლა მორენამ პირდაპირ ეთერში საინტერესო განცხადება გააკეთა: *"ჩვენი თანამშრომელი "ბარსელონის" ერთ-ერთ მაღალჩინოსანს შეხვდა. გვთხოვა, მისი ვინაობა არ გავამხილოთ. რა თქმა უნდა, მიცემულ პირობას არ დავარღვევთ, თუმცა ეს არავის აძლევს საფუძველს, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციაში ეჭვი შეიტანოს. ეტოო ხოან ლაპორტას შეხვდა და დაძაბულობის მიზეზი გულწრფელად გაუმხილა. წინასწარი მოლაპარაკებით, ფრანკ რიიკაარდს ფორვარდისთვის მინიმუმ 20-30 წუთი უნდა მიეცა, მაგრამ მწვრთნელს დაავიწყდა და კამერუნელი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა საფინალო სასტვენამდე მცირე დრო იყო დარჩენილი. არადა, სამუელს ძალიან უნდა, რომ "ლივერპულთან" საჩემპიონთალიგო დუელს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს. "*

კატალონიის ტელევიზია ჭორების გავრცელებით არასოდეს იყო დაკავებული. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ სენიორ დე ლა მორენას დავუჯეროთ. ასევე აბსოლუტურად სანდოა "ანტენა ტრესის" მიერ გავრცელებული ცნობა, რომელიც ხოან ლაპორტასა და სამუელ ეტოოს შეხვედრის ფაქტს ეხება. დიახ, პრეზიდენტი და ფეხბურთელი დახურულ კარს მიღმა მაგიდას მიუსხდნენ და გულწრფელად ისაუბრეს. შეგახსენებთ, შეხვედრამდე ერთი დღით ადრე სენიორ ლაპორტამ აფრიკელს საჯაროდ დაუჭირა მხარი და განაცხადა, როგორც ჩანს, სამუს თავისი არგუმენტები ჰქონდა და მისი განკითხვა არასწორად მიმაჩნიაო. პრეზიდენტის თანადგომით ნასიამოვნებმა ფეხბურთელმა მას გული გადაუშალა. სამწუხაროდ, მხარეებმა საუბრის შინაარსის გამხელა არ ისურვეს. კატალონიური გრანდის უმაღლესმა ხელისუფალმა მხოლოდ ეს გაგვიმხილა: *"ვილაპარაკეთ. ერთმანეთს გულისყურით ვუსმენდით. ბოლოს სამუელმა მითხრა, რომ თუ მისი გამოსვლით კლუბს პრობლემები შეექმნება, გავყიდო და ამით ყველაფერი დასრულდება."*



დიდი შერიგება: სამუელ ეტოო და რონალდინიო გუშინდელ ვარჯიშზე

უეფა

# პლატინი ხუთ მსაჯს გვთავაზობს

## ახალი პრეზიდენტის პირველი ექსპერიმენტული იდეა...

უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** მიიჩნევს, რომ თუ საჯარიმო მოედნებს ცალკე არბიტრები გააკონტროლებენ, თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდება. ამ იდეამ წესით ისეთი შემთხვევები უნდა აღკვეთოს, როგორიც პრემიერლიგის ბოლო ტურში, "არსენალი"-"ვიგანის" მატჩისას (2:1) მოხდა. არბიტრ **ფილ დაუდის** შეცდომები საყოველთაო განხილვის საგანი გახდა. იმ დროს, როცა ანგარიში 0:1 იყო, "არსენალის" კარში 100-პროცენტიანი პენალტი არ დაინიშნა (**მატიო ფლამინიმ ემილ ჰესკი** წააქცია). ზუსტად ორ წუთში "მეთოფეებმა" საპასუხო გოლი გაიტანეს. მსაჯები იმ ეპიზოდშიც შეცდნენ, რადგან საჯარიმოში ჩაწოდებამდე (ამ ჩაწოდებას **ფრიტც ჰოლის** ავტოგოლი მოჰყვა) ფლამინიმ პასი თამაშგარეში მიიღო. ვიგანელთა თავკაცმა **პოლ ჯუელმა** რეფერი მაგრად გამოლანძღა. მართალია, მისი პრეტენზიები სამართლიანი იყო, მაგრამ საფეხბურთო ასოციაციამ მწვრთნელს მაინც სანქციები დააკისრა.

დავუბრუნდეთ ხუთი არბიტრის იდეას. 51 წლის პრეზიდენტი პროექტს განსახილველად აღმასკომს წარუდგენს. აღმასკომი კი მარტის შუა რიცხვებში, მანჩესტერში შეიკრიბება. უეფას ოფიციალური წარმომადგენლის კომენტარში ნათქვამია: *"ორით მეტი მსაჯი გაუგებრობებს ადვილად აღმოფხვრის. პლატინის არ სურს, ვიდეოტექნოლოგიების დანერგვით თამაშების მსვლელობა შეფერხდეს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ახალი სისტემები უნდა მოვსინჯოთ."* უფრო ადრე უეფას პრეზიდენტმა განაცხადა: *"არბიტრებს დახმარება სჭირდებათ. შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა ყველა წვრილმანი დაინახოს. სამაგიეროდ, თუ მოედნის ორსავე ნახევარზე თითო მსაჯს დავამატებთ, ხელოვნურ თამაშგარესთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგვარდება და იმ უხეშობებსაც მოევლება, რომელსაც ფეხბურთელები მთავარი არბიტრის ზურგს უკან სჩადიან."*

ბარსელონა. სკანდალი ჯერ არ დასრულებულა

# შერიგება ტაშის ფონზე

## რიიკაარდმა ლაპორტას უსაყვედურა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში **ეტოოს** სკანდალური პრესკონფერენციის შინაარსი დეტალურად გადმოგეცით. როგორც იცით, კამერუნელმა **რონალდინიოს** წინააღმდეგ მეტისმეტად აგრესიულად გაილაშქრა. "ბარსელონის" ფეხბურთელებმა თანაგუნდელთა დაპირისპირების ფაქტი ძალიან მტკივნეულად აღიქვეს და გამოსავლის ძიებას შეუდგნენ. მათ დაასკვნეს, რომ ვარსკვლავები უნდა შერიგებულიყვნენ. შუამავლის როლი **ტიაგო მოტამ** იკისრა. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რონალდინიო დაარწმუნა, რომ პირველი ნაბიჯი მას უნდა გადაედგა. გაუჩომ მოტას არგუმენტები დამაჯერებლად მიიჩნია და სავარჯიშოდ მისული ეტოოსკენ გაღიმებული დაიძრა. საბედნიეროდ, სამუელი, წინა დღისგან განსხვავებით, მშვიდად გამოიყურებოდა. მან შემხვედრი ნაბიჯი გადადგა. ერთ წამში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები ერთმანეთს გადაეხვივნენ. სენტიმენტალური სცენის შემხედვარე ბარსელონელებმა ტაში შემოსცხეს. შერიგებით ყველა ბედნიერი დარჩა. ერთადერთი, ვინც, ჯმუხი გამომეტყველებით იდგა, **ფრანკ რიიკაარდი** გახლდათ. ჰოლანდიელი უკმაყოფილოა, რომ შეგირდმა არცთუ კორექტული სიტყვებით მოიხსენია. ალბათ, ის ბოდიშს ელის, თუმცა ეტოო ის კაცი არ არის, უკან ასე იოლად დაიხიოს. ისე კი, სხვათა შორის, ზემოთნახსენებმა "ანტენა ტრესმა" კამერუნელისა და **ჩიკი ბეგირისტაინის** სატელეფონო საუბრის შესახებ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. თურმე, ფეხბურთელმა გენერალურ დირექტორს დაურეკა და განუმარტა, რომ მისი აგრესია არა რიიკაარდისადმი, არამედ რონალდიონიოსადმი იყო მიმართული. ვნახოთ, დააკმაყოფილებს თუ არა, ბატონ ფრანკს ეს განმარტება.

მანამდე "ბარსას" დამრიგებელი **ლაპორტამ** სადილზე დაპატიჟა. ბატონი ხოანი მას 20 წუთი ელოდა. რიიკაარდი იტალიურ რესტორანთან მეგობარ, **კლაუდიოსთან** ერთად გამოჩნდა და პრეზიდენტს დაგვიანებისთვის ბოდიში მოუხადა. ბარსელონელებს მაგიდა დაჯავშნული არ ჰქონდათ, ამიტომ მათ არცთუ საუკეთესო ადგილას მოუხდათ დასხდომა... თუმცა ისინი იტალიელებთან დროის გასატარებლად არ მისულან. მთავარმა მწვრთნელმა შეფს არ დაუმალა, რომ მისი და ეტოოს შეხვედრით ძალიან უკმაყოფილო და იმედგაცრუებული დარჩა. ლაპორტას გაუკვირდა, მაგრამ ბატონმა ფრანკმა უმალ აუხსნა, გულსატკენია, რომ საქმის კურსში არ ჩამაყენეთ და მას უჩემოდ შეხვდითო. საყვედურით ნაწყენმა ლაპორტამ რიიკაარდს შეახსენა, რომ ის პრეზიდენტია და არანაირი უფლება არ აქვს, ფეხბურთელს შეხვედრაზე უარი უთხრას. სადილის ბოლოს მან მზადყოფნა გამოთქვა, კონფლიქტის მოგვარებაში შუამავლის როლი შეასრულოს. თუ საჭირო გახდება, ის ეტოოსა და რიიკაარდის პირისპირ შეხვედრას ორგანიზებას გაუკეთებს. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, საკითხი უფრო მეტად აღარ გამწვავდება და ყველა მხარე წინა პლანზე "ბარსელონის" ინტერესებს დააყენებს.



ხოან ლაპორტას და ფრანკ რიიკაარდის არაოფიციალური შეხვედრა

### სამუელ ეტოო:
### თანაგუნდელებმა ერთმანეთს განავალი არ უნდა ესროლონ

ხმაურიანი პრესკონფერენციის შემდეგ "დიარიო ასმა" სამუელ ეტოოსთან ექსკლუზიური ინტერვიუს მომზადება შეძლო. აფრიკელი მარგალიტი ბევრად უფრო მშვიდად საუბრობდა, მაგრამ შეხედულებები არ შეუცვლია. ის კვლავ თვლის, რომ მართალია და ცუდი არაფერი ჩაუდენია. სხვისი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ კამერუნელი სიტუაციის განმუხტვას ცდილობს.

**- სამუ, გუშინ სერიოზულად შემეშინდა, რომ წონასწორობას დაკარგავდით...**

- სულაც არ გავცხარებულვარ. იმ კითხვებს ვუპასუხე, რომელიც თქვენმა კოლეგებმა დამისვეს. ასევე იმ ხალხის ბრალდებებს გავეცი პასუხი, ვინც ჩემზე ათასგვარ სისულელეს ამბობდა. კეთილი, ხალხი ალბათ, გაზვიადებული ნათქვამია. ცხადია, ყველა არ დამპირისპირებია. მხოლოდ ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა გაილაშქრა ჩემს წინააღმდეგ.

**- ჩვენთვის ცნობილია, რომ პრეზიდენტს შეხვდით...**

- მინდა იცოდეთ, რომ მხოლოდ ამ თემაზე არ გვისაუბრია. სხვა მრავალი საკითხიც განვიხილეთ. დავარწმუნე, რომ გაცოფებული არ ვარ. პირიქით, საკმაოდ მშვიდი გახლავართ-მეთქი. საზოგადოებაში ათასგვარი ვერსია მუსირებს. აინტერესებთ, რატომ არ შევედი მოედანზე. თუკი პამპლონაში შვიდი წუთით ასპარეზობას დავთანხმდი?!... იცით რაშია საქმე? ეტოოსთან კონტექსტში ხშირად ახსენებენ მაიმუნს. ხო ხვდებით, რასაც ვგულისხმობ? ცდილობენ, ქამრის ქვემოთ მტკივნეულად დამარტყან ხოლმე. რაც უნდათ, ის თქვან. სიმართლე მე ვიცი.

**- გუშინდელ საქველმოქმედო აქციაზე რატომ გაცხარდით?**

- არის რაღაცეები, რასაც ვერასოდეს შევეგუები. ახლა სკანდალს აგორებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მწვრთნელთან დამაპირისპირონ. ბატონებო, მე არავის ვებრძვი. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ რიიკაარდის განცხადებების შეფასებას არ ვაპირებ-მეთქი. ისიც დავამატე, თუ რაიმე გაინტერესებთ, მას ჰკითხეთ-თქო. თუ კლუბის ხელმძღვანელობა ახსნა-განმარტებებს მომთხოვს, აუცილებლად ყველაფერს მოვყვები. უბრალოდ ვერ ვიტან და ვერ შევეგუები, როცა ჩემი მისამართით ამბობენ, პირველ რიგში, გუნდზე უნდა ვიფიქროთო. "ბარსელონასთან" ერთად ასობით ვარჯიში ჩამიტარებია. ყურადღებას არაფერს ვაქცევდი, თავსხმა წვიმაში ძაღლივით გაწუწული დავრბოდი. აფრიკულ მზეს შეჩვეული ძვლებისდამამსხვრეველ ყინვაში ბურთს დავზდევდი. როცა რომელიმე თანაგუნდელი ტრავმას მიიღებდა, ხშირად ვურეკავდი და ყოველმხრივ ვამხნევებდი. ცხადია, ყველა ერთმანეთის მეგობარი ვერ იქნება, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თანაგუნდელებმა ერთმანეთს განავალი არ უნდა ესროლონ...

**- როგორც ვხვდები, რონალდინიოზე ყველაზე მეტად ხართ ნაწყენი. ასეა თუ ისე, ეს სკანდალი პრესის პირველი გვერდებიდან დიდ ხანს არ ჩამოვა. მზად ხართ, მასმედიის შეტევას გაუძლოთ?**

- ვიცი, რომ ბევრი შეეცდება ჩამნიხლოს. არადა, სიმართლე კარგად იციან. ამიტომაც მეცინება... თვითგამოხატვის ჩემეული ხერხი მაქვს. ყოველთვის ვცდილობ საზოგადოებასთან, განსაკუთრებით კი თანაგუნდელებთან კორექტული ვიყო.

**- კი მაგრამ, განა თქვენ არ თქვით, რიიკაარდი ცუდი ადამიანიაო?**

- არავითარ შემთხვევაში. ცუდი ადამიანია ის, ვინც ჟურნალისტებს შეხვდება და ჩემზე კონტექსტიდან ამოგლეჯილად დაელაპარაკება-მეთქი. რიიკაარდზე დავძინე, რომ მისი ქმედებების შეფასებას არ ვაპირებდი. მწვრთნელმა თქვა ის, რისი თქმაც სურდა. მე კი ჩემს აზრებს ყოველთვის ღიად გამოვხატავ. პირადად მე, არანაირი პრობლემა არ მაქვს.

**- "რასინგთან" მატჩში რატომ არ შეხვედით მოედნაზე?**

- მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ. ყოველი ვარჯიშის წინ სანამ მოსათელად მოედანზე გავალ, ველოსიპედის სიმულატორზე 10-15 წუთი ვხურდები. ეს ექიმების უმკაცრესი დირექტივაა. გესმით, რასაც ვამობ? მენისკის ტრავმის შემდეგ მინიმუმ 15 წუთი მჭირდება იმისთვის, რომ მოედანზე შესასვლელად მოვემზადო. სამწუხაროდ, ეს არავის აინტერესებს. ყველას ურჩევნია იმაზე ილაპარაკოს, თუ როგორ გაცხარდა სამუელ ეტოო. არავინ სვამს კითხვას, რატომ მოხდა ეს... მე და რიიკაარდს არანაირი პრობლემა არ გვექნება.

**- რონალდინიოს რა შეეშალა?**

- თუ თანაგუნდელისთვის რაიმეს თქმა მსურს, მას გასახდელში ვესაუბრები. ვფიქრობ, დიდი განსხვავებაა, სად რას განაცხადებ. ძალიან მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, მე ფრონტი არ გამიხსნია, უბრალოდ, სხვის გამოსვლაზე კომენტარი გავაკეთე. დარწმუნებული ვარ, ამ არგუმენტს ბევრი ჟურნალისტი არ გაითვალისწინებს და დაიწყებენ ყბედობას, რომ ვალდესს, ინიესტასა და რონალდინიოს ვემტერები. ვგონებ, ჩემი სათქმელი გარკვევით ვთქვი. გამგები კარგად გაიგებს და სულაც არ ჩათვლის, რომ ცუდი მეგობარი ვარ. გულდასაწყვეტია, რომ პრობლემები ჩვენი გუნდის გასახდელის ფარგლებს გასცდა. პირველი ნაბიჯი მე არ გადამიდგამს.

**- თქვენ ისიც თქვით, თუ თავს არ დამანებებენ, მერე ნახავენ, რა დღეშიც აღმოჩნდებიანო. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბოლომდე არ ილაპარაკეთ და გაჩუმება არჩიეთ...**

- ცხოვრებაში ზოგჯერ იძულებულები ვართ, გავჩუმდეთ ხოლმე. უამრავი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. წარმოიდგინეთ, ყველამ რომ პირი დააღოს და დაიწყოს, ამან ვარჯიშზე ეს არ გააკეთა, იმან კი რამდენიმე წუთით დააგვიანა. გუნდი ვართ, თუ ეგოიზმით დაავადებული იდიოტები? საქმისადმი ამგვარი მიდგომით, ვერაფერს გავაკეთებთ.

**- ამბობენ, რომ "იუვენტუსში" გადასასვლელად ემზადებით...**

- ძალიან გთხოვთ, ამ ჭორების გავრცელებას თავი დაანებეთ. არ გამიკვირდება, ხვალ რომ თქვან, "მალიორკაში" ბრუნდებაო. არსადაც არ მივიდვარ. დავიღალე ამდენი დარტყმის მოთმენით. როგორ გგონიათ, სამართლიანად მეპყრობიან? დაწერეთ რაც გინდათ, მაგრამ ზიანს ნუ მომაყენებთ.

**- აპირებთ რიიკაარდთან დალაპარაკებას?**

- ამ ეტაპზე საამისო საჭიროებას ვერ ვხედავ, რადგან, ჩემი აზრით, ჩვენს შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს.

**- "ლივერპულთან" მატჩისთვის მზად იქნებით?**

- ძალიან ჭირვეული მუხლი მაქვს, ასე რომ, ვერაფრის პირობას მოგცემთ. იმედია, იმ დროისთვის ყველაფერი რიგზე იქნება. თუ თამაშს ვერ შევძლებ, სკამზე დავჯდები და გუნდს ისე დავეხმარები, როგორც დაჭრილი, რიგითი ჯარისკაცი.

**- ბოდიშს არ მოიხდით?**

- მეგონა, კარგად მიცნობდით. ეს არ არის ჩემი სტილი. ამასთან, მიმაჩნია, რომ საბოდიშო არაფერი მაქვს, რადგან მართალი გახლავართ. რატომ უნდა მოიხადოს ბოდიში მართალმა ადამიანმა? არც სხვისგან ველი ბოდიშს. მოკლედ, თავს ნუ დამესხმებიან და ჩემზე ერთგულ მეგობარს ვერსად იპოვნიან.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### ლივერპული დოს სანტოსს უმიზნებს

"ლივერპული" ბარსელონელი **ჯოვანი დოს სანტოსით** დაინტერესდა. 17 წლის მექსიკელი თავდამსხმელი კატალონიელთა ახალგაზრდული გუნდის ლიდერია. ერთ თვეში დოს სანტოსმა ესპანეთის მოქალაქეობა უნდა მიიღოს. მერსისაიდელები, სავარაუდოდ, ამის შემდეგ გააჩაღებენ მოლაპარაკებას. ყმაწვილს, მოკრძალებული ასაკის მიუხედავად, ძირითად გუნდში თამაშზე აქვს პრეტენზია. იმის გამო, რომ მწვრთნელები მის სურვილს არად დაგიდევენ, "ბარსელონაზე" გული აიცრუა და სხვა სარფიანი წინადადებების განსახილველად ემზადება. მისი კონტრაქტი 2009 წელს იწურება. ხელშეკრულებაში ჩადებულია მისი გამოსასყიდი თანხაც: 20 მილიონი გირვანქა. "ლივერპულის" გარდა, დოს სანტოსის შეძენა "ლიონსაც" სურს. იანვრის ტრანსფერებისას "ლიონი" "ბარსასთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა.

### რომას პეროტა გამოაკლდა

რომაელთა გუშინდელ ვარჯიშზე **სიმონე პეროტა** დაშავდა. მან კოჭი იტკინა და სასწრაფოდ სამედიცინო შემოწმებაზე გაგზავნეს. პეროტას ეს ტრავმა დეკემბერშიც აწუხებდა. პირველადი დიაგნოზით, მას მყესები აქვს დაჭიმული და ერთკვირიანი დასვენება სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სიმონემ "ლიონთან" 21 თებერვლის მატჩისთვის (ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალში) გამოჯანმრთელება უნდა მოასწროს.

### მალუდა იტალიაზე ოცნებობს

"ფიორენტინას" ლიონელი თავდამსხმელი **ფლორან მალუდა** სურს. 26 წლის ფეხბურთელმა "ოლიმპიკთან" ახალი კონტრაქტი შარშან გააფორმა, მაგრამ არც მაშინ არც მას მერე არასოდეს დაუმალავს, რომ იტალიაში თამაში სურს. კლუბებს მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყიათ. ტრანსფერი ბევრწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელ ადგილზე დაასრულებს ფლორენციული კლუბი ჩემპიონატს.

შალკე

# საჩემპიონო კონტრაქტი სლომკას

13 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც "შალკეს" **მირკო სლომკა** თავკაცობს. ამ ხნის განმავლობაში მან ჯოჯოხეთიც გამოიარა და სამოთხეც - იყო "მისტერ არავინ", გახდა "მისტერ უმთავრესი". ბევრი დღესაც ვერ იჯერებს, რომ სწორედ ამ მწვრთნელის ხელში იბრძვის გელზენკირხენული კლუბი ჩემპიონობისთვის და მიუხედავად უამრავი პრობლემისა, რომელიც ამ გუნდს მიმდინარე სეზონში შეხვდა, დღესდღეობით ბუნდესლიგის უმთავრესი ფავორიტია. უეფას თასიდან სამარცხვინო გავარდნისა და გერმანიის თასზე განცდილი კრახის შემდეგ S04-ის გულშემატკივრები 39 წლის მწვრთნელის დედას ყველა ბრუნვაში იხსენიებდნენ, ახლა კი, სეზონის დასრულებამდე 13 ტურით ადრე, მირკოს მიერ გაწვრთნილი "შალკე" სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერია.

გასულ უქმეებზე **ლევან კობიაშვილის** გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მუილერმა** თქვა, სულ ცოტა ხანში სლომკას ახალ კონტრაქტს შევთავაზებთო და დანაპირებს ასრულებს კიდეც. "ბილდის" ინფორმაციით, გელზენკირხენული კლუბის ბოსები მწვრთნელს ახალ, ჩემპიონურ ხელშეკრულებას სთავაზობენ. ფაქტები: "შალკე" სლომკას ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს და, რა თქმა უნდა, ხელფასსაც გვარიანად უზრდის. თუკი მირკოს ჯამაგირი დღემდე თვეში 50 000 ევრო იყო, ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ წელიწადში 1.2 მილიონს მიიღებს! იგივე ეხება პრემიებსაც: ჩემპიონობის შემთხვევაში მირკო ნახევარ მილიონს ჩაიჯიბავს. მომდევნო სეზონიდან კი პრემიებიც გაორმაგდება.

კალჩო

# კატანიას სტადიონი დაუხურეს

## დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე: კატანია ყველა შეხვედრას ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს

„კატანიის" სტადიონი „მასიმინო" სეზონის ბოლომდე (30 ივნისამდე) დაიხურა. ასე გადაწყვიტა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ მას შემდეგ, რაც 2 თებერვალს „კატანია"-„პალერმოს" მატჩზე და მატჩის შემდეგ მომხდარი მოვლენები განიხილა. სტადიონის დისკვალიფიკაციასთან ერთად „კატანიას" ფულადი ჯარიმის სახით 50 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. დისციპლინარების განაჩენით, ჩემპიონატის ბოლომდე „კატანია" ყველა შეხვედრას ცარიელი ტრიბუნების წინ გამართავს. კლუბის ხელმძღვანელობა უკვე დაკავებულია ნეიტრალური მოედნის არჩევით. იტალიური პრესის ვარაუდით, საშინაო შეხვედრებს „კატანია" რომის „ფლამინიოზე" ან ქალაქ რიეტის სტადიონზე ჩაატარებს.

„მასიმინო" მთავრობის ახალი დადგენილებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ნორმებს ვერ პასუხობს, თუმცა ქალაქის ხელმძღვანელობა პირობას დებდა, რომ სტადიონს სტანდარტებთან შესაბამისობაში ერთ თვეში მოიყვანდა. კლუბის ხელმძღვანელობას ფედერკალჩოს განაჩენთან შეგუება არ სურს და გასაჩივრებას აპირებს. *„ამ განაჩენით მთელი ქალაქი მუხლებზე დააჩოქეს* - თქვა „კატანიის" გენერალურმა დირექტორმა **პიეტრო ლო მონაკომ** - *კატანია ფეხბურთის გარეშე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტები სტადიონის გარეთ მოხდა და ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივი პასუხისმგებლობა მიგვიძღოდა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი გულშემატკივრების ჯანსაღ ნაწილს ისევ ჰქონდეს საშუალება, საყვარელ გუნდს სეზონის ბოლომდე უქომაგოს."*



კატანიის მასიმინოს ტრიბუნები კარგა ხანს არ შეივსება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჰამით ალთინთოპთან

# დასამალი არაფერია: ბაიერნში მივდივარ!

## თურქი ნახევარმცველი სლომკას ემდურის და დარწმუნებულია, რომ მიუნხენში უფრო დააფასებენ...



ჰამით ალთინთოპი მიუნხენში გასამგზავრებლად ემზადება

**მაშასე, არაერთხელ ნავარაუდები ტრანსფერი უკვე საბოლოოდ დადასტურდა: "შალკეს" ნახევარმცველი ჰამით ალთინთოპი, რომელიც ცოტა ხნის წინათ თბილისში იმყოფებოდა და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თურქეთის ნაკრებთან ერთად საქართველოსთან 0:1 დამარცხდა, მომავალი სეზონიდან მიუნხენის "ბაიერნში" იასპარეზებს. 24 წლის ჰამითი რეკორდმაისტერში ყოველგვარი საზღაურის გარეშე გადავა, რადგან მას "შალკესთან" კონტრაქტი უმთავრდება. ალთინთოპი "ბაიერნთან" 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰამითი თავის მიზნებსა და ოცნებებზე საუბრობს - მინდა "ბაიერნის" ლიდერი გავხდე, ოღონდ მანამდე "შალკესთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობა უნდა ვიზეიმო, საუკეთესო შემთხვევაში ჩვენი მოსისხლე მტრის, დორტმუნდის "ბორუსიის" სტადიონზეო...**

**- ჰერ ალთინთოპ, "ჰერტასთან" მოგებული თამაშის შემდეგ განაცხადეთ, რომ სეზონის ბოლოს "შალკეს" დატოვებთ. კიდევ საიდუმლოა, თუ სად გააგრძელებთ კარიერას?**

- დღეიდან ეს უკვე საიდუმლო აღარ არის. ვადასტურებ ინფორმაციას, რომელიც ბოლო დროს პრესაში ვრცელდებოდა: "ბაიერნის" წინადადებაზე თანხმობა განვაცხადე და ზაფხულიდან მიუნხენური კლუბის საკუთრება გავხდები. რეკორდმაისტერთან სამწლიან კონტრაქტს ვაფორმებ.

**- უფრო დაწვრილებით აგვიხსენით, რატომ გადაწყვიტეთ გელზენკირხენული კლუბის დატოვება და რატომ გადადიხართ "ბაიერნში"?**

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიმიღია, ძალიან დიდხანს ვიფიქრე. გელზენკირხენში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, აქ ცხოვრობს ჩემი ოჯახიც და რაც მთავარია, ჩემს ძმასთან, ჰალილთან ერთად ვთამაშობ. მაგრამ ასეთი შანსი ფეხბურთელს ხშირად არ ეძლევა ხოლმე. და უნდა ვაღიარო, რომ გადაწყვეტილების მიღება თვითონ "შალკემ" გამიადვილა.

**- რას გულისხმობთ? გელზენკირხენული გუნდის შეფებს თქვენი შენარჩუნება არ სურდათ?**

- არა, ეს ნაკლებად. მიზეზი ის გახლავთ, რომ "შალკეს" ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად მათამაშებენ და ეს მიუხედავად იმისა, რომ თავს არასდროს ვზოგავ, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. მე მხოლოდ მაშინ შემიძლია შესაძლებლობების 100 პროცენტის გამოვლენა, როცა ვგრძნობ, რომ მწვრთნელი 100 პროცენტით მენდობა.

**- "ბაიერნის" ხელმძღვანელებისგან 100-პროცენტიან ნდობას გრძნობთ და დარწმუნებული ხართ, რომ მიუნხენური კლუბის სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული გექნებათ?**

- დიახ, მე ვიცი, რომ მიუნხენური კლუბის ბოსებს ძალიან ვუნდივარ და ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ. და თუკი "ბაიერნის" თამაშებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ იქ თავის გამოჩენის შანსს ყველა ფეხბურთელს თანაბრად აძლევენ. "ბაიერნში" მნიშვნელობა არა აქვს მოთამაშის სახელს, როცა ვინმე ცუდად თამაშობს, მაშინვე სკამზე მიუჩენენ ხოლმე ადგილს და თავის გამოჩენის შანსს მის კონკურენტს აძლევენ.

**- თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ "შალკეში" ასე არ არის?**

- ცუდად არ გამიგოთ. მირკო სლომკას, როგორც პიროვნებას ძალიან ვაფასებ და მასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მადლიერი ვარ იმის გამო, რომ "შალკეში" ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და პროგრესი განვიცადე. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ პირველ სეზონში 30 მატჩი ჩავატარე და აქედან სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ სამჯერ არ ვიყავი. ბოლო დროს კი ყველაფერი პირიქით ხდება.

**- რატომ ხართ ასე დარწმუნებული იმაში, რომ "ბაიერნში" იგივე არ დაგემართებათ?**

- გნებავთ სისწრაფე შემიმოწმეთ, გნებავთ დარტყმის სიძლიერე და სიზუსტე და გნებავთ მოგებული ორთაბრძოლების პროცენტული მაჩვენებელი - მე ვიცი, რომ ტოპ-ფეხბურთელი ვარ. "ბაიერნში" იმიტომ ნამდვილად არ მივდივარ, რომ მერე შვილებს ვუთხრა, ერთ დროს გერმანიის ყველა დროის საუკეთესო კლუბში ვირიცხებოდი-მეთქი. მივიჩნევ, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია. "ბაიერნს" ახალგაზრდა გუნდი ჰყავს, იქ ახალ გუნდს აშენებენ. მინდა, რომ რეკორდმაისტერის ერთ-ერთი ლიდერი გავხდე.

**- დააკვირდით: დიდი შანსია, რომ "შალკე" ჩემპიონი გახდეს, "ბაიერნს" კი, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც გაუჭირდეს. დღევანდელი გადასახედიდან ეს უკან გადადგმული ნაბიჯია, არ მეთანხმებით?**

- კარგით ერთი, "ბაიერნი" "ბაიერნია" - წელს თუ არა, გაისად მაინც დაიბრუნებს ტიტულს. სხვათა შორის, ჩემი მიზანიც ისაა, რომ მიუნხენში გერმანიის ჩემპიონის რანგში გადავიდე. "შალკემ" აუცილებლად უნდა დაისაკუთროს "ვერცხლის სინი". წარმოიდგინეთ, როგორი ამაყი ვიქნები, როცა "ბაიერნის" ფეხბურთელებთან წარმადგენენ და შემეძლება, მათ ვუთხრა, მე ჩემპიონი ვარ, თქვენ კი არა-მეთქი (იცინის).

**- და განა საშინელება არ იქნება ის, რომ ჩემპიონთა ლიგას მომავალ სეზონში მხოლოდ ტელევიზორში უყუროთ და ნახოთ, როგორ თამაშობს თქვენი ყოფილი გუნდი ევროპის უძლიერესი კლუბების წინააღმდეგ?**

- თუ ასე მოხდება, მოხდება და მორჩა. ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ "ბაიერნის" კრიზისი მხოლოდ დროებითია. მომავალ სეზონში კი ყველაფერი ისევ სხვაგვარად იქნება. რაც არ უნდა მოხდეს, იქ, მიუნხენში სულ სხვა გარემოა. "ბაიერნი" ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის - გერმანიაშიცა და ევროპაშიც.

**- უნივერსალური ფეხბურთელი ხართ - დაცვის ორივე ფლანგზე თამაშობთ და ნახევარდაცვაში კი ნებისმიერ პოზიციაზე. მაინც, სად ხედავთ თქვენს შანსს რეკორდმაისტერში?**

- აუცილებლად ნახევარდაცვაში, რადგან იქ უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია. თუმცა "ბაიერნი" ისეთი გუნდია, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზეც ძალიან კარგად ვიგრძნობ თავს, თუკი მწვრთნელი იქ დამაყენებს. ის, რომ ამ პოზიციაზეც კარგად გამოვიყურები, თურქეთის ნაკრებშიც არაერთხელ დავამტკიცე. ერთი სიტყვით, სადაც დამაყენებენ იქ ვითამაშებ, თავს კი ნამდვილად არ დავზოგავ.

**- თურქული გრანდებიც გიხმობდნენ, მაგრამ ყველა მათგანი უარით გაისტუმრეთ. ამის გამო სამშობლოში ხომ არ გემდურიან?**

- ბოლო დროს მართლაც უამრავი სპეკულაცია ვრცელდებოდა. თურქული გრანდები მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების გამო, არავინ დამემდურა. აი, მაგალითად მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" რომ გადავსულიყავი, თურქეთში ამას ვერავინ გაიგებდა, მაგრამ "ბაიერნზე" ყველამ ხელები ასწია. თურქეთის ჩემპიონატში დაბრუნებას "ბაიერნში" გადასვლას რომ ვამჯობინებდი, ამას რად უნდოდა ბევრი ლაპარაკი.

**- არც ძმა გიბრაზდებათ? თქვენ მარტო "შალკეს" კი არა, მასაც ტოვებთ...**

- ჰალილს რჩევას ყოველთვის ვეკითხები. მაგრამ გადაწყვეტილებას ის არასდროს დამიწუნებს, რადგან ჩემი ძმაა და ყოველთვის მხარში მიდგას.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ არის "შალკე" ლიდერი, რამ გამოიწვია ეს?**

- ჩვენ უბრალოდ, უფრო გამოცდილები გავხდით და მძიმე ზეწოლას იოლად ვუძლებთ. ესეც არ იყოს, "შალკე" დღესდღეობით შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს. გვყავს არაჩვეულებრივი ფეხბურთელები და ფანები. ვისაც ჩვენი დამარცხება სურს, წარმოუდგენლად უნდა დაიხარჯოს.

**- ფრანკ როსტის წასვლის შემდეგ გუნდში, ბოლოს და ბოლოს, სიმშვიდემ დაისადგურა?**

- როსტი სულაც არ იყო ხელისშემშლელი. ფრანკი 33 წლისაა, წლების განმავლობაში ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლებოდა და რა გასაკვირია, რომ სკამზე დასმით გაოცებული დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ სასტარტო შემადგენლობაში აღარ ათამაშებდნენ, მაინც ყველას გვამხნევებდა - ძალიან ძლიერი პიროვნებაა. მართალია, აღარ თამაშობდა, მაგრამ რომ არა როსტი, პირველ წრეში 36 ქულას ნამდვილად ვერ დავაგროვებდით.

**- როგორ გგონიათ, გერმანიის ჩემპიონატის ბედი როდის გადაწყდება?**

- ამ მხრივ მე ჩემი საკუთარი ოცნება მაქვს. როგორც იცით, ბოლოსწინა ტურში დორტმუნდში ჩავდივართ. ძალიან მინდა, რომ ბოლო ტურის წინ "ვერდერს" მხოლოდ ერთი ქულით ვუსწრებდეთ, ჩავიდეთ დორტმუნდში და "ბორუსია" მისსავე მოედანზე დავამარცხოთ. ამავდროულად, "ვერდერმა" "აინტრახტთან" უნდა წააგოს და ჩვენ გერმანიის ჩემპიონობა ნახევარსაუკუნიანი პაუზის შემდეგ ზუსტად დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე" უნდა ვიზეიმოთ. ამაზე უკეთესს რას ვინატრებ? თუ ასე არ მოხდება, მაშინ BVB-სთან თამაშამდე უნდა გავინაღდოთ ჩემპიონობა და წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი სიამოვნება იქნება თამაშის წინ იმის თქმა, რომ დორტმუნდში ჩემპიონების რანგში მივდივართ, თავს არ მოვიკლავთ, უბრალოდ წავითამაშებთ, ბურთს გავაგორებთ, რადგან წინა დღეებში ზეიმი გვქონდა და გადაღლილები ვართ. ესეც არ იქნება ურიგო...

**გოტფრიდ ლენცი**

### დორტმუნდი: მოგება 8.2 მილიონი!

დორტმუნდის "ბორუსიის" ფინანსების განმკარგველებმა მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამეს და მეტად კარგი შედეგი მიიღეს. როგორც ირკვევა, ზაფხულის შემდეგ ვესტფალიურმა კლუბმა 8.2 მილიონი ევროს ოდენობის მოგება ნახა და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ სპორტული თვალსაზრისით BVB-ს არც ისე კარგი დროება უდგას. ეს შედეგი 9.6 მილიონით აღემატება შარშან ამ დროს მიღებულ ბალანსს. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინათ გუნდს 119 მილიონი ევროს ოდენობის ვალი ჰქონდა და გაკოტრება ემუქრებოდა...

### დიდა ბარსელონაში?

"ბარსამ" მილანელ **დიდას** მიაპყრო მზერა. ბრაზილიელ გოლკიპერს კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. კატალონიელებს მისი ხელში ჩაგდება უფასოდ შეუძლიათ. ფეხბურთელის აგენტი უკვე შეხვდა "ბარსელონის" ემისრებს. "ასის" ცნობით, წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. **ფრანკ რიიკაარდს ვიქტორ ვალდესთან** პრეტენზიები არ აქვს. დიდას ტრანსფერი მხოლოდ კონკურენციის გამძაფრებას ემსახურება.

ამასობაში, "მილანმა" "ბარსელონის" ცენტრალური მცველი **რაფაელ მარკესი** მოიკითხა. "როსონერის" ინტერესის არეალშია "უდინეზეს" კოლუმბიელი მცველი **კრისტიანო საპატაც**. მოსალოდნელ ტრანსფერებზე სხვა ინფორმაციები არ გავრცელებულა.



ბრემენელ მუსიკოსთა ფანების რიცხვი იზრდება

ბუნდესლიგა

# ხალხს ვერდერი შეუყვარდა

## ბაიერნმა შვიდ თვეში ფანების ერთი პროცენტი დაკარგა...

"ბაიერნი" გერმანიაში რომ ყველაზე პოპულარული კლუბია, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. საინტერესო ის გახლავთ, რომ სეზონის დაწყების წინ მიუნხენურ კლუბს ამ მხრივ უდიდესი უპირატესობა ჰქონდა - რეკორდმაისტერს სხვა გუნდები პოპულარულობით ძალიან ჩამორჩებოდნენ. ახლა კი, როცა სეზონის ნახევარზე მეტი გასულია, თვალშისაცემია ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, "ბაიერნს" "ვერდერი" ნელ-ნელა ეწევა.

,გამოცემა "შპორტ ბილდმა" ზაფხულში მეტად საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგიც ასეთი იყო: გულშემატკივრების 19 პროცენტი "ბაიერნის" ფანი გახლდათ. პოპულარობით მეორე და მესამე ადგილებს "ვერდერი" და დორტმუნდის "ბორუსია" იყოფდნენ (7-7 პროცენტით). დააკვირდით, რამხელა განსხვავება იყო "ბაიერნსა" და ბრემენულ კლუბს შორის - "ბორუსია" კი უფრო ძველი დამსახურებების გამო იდგა ასეთ სიმაღლეზე. ზემოთ ხსენებულმა ჟურნალმა რამდენიმე დღის წინათ კიდევ ჩაატარა ასეთივე გამოკითხვა და დაადგინა, რომ რეკორდმაისტერის პოპულარობა 1 პროცენტით დაეცა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან "ბაიერნი" ბუნდესლიგაში ძველებურად ვეღარ დომინირებს. მაგრამ გასაოცარი არც ისაა, რომ მიუნხენური გრანდის პოპულარობა მეტად არ დაეცა - "ბაიერნი" მაინც "ბაიერნია" და გერმანული ფეხბურთის ფლაგმანად რჩება.

მაგრამ ბავარიულ გრანდს "ვერდერის" სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. "მუსიკოსების" პოპულარობამ ამ 7 თვეში 5 პროცენტით მოიმატა. მართალია, "ვერდერს" "ბაიერნამდე" ჯერ კიდევ ბევრი (6 პროცენტი) აკლია, მაგრამ თვალშისაცემია ის, რომ რეკორდმაისტერი ისე ვეღარ დომინირებს, როგორც აგვისტოში.

პარადოქსია ის, რომ "შალკეს" პოპულარობა დაეცა (1 პროცენტით). არადა, **ლევან კობიაშვილის** გუნდი შესანიშნავად ასპარეზობს, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს, "ვერდერს" 6 ქულით უსწრებს და ჩემპიონობის საუკეთესო შანსი აქვს. ჩვენი გერმანელი კოლეგები "შალკეს" ასეთ მაჩვენებელს იმით ხსნიან, რომ გელზენკირხენულ გუნდში ამ ხნის განმავლობაში უამრავი სკანდალი მოხდა. საინტერესოა ის, რომ თუკი სეზონის დაწყებამდე "შალკეს" მოსისხლე მტერი "დორტმუნდი" კობის გუნდზე პოპულარული იყო, ახლა პირიქითაა, რადგან BVB-მ მისდამი კეთილგანწყობილი გულშემატკივრების 3 პროცენტი დაკარგა.

ალსანიშნავია ისიც, რომ "ჰამბურგთან" მიმართებაში არაფერი შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ HSV სეზონის დაწყებამდე ბუნდესლიგის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, ახლა კი მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის საფრთხე ემუქრება, ჩრდილოგერმანულ კლუბს ზურგი არავინ აქცია.

**გოტფრიდ ლენცი**

| გუნდი | სეზონის წინ | დღეს |
|---|---|---|
| ბაიერნი | 19% | 18% |
| ვერდერი | 7% | 12% |
| შალკე | 6% | 5% |
| ჰამბურგი | 5% | 5% |
| შტუტგარტი | 4% | 4% |
| დორტმუნდი | 7% | 4% |

## ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

**III ჯგუფი**

**კუკუტა (კოლუმბია)–დეპორტესი (კოლუმბია) 0:0**

**კუკუტა:** რობინსონ საპატა, ბუსტოსი, ურტადო, ვალტერ მორენო, რაგუა, ნელსონ ფლორესი (73. ბობადილა), ჩარლზ კასტრო (82. ანრი), დავიდ კორდობა (73. დელ კასტილიო), მაკნელი ტორესი, ვიქტორ კორტესი, ბლას პერესი.

**დეპორტესი:** ხულიო, ანჩიკო, სინისტიერა, კუენიუ, იესიდ მარტინესი, ფრანკლინ გონსალესი, პატინიო, ხუან ესკობარი, ჩარია, პერლასა (61. აირი/76. ბუსტოსი), სავოია (73. რივასი).

**გაძევება:** მარტინესი (დეპორტესი).

**IV ჯგუფი**

**ემელეკი (ეკვადორი)–ველესი (არგენტინა) 0:1**

**ემელეკი:** ელისაგა, კარლოს კინიონესი, კოროსო, მარკო კინიონესი, ესტასიო, სებასტიან ერნანდესი (61. ასასი), ხოსე ლუის კინიონესი, ლუის რივერა (78. საისედო), აროიო, ჯერონიმო მორალესი (61. ლადინესი), ისრაელ როდრიგესი.

**ველესი:** სესა, პელერანო, მაქსიმილიანო პელეგრინო, ბუსტამანტე, მარიო მენდესი, ივან მორენო, ფაბიანეზი, მაქსიმილიანო ბუსტოსი, პაპა, რობლესი, კასტრომანი (82. ოკამპო), მაურო სარატე (71. ბალვორინი).

**გოლი:** 0:1 ბუსტამანტე (14)

**VIII ჯგუფი**

**დეფენსორი (ურუგვაი)–ხიმნასია (არგენტინა) 3:0**

**დეფენსორი:** მარტინ სილვა, მაულელა, ვილიამს მარტინესი, მარტინ კასერესი, ალვარო გონსალესი, მაქსიმილიანო პერეირა (74. კარლო დიასი), ფადეუილი (67. ამადო), არიოსა, დიეგო დე სოუზა, კარლოს მორალესი (76. სებასტიან ფერნანდესი), ვილა.

**ხიმნასია:** კლეტნიკი, ხერმან ბასუალდო, ერნერი, ხორხე ესტებანი, ლანდა, ორმენიო (46. პიერგუიდი), პიატი, მატიას ესკობარი, დანიელ რომერო (46. ჯონათან ჩავესი), პაშეკუ (62. ლეგისამონი), სანტიაგო სილვა.

**გოლები:** 1:0 არიოსა (36), 2:0 მორალესი (63), 3:0 პერეირა (71)

მოსალოდნელი ტრანსფერები

# პალერმო ლიდერებს გაყიდის

„პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** ამბობს, რომ სეზონის ბოლოს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გასხვისება მოუწევს. სიცილიური გუნდის წარმატებულმა გამოსვლამ შედეგად ის მოიტანა, რომ მისი ფეხბურთელები დიდი კლუბების სამიზნეში აღმოჩნდნენ. ძამპარინი ყოველთვის აცხადებდა, რომ მომავალში უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას გეგმავს, მაგრამ ახლა ისიც აღიარა, რომ წამყვანი მოთამაშეების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. *„ვფიქრობ, რომ ლიდერების (ბარძალი, დი მიკელე, სიმპლისიო, ამაური) შენარჩუნება შეუძლებელი იქნება* – უთხრა პრეზიდენტმა ერთ-ერთ რადიოს – *სერია A-ს დიდი კლუბები ფეხბურთელებს უფრო მაღალ ანაზღაურებას სთავაზობენ, ვიდრე ჩვენ ვუხდით. ჩვენ სახელფასო ლიმიტი დავაწესეთ, ამ სისტემის შეცვლა კი გუნდის შიგნით არსებულ წონასწორობას დაარღვევს. „პალერმო" ვერ იქნება „მილანი", „იუვენტუსი" ან „ინტერი". ჩვენ „სევილიის" მსგავსი გუნდის შექმნაზე ვმუშაობთ - ისეთის, რომელსაც ექნება უნარი, რომ დიდი კლუბების შეცდომები გამოიყენოს. მიზანიც რეალისტური უნდა იყოს - ტიტულის მოგება მომავალ 10 წელიწადში. ისევე უნდა ვიმუშაოთ, როგორც „რომა" და „ფიორენტინა". ჩემი სურვილია, რომ „პალერმომ" მომავალ სეზონში ისეთივე ფეხბურთი ითამაშოს, როგორსაც წელს „რომა" თამაშობს."*

მიმდინარე ჩემპიონატზე კი ძამპარინის აზრი ასეთია: *„ეს ყოვლად ამაზრზენი სეზონია რამდენიმე კარგად ნაცნობი მიზეზის გამო - „კალჩოპოლის" სკანდალი, ძალადობა სტადიონებზე, „იუვეს" დაქვეითება და გუნდებისთვის ქულების დაკლება. იმედი მაქვს, რომ ამ ჩემპიონატს მალე დავივიწყებთ. ჩვენი მესამე ადგილზე ყოფნაც ნაკლებად ფასეულია, იმიტომ, რომ ნამდვილი ჩემპიონატი გაისად გვექნება. თუმცა ვშიშობ, რომ სასწაული დაგვჭირდება, პირველ ოთხეულში ადგილის შესანარჩუნებლად. „პალერმოს" აღარ აქვს ის ენთუზიაზმი, რომელიც სეზონის სტარტზე ჰქონდა. ასეა თუ ისე, არ ვთვლი, რომ ეს ფრანჩესკო გუდიოლინის ბრალია. დანაშაული, პირველ რიგში, ფეხბურთელებს მიუძღვით. ჩვენმა მწვრთნელმა ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ კარგიც ბევრი გააკეთა. მე მის შეცდომებზე ლიად საუბარი მიყვარს, ბუნებით ვარ ასეთი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იდეალური მწვრთნელი არ არსებობს."*

არეულობის შედეგები

# გერმანიამ იტალიას მიბაძა

## საქსონიაში 76 თამაში არ ჩატარდა...

*"უმაყურებლო სტადიონი ათასჯერ მირჩევნია თუნდაც ერთი პოლიციელის დაკრძალვას!"* - ეს სიტყვები გერმანიის ბუნდესლანდ საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრ **ალბრეხტ ბუტოლოს** ეკუთვნის. ლაიპციგში მომხდარი ჩხუბის გამო (700-მა ფანმა 300 პოლიციელს შეუტია და 36 მათგანი მაგრად სცემა), საქსონიის მხარეში მოყვარულთა გუნდების 76 თამაში არ ჩაატარეს! სამხარეო ლიგის მატჩების უმრავლესობა კი უმაყურებლოდ ჩატარდა. ლაიპციგის "ლოკს" (სწორედ ამ გუნდის ფანებმა მოაწყვეს არეულობა) საერთოდ გერმანიის საფეხბურთო ლიგიდან მოკვეთის საფრთხე ემუქრება. *"სერიოზულად ვფიქრობ, რომ ასეთი გუნდი ლიგიდან მოვკვეთო!"* - ამბობს საქსონიის საფეხსბურთო კავშირის ბოსი **კლაუს რაიხენბახი**.

საკითხავია, რამდენად შეაშინებს ხულიგნებს ისეთი მატჩების არ ჩატარება, როგორიცაა მაგალითად "რიოკნიტცისა" და "ბოიხას" დაპირისპირება. მიმომხილველების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი საქციელი მშვიადობიანი ფანების დაჩაგვრა უფროა, ვიდრე ხულიგნებთან ბრძოლა, რადგან ასეთ გულშემატკივრებს ფეხბურთი ისედაც არ აინტერესებთ და სტადიონზე მხოლოდ იმისთვის მიდიან, რომ ვინმე დაასისხლიანონ.

*"ასეთი გადაწყვეტილებით ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ პოლიციელებს, რომლებიც სტადიონებზე ნაღდი ქომაგების უსაფრთხოების გარანტები არიან,"* - ეს კი უკვე გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერის** სიტყვებია. გერმანიაში სერიოზულად შიშობენ, რომ დიდი შანსია, ხულიგნობები 24 მარტს დაგეგმილ მატჩშიც (ჩეხეთი-გერმანია, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი) მოხდეს. ასეთ დროს გერმანელი ხულიგნები სიამოვნებით მიემგზავრებიან ხოლმე სხვა ქვეყნებში, რომ იქ არეულობა მოაწყონ, რადგან გერმანიაში არაფერი გამოსდით - ბუნდესგუნდის საშინაო შეხვედრებში ფანების კონტროლი უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ამიტომაცაა, რომ ხულიგნებს გასვლითი შეხვედრები უფრო უყვართ. გეხსომებათ, გერმანელმა ფანებმა სლოვენიასა და სლოვაკეთში მოაწყვეს არეულობა, რადგან იქ ბილეთებიც იოლად იშოვეს გადამყიდველებისგან და სტადიონზეც უპრობლემოდ შეიტანეს ყველაფერი, რაც ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად სჭირდებოდათ.

*"ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციას უკვე ველაპარაკეთ და დახმარება შევთავაზეთ. იმედი მაქვს, რომ პრაღაში გერმანელი ხულიგნები სტადიონზე ვერ მოხვდებიან,"* - ამბობს ცვანციგერი.

ინტერვიუ პატრიკ ვიეირასთან

# მომენტი ახლაა, ყველაფერი უნდა მოვიგოთ

## ფრანგი ნახევარმცველი შეუჩერებელი ინტერის საიდუმლოებებს ხსნის

**მეორე სეზონია, რაც პატრიკ ვიეირა სერია A-ში თამაშობს და პირველად მოხდა, რომ ინტერვიუ მისცა „გაძეტა დელო სპორტს", იტალიის ყველაზე ავტორიტულ სპორტულ გამოცემას. ეს იმის დასტურად, რომ ფრანგს პრესასთან ურთიერთობა დიდად არ უყვარს, მაგრამ თუ დათანხმდა, ცდილობს, რომ ყველაფერს საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთოს. ამ ინტერვიუში 30 წლის ნახევარმცველი „ინტერის" სიძლიერის საიდუმლოებებზე საუბრობს და პარალელებს ავლებს შარშანდელ „იუვენტუსთან", რომლის რიგებში სკუდეტო მოიგო, მაგრამ ჩამოართვეს და იმ გუნდს მისცეს, რომელსაც აგვისტოში შეუერთდა.**



პატრიკ ვიეირა

**- ვიეირა, სეზონის დასაწყისში თუ გიფიქრიათ, რომ ყველაფერი ასე იოლი იქნებოდა?**

- როცა გარშემო ამდენ ვარსკვლავს ხედავ, იცი, რომ დიდი გამარჯვებების მიღწევა შესაძლებელია, თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ რეალობა შენს მოლოდინს არ ემთხვევა. ჩვენი დამსახურება ისაა, რომ ამ გამარჯვებებს მართლა ვაღწევთ - ხანდახან ძალიან ადვილად და უპრობლემოდ, ისე, როგორც ჩემპიონატის ყველაზე ძლიერმა გუნდებმა იციან.

**- რას უპასუხებდით მათ, ვინც ამბობს, რომ წლევანდელი ჩემპიონატი სუსტია და ამიტომ მოგება ძალიან იოლია?**

- არა მგონია, რომ ჩემპიონატი ასეთი სუსტი იყოს, გარდა ამისა, „ინტერის" ბრალი არაა, თუკი „იუვენტუსი" სერია B-შია და „მილანმა" დაკლებული ქულებით დაიწყო.

**- და მათ რას ეტყოდით, ვინც იძახდა, რომ ვიეირას, როგორც ექს-იუვენტინოს, მკერდზე ამოქარგული სკუდეტო ფსიქოლოგიურ პრობლემებს შეუქმნიდა და წარმატებით თამაშში ხელს შეუშლიდა?**

- ის სკუდეტო გასულ წელს ჩემი შრომით, დამსახურებულად მოვიგე. მე სწორედ ეს მევალებოდა, დანარჩენი კი ჩემზე დამოკიდებული არ იყო. წელს ჯერ ისევ არ მომიგია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამჯერადაც მოვიგებ, იმიტომ, რომ „ინტერთან" ერთად სხვებზე ძლიერი ვიყავი.

**- რა აქვს „ინტერს" უფრო მეტი გასულ სეზონთან შედარებით?**

- ყველამ, ვინც ზაფხულში მოვიდა, თან გამარჯვების წყურვილი მოიტანა: ვფიქრობ, „ინტერი" ახლა იმ ფეხბურთელებისგან შექმნილი გუნდია, ვისაც გამარჯვების მეტი ჟინი და სურვილი აქვს. გვინდა, რომ ყველა თამაში, ყველაფერი მოვიგოთ.

**- ჩემპიონატთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაც გინდათ?**

- საამისო გუნდი ნამდვილად გვყავს. თუ ყურადღებას არავინ მოადუნებს და ყველა ფრონტზე ბოლომდე ასე კონცენტრირებულები ვიქნებით, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. ძნელი იქნება, მაგრამ შეიძლება.

**- უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში თუ ჰგავს „ინტერი" თქვენს „იუვეს"?**

- კი, ამ თვალსაზრისით ნამდვილად ჰგავს. საერთო აქვთ ის თვისება, რომ გუნდი არასოდეს იღლება გამარჯვებით. თამაშის მოგებიდან ერთი წუთის შემდეგ ერთმანეთს ვეუბნებით: „კარგი, ეს საქმეც გავაკეთეთ, მაგრამ ახლა შემდეგის მოგებაზე ვიფიქროთ". თუმცა მთავარი მსგავსება შემადგენლობის სიძლიერეა. „ინტერის" მსგავსად, შარშანდელი „იუვეც" უძლიერესი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და ყველა მათგანმა იცოდა, რომ ერთი კოლექტივის ნაწილი იყო. სწორედ ამ გუნდურმა სიძლიერემ გამაოცა ყველაზე მეტად, როცა ტურინში ჩავედი და იგივე დამხვდა აქაც. მაგრამ ეს „ინტერი" რაღაცით ჩემს „არსენალსაც" მაგონებს - გუნდს, რომელიც მიხვდა, რომ ძლიერი იყო, მაგრამ სრულყოფილება აკლდა. „არსენალი" ჯერ კიდევ ზრდის პროცესში იყო და თამაშიდან თამაშამდე სწავლობდა.

**- ახლა ამ „ინტერსა" და შარშანდელ „იუვეს" შორის არსებულ განსხვავებებზე ვისაუბროთ.**

- განსხვავება ალბათ ისაა, რომ აქ უფრო მეგობრული გარემოა, უფრო „მოშვებულები" ვართ, ამ სიტყვის კარგი გაგებით. შარშანდელ „იუვეში" სხვა ტიპის ზეწოლას ვგრძნობდით, ყველაფერი კონტროლს ექვემდებარებოდა, უფრო მკაცრი ატმოსფერო იყო.

**- არადა, გარედან „ინტერი" სულაც არ ჰგავს მოშვებულ გუნდს - არავის და არაფერს ინდობს, რაც გზაზე გადაეყრება.**

- ამიტომაც ვთქვი, კარგი გაგებით მოშვებული-თქო. უკეთ განვმარტავ და ვეცდები, ამ „ინტერის" კიდევ ორი საიდუმლო აგიხსნათ, თუკი ამას საიდუმლო შეიძლება ეწოდოს. პირველი: თავში ყველას ერთი და იგივე აზრი გვიდევს, კერძოდ, რომ საჭიროა, პირველ რიგში, გუნდზე ფიქრი და არა საკუთარ თავზე. მეორე, რომელიც პირველის შედეგია: გავაცნობიერეთ, რომ ამის გაკეთება იოლი არაა, მაგრამ მნიშვნელოვანია და ამიტომ აუცილებელია. ისიც გაცნობიერებული გვაქვს, თითეულ ჩვენგანს ძალიან გაუმართლა, რაკი ასეთი მრავალრიცხოვანი და ძლიერები ვართ. ეს დიდი იღბალია, რაც ფეხბურთელის კარიერაში არც ისე ხშირად ხდება. ამიტომ ვერ მივცემთ თავს შეცდომის დაშვების უფლებას. ისეთი მიზეზები, როგორებიცაა მონდომების ნაკლებობა, ყურადღების გაფანტვა, ჩხუბი, ეჭვიანობა, კამათი, დაპირისპირება, ჩვენთვის, უბრალოდ, არ არსებობს. იმიტომ, რომ მომენტი ახლაა.

**- ჩხუბი ახსენეთ: გახსოვთ, მიხაილოვიჩს რომ ეჩხუბეთ დერბის შემდეგ?**

- გაუგებრობა იყო, მაგრამ ჩემს გამო მოხდა და ამიტომ ბოდიშიც მოვიხადე. გულახდილი ურთიერთობა აუცილებელი პირობაა დიდი გუნდისთვის, მაგრამ ისიც მართალია, რომ დიდი გუნდები დიდი პიროვნებებისგან კეთდება. საკმარისია, ჩვენი ვარჯიშების სანახავად მოხვიდეთ.

**- და რას ვნახავთ?**

- ცხოვრებაში ამდენი არ მიკამათია და მიყვირია ვარჯიშებზე, რამდენსაც „ინტერში" მისვლის შემდეგ ვკამათობ. მაგრამ ამაშია მთელი ჩვენი ხიბლი, ჩვენი ძალა. ყველა ჩვენგანი მომართულია იმაზე, რომ ყველას აჩვენოს, თამაშის სურვილი რამდენად დიდი აქვს.

**- მოედანზე წელს განსხვავებული პოზიცია გიკავიათ: „ინტერის" რომბულ ნახევარდაცვაში კლასიკურ ცენტრალურ ნახევარმცველად აღარ თამაშობთ.**

- წლების განმავლობაში შევეჩვიე ცენტრში ყოფნას, ახლა კი ცოტათი მარჯვნივ ვარ გადაწეული, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ვთამაშობ იმ პოზიციაზე, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს: ბურთს უფრო იშვიათად ვეხები, ცოტა უფრო ნაკლებად ვარ ჩართული მოვლენების ეპიცენტრში. მაგრამ ამის გამო გული არ მწყდება, მთავარია, რომ შეძლებისდაგვარად მეტ თამაშს ვთამაშობ და ამით ვარ ბედნიერი. კარგად მესმის, რომ „ინტერის" დონის გუნდში ყველა თავის იდეალურ პოზიციაზე ვერ ითამაშებს.

**- წლევანდელი „ინტერი" გვასწავლის, რომ თანამედროვე ფეხბურთში პირველ ყოვლისა, საჭიროა ფიზიკურად მძლავრი ნახევარდაცვა. ასეა?**

- აგრესიულობა კლასის გარეშე საკმარისი არ არის. საჭიროა ხალხი, ვისაც თამაშის გამოცოცხლება შეუძლია. ვფიქრობ, რომ ნახევარდაცვაში „ინტერს" სწორედ ასეთი ფეხბურთელები ჰყავს.

**- რით არის იბრაჰიმოვიჩი უფრო ძლიერი შარშანდელთან შედარებით, როცა თქვენთან ერთად „იუვეში" გამოდიოდა?**

- იბრა უფრო ნელი იყო აზროვნებაში და ეს მის თამაშზეც აისახებოდა. მას ყველაფერი აქვს, ტექნიკა, ფიზიკური სიძლიერე, სისწრაფე, უფრო მეტად კონცენტრირება სჭირდებოდა იმაზე, რასაც ფეხბურთში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ვგულისხმობ სწრაფ აზროვნებას. „ინტერში" ეს პრობლემაც მოაგვარა. მაგრამ ზლატანი ჯერ ახალგაზრდაა, მისი ნამდვილი ძალა ჯერ ისევ არ გვინახავს: ვიცი, რომ ორ-სამ წელიწადში მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელების რიცხვში იქნება.

**- მანჩინის რომელმა თვისებამ გაგაკვირვათ?**

- სიმშვიდემ, შინაგანმა წონასწორობამ. თავადაც მშვიდია და ამ სიმშვიდეს გუნდსაც გადასცემს.

**- ტიერი ანრი თქვენი უახლოესი მეგობარია: მართლა გქონდათ საუბარი, ან მომავალში ხომ არ გექნებათ, მისი „ინტერში" გადასვლის თაობაზე?**

- მე და ტიტი უამრავ თემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ მის მომავალზე - არასდროს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „არსენალში" ყველაფერი აქვს, რისი სურვილიც დიდ ფეხბურთელს შეიძლება ჰქონდეს: აღიარება, შედეგები და ბრწყინვალე კონტრაქტი. ძნელად წარმოსადგენია, რომ „არსენალიდან" წავიდეს, თუმცა ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**- ოდესმე თუ წარმოიდგენდით, რომ შეიძლებოდა, ისეთი რაღაც მომხდარიყო, როგორიც იყო პოლიციელის მკვლელობა კატანიაში?**

- ინგლისში ცხრა წლის განმავლობაში ვთამაშობდი, ასე რომ, გულშემატკივრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვიცნობ, მაგრამ ის, რაც კატანიაში სტადიონის გარეთ მოხდა, არასდროს მინახავს.

**- არ გაგჩენიათ შეკითხვა, როგორ და რატომ მოხდა?**

- ყველაფერი უცოდინრობიდან, აღზრდის ნაკლებობიდან მოდის.

**- აუცილებელი იყო ადამიანის სიკვდილი, რომ ცვლილებები მომხდარიყო?**

- ეს თანამედროვე საზოგადოების პრობლემაა, არა მხოლოდ იტალიურის. სანამ ტრაგედია არ მოხდება, მანამდე კანონების დაცვაზე არ ზრუნავენ.

**- ახლა უფრო მკაცრი კანონები იმოქმედებს: ინგლისურ მოდელს კარგად იცნობთ, როგორ ფიქრობთ, იტალიაში ის გაამართლებს?**

- მე ის ვიცი, რომ ინგლისში პრობლემები ჰქონდათ და მოგვარება შეძლეს. დღეს ინგლისურ სტადიონებზე ვხედავ ბავშვებს, ქალებს, ოჯახებს, ხალხს სტადიონზე შესვლა უხარია.

**- იტალიაში კი ცარიელ ტრიბუნებს ხედავთ. ასეთი ზომის მიღება გარდაუვალი იყო?**

- ცარიელ სტადიონზე თამაშის დროს ძალიან უცნაური გრძნობა მქონდა, მაგრამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოსაგვარებლად შეიძლება, სხვა გზა აღარც იყო. გრძელვადიანი პერსპექტივისთვის ასეთი ზომა აღარ ივარგებს, რადგან მაყურებლის გარეშე ფეხბურთი ფეხბურთი აღარ არის. სამომავლოდ გამოსავალი ახალი კანონების მიღება და მათი დაცვა იქნება. სიტუაცია ერთ დღეში ვერ შეიცვლება, საჭიროა დრო, მოთმინება და რაც მთავარია, ნება, რომ რაღაც მართლა შეიცვალოს.

**გოგა ახალაძე**

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

**ჭადრაკი**

ინტერვიუ სოფიკო გურამიშვილთან

# უფროს ბიჭებთან გამარჯვებული



სოფიკო გურამიშვილი

**გასულ კვირას დასრულდა 18-წლამდელ გოგონათა და ჭაბუკთა საქართველოს პირველობა. გოგონებში მირანდა მიქაძემ იმარჯვა და ეს არავის გაკვირვებია, რადგანაც მიქაძე ფავორიტად მიიჩნეოდა, ჭაბუკთა შორის კი ნამდვილად მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა - 16 წლის სოფიკო გურამიშვილმა ყველას აჯობა და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. ტრიუმფატორი დღეს "ლელოს" სტუმარია და წარმატების მიზეზებზე გვესაუბრება.**

- პირველ რიგში, გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. ძალიან ძლიერი ჭაბუკები თამაშობდნენ და ვფიქრობდი, თუკი სამეულში გავალ, დიდი შედეგი იქნება-მეთქი. საბედნიეროდ, ისე გამოვიდა, რომ ჩემპიონი გავხდი და ძალიან ბედნიერი ვარ.

**- მაინც, რის ხარჯზე შეძელი ბიჭების ძლევა? რა ფაქტორებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი?**

- რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა იყო, მაგრამ მთავარი მაინც საკუთარი თამაშის ხარისხია - ყველა პარტია კარგად წარვმართე, ცხადია, თუ არ ჩავთვლით მესამე ტურში თორნიკე სანიკიძესთან წაგებულ პარტიას. დებიუტიდან კარგად გამოვდიოდი, უპირატესობას ვავითარებდი და სასურველ შედეგს ვიღებდი. განსაკუთრებით ლამაზი პარტია გამოვიდა მეშვიდე ტურში, როცა თეთრებით უმცროსი ასაკის, მაგრამ ძალიან ნიჭიერ ირაკლი ბერაძეს შევხვდი. აქ რამდენიმე შეწირვა განვახორციელე და მოვიგე. დებიუტიდან კარგი პოზიცია მივიღე გაიოზ ნიგალიძესთან, თუმცა შემდეგ გავაფუჭე და ბოლოს უარესიც მქონდა, მაგრამ თავის დაძვრენა მოვახერხე და ყაიმს მივაღწიე. უნდა მომეგო გიორგი მარგველაშვილთან, მაგრამ შევცდი და აქაც ყაიმს დავჯერდი. გადამწყვეტ პარტიაში ზვიად ფაციასთან თავიდან მოსაგები პოზიცია მივიღე, მაგრამ შუა თამაშში ინიციატივა ხელიდან გავუშვი. საბედნიეროდ, უპირატესობა იმხელა მქონდა, რომ მოსაგებად მაინც საკმარისი აღმოჩნდა და პირველ ადგილზეც გავედი.

**- ბიჭების, თანაც ორი წლით უფროსების ჯობნა თავისთავად დიდი შედეგია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2005 წლის ბოლო და 2006 წლის პირველი ნახევარი ჩააგდე, ახლანდელი წარმატება კიდევ უფრო მოულოდნელია. მზადების მეთოდი ხომ არ შეცვალე?**

- ბევრს ვმეცადინეობდი და როგორც წესი, ცოდნა არ იკარგება. წარმატებებს დაულალავ ვარჯიშს მივაწერ. მართალი ბრძანდებით, ზედიზედ 5-6 ტურნირი ჩავაგდე, არადა თითქოს არაფერი შემიცვლია მზადებაში, არც მიზარმაცია. გარდატეხა თავისთავად, ზაფხულის შემდეგ მოხდა, როცა საქველმოქმედო საჭადრაკო ორგანიზაციის "მშვიდობის მტრედის" მიწვევით ერთი თვით ესპანეთში გავემგზავრე. ესპანეთში რამდენიმე ტურნირში ვითამაშე და ყველგან წარმატებას მივაღწიე. ამის შემდეგ იყო ოქტომბერში, ბათუმში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც 16 წლამდე გოგონათა შორის ჩემპიონი გავხდი. დეკემბერში კი, ტიგრან პეტროსიანის ტურნირზე ვითამაშე - მეტოქეებად მხოლოდ ბიჭები იყვნენ, - ლევან ფანცულაია, თორნიკე სანიკიძე, ლევან ბრეგაძე, გიორგი მარგველაშვილი, დავით ჯოჯუა, ლუკა პაიჭაძე, ანუ ისინი ვინც ამჯერად ითვლებოდნენ ჩემპიონობის ფავორიტებად (ფანცულაიას გარდა), ყველა მათგანს ორჯერ შევხვდი და უმეტესობასთან დადებითი ბალანსით დავასრულე მინი-მატჩი. ასე რომ, მათთან წარმატებული თამაშის პრაქტიკა უკვე მქონდა.

**- ერთი თვის წინათ ქალთა პირველ ლიგაში იასპარეზე, მაგრამ უმაღლესი ლიგის საგზური ვერ მოიპოვე. აქ რამ შეგიშალა ხელი?**

- ალბათ ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გავუძელი - გადამწყვეტ პარტიაში ინგა ჭარხალაშვილთან აბსოლუტურად მოსაგებ პოზიციაში უხეში შეცდომა დავუშვი და წავაგე. გული ძალიან დამწყდა, მაგრამ ვერაფერს ვიზამ - ქალთა უმაღლეს ლიგაში თამაშს მომავალი წლიდან შევეცდები.

**- ორიოდ დღეში კაცთა პირველი ლიგა იწყება და თუ ითამაშებ?**

- აუცილებლად, რადგანაც ძალიან ძლიერი ტურნირია - თითქმის ყველა უძლიერსი ქართველი მოჭადრაკე ითამაშებს და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. შესანიშნავი პრაქტიკაა ნებისმიერისთვის, მეც პრაქტიკისთვის მივიღებ მონაწილეობას. სხვათა შორის, 18-წლამდელებშიც, ძირითადად, პრაქტიკის გამო ვითამაშე.

**- თუ ასეა, არ არის გამორიცხული აქაც ასეთივე წარმატებით გამოხვიდე და კაცთა უმაღლეს ლიგაში მოხვდე.**

- არა, რას ამბობთ?! ვერც კი ვიფიქრებ ამაზე - მართლა ძლიერი მოჭადრაკეები არიან, თანაც უმაღლესი ლიგის მხოლოდ 4 საგზური თამაშდება და იქ ნამდვილად ვერ მოვხვდები. კარგად ასპარეზობის სურვილი კი მაქვს, მაგრამ კონკრეტულ გეგმას ვერ დავისახავ.

**- როგორ ფიქრობ, რომელი უფრო ძლიერი ტურნირი იყო - 18-წლამდელ ჭაბუკთა საქართველოს პირველობა თუ 16-წლამდელ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი? ორივეგან ჩემპიონი გახდი?**

- ტიტულით, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატი უფრო მაღალია, მაგრამ სიძლიერით საქართველოს ჩემპიონატი ჯობდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ახლანდელი წარმატება ჩემი კარიერის საუკეთესო შედეგია.

**- ვისთან მეცადინეობ?**

- ერთი წელია, დიდოსტატ დავით არუთინიანთან ვვარჯიშობ. დავითი დებიუტებში მეხმარება - შედეგიც ჩანს. შუა თამაშსა და დაბოლოებებში ბატონ ვალიკო ურიდიასთან ვმეცადინეობ - მასთან ერთად კლასიკას ვარჩევ.

**- მიიჩნეოდა, რომ ძველი, კლასიკური პარტიები თანამედროვე მოჭადრაკეებისთვის უმაღლეს ღირებულებას არ წარმოადგენს - ახალმა დროებამ ბევრი რამ დაიწუნა...**

- დაწუნება შეიძლება მოხდეს სადებიუტო სქემაში, - თანამედროვე ანალიზმა მართლაც ძირეულად შეცვალა სადებიუტო სტრუქტურები, მაგრამ დებიუტი მხოლოდ ერთი მიმართულებაა, რომელიც მალე სრულდება და პარტია შუა თამაშში უნდა გაგრძელდეს. ამას კი დაბოლოება - ენდშპილი მოჰყვება. კლასიკოსთა პარტიებში იდეების, შინაარსის და გეგმების შესწავლა ხდება - სწორედ შუა თამაშიდან ბოლომდე - ეს კი მუდმივი საჭადრაკო ფასეულობაა. კიდევ სხვაგვარია ტაქტიკასა და კომბინაციურ ხედვაზე მუშაობა - კლასიკურ პარტიებში ამის შესახებაც უამრავი მასალაა, მაგრამ ძირითადი სამუშაო მაინც ეტიუდებისა და ამოცანების ამოხსნაა - ყოველდღე უნდა იმუშაო, რათა გონებაში გაგიჯდეს და მყისიერი რეაქცია გქონდეს.

**- წლევანდელ ასაკობრივ ჩემპიონატებში რას ირჩევ - ჭაბუკებში თამაშს თუ გოგონებში?**

- სექტემბერში ევროპის ჩემპიონატია და იქ 18-წლამდელ ჭაბუკებში ვიასპარეზებ, ოქტომბერში კი მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე გოგონებში ვითამაშებ. იქამდე ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აპრილში დრეზდენში გასამართი ქალთა ევროპის ჩემპიონატია. ასეთ ტურნირზე დებიუტი მექნება და მსურს, ღირსეულად გამოვიდე.

**ზვიად შათირიშვილი**

**თარიღი**



15 თებერვალი, 1951 - დაიბადა შოთა მორჩილაძე (ანტიკური ჭიდაობა), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე (1974) და მესამე (1973) პრიზიორი, ევროპის ჩემპიოონი (1974) და მესამე პრიზიორი (1973), სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1977), ხუთგზის მეორე (1974, 75, 77, 80, 81) და სამგზის მესამე (1969, 70, 78) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1973), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975).

**რაგბი**



ზურაბ ამონაშვილი და გია ღლონტი

19-წლამდელთა ნაკრები

# მიზანი: A ჯგუფი

**საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები 4 აპრილიდან ირლანდიაში იბრძოლებს მსოფლიო ჩემპიონატის B ჯგუფიდან A-ში გადასასვლელად. რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებად იმუშავებენ ყოფილი აღმზრდელი და მოწაფე, გია ღლონტი და ზურაბ ამონაშვილი. უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის მზადების თაობაზე სწორედ მათ ვესაუბრეთ.**

ზურაბ ამონაშვილი: გუნდი პირველად 3 იანვარს შევკრიბეთ. პირველი ეტაპი სასელექციო სამუშაოებს დაეთმო. თავდაპირველად 60 კაცი გამოვიძახეთ. ცაიტნოტში ვიყავით - ერთი წლით უმცროსები რაც შეიძლება მალე უნდა აგვერჩია, რათა ვინც გუნდში ვერ მოხვდებოდა, თვრამეტწლამდელთა ნაკრებში, ლევან მაისაშვილთან დაბრუნებულიყო. ეს გუნდი, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება.

გია ღლონტი: - ეს გარკვეულ პრობლემებს გვიქმნიდა, თუმცა მიგვაჩნია, რომ ნაკრებისთვის ყველაზე ღირსეულები შევარჩიეთ. თავიდან ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვიზრუნეთ. დღეისთვის ვარჯიშების შინაარსი შეიცვალა. კვირაში სამჯერ ფიზიკურ დატვირთვებს ვაძლევთ ბიჭებს, სამჯერ კი მოედანზე შევდივართ და ბურთით, სათამაშო კომბინაციებზე ვმუშაობთ. "შევარდენის " სარაგბო სტადიონზე ვვარჯიშობთ.

**- რამდენად დიდია ნაკრებში გამოძახებულთა გეოგრაფია?**

ზურაბ ამონაშვილი: - ამჟამად ჩვენს განკარგულებაში 34 მორაგბეა. ამათგან სამი ქუთაისელია, ორი რუსთაველი, 5 მარტიდან კი ფრანგული "აჟენის" ახალგაზრდული გუნდის მოთამაშე დავით ჩიჩუა შემოგვემატება. საბოლოოდ, ჩემპიონატზე წასაყვანად 26 მორაგბე უნდა შევარჩიოთ.

გია ღლონტი: - 10 მარტიდან შეკრებას ბათუმში მოვაწყობთ. იქ სასტუმრო "თანამგზავრში" დავაბინავებთ და ანგისას სტადიონზე ვივარჯიშებთ. 11-12 დღე გავჩერდებით, მერე კი ირლანდიაში ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გავემგზავრებით. იქ ალბათ ერთ შეხვედრას გავმართავთ სტუდენტურ გუნდთან. თუმცა, მანამდე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო და უამრავი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. თავად განსაჯეთ, 34 მორაგბიდან დღეისთვის 13 ტრავმირებულია. ამათგან ხუთი შეძლებს თუ არა საერთოდ ჩემპიონატზე გამგზავრებას, ჯერაც გაურკვეველია.

**- რა არის ასეთი ტრავმიანობის მიზეზი?**

- ზურაბ ამონაშვილი: ცუდია, რომ ნაკრების მორაგბეთა საწვრთნელი შეკრება ძალიან გვიან იწყება. როგორია უმოკლეს დროში, სამ თვეში სელექციაც უნდა მოასწრო და შერჩეული მორაგბეების გაწვრთნაც. ამას დაურთეთ ისიც, რომ საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მორაგბეები ვარჯიშს წყვეტენ და ჩვენთან მოუმზადებელნი, უვარჯიშებელნი მოდიან. არადა, კარგ ფორმამდე მისაყვანად ძალიან ცოტა დრო გვაქვს, ამიტომ სრულ ფიზიკურ დატვირთვებს ვაძლევთ - მოუმზადებელი მორაგბე კი ამ დროს ვერ უძლებს და ტრავმებსაც იოლად იღებს.

გია ღლონტი: - ისე არ იფიქროთ, რომ ვწუწუნებდეთ და წინასწარ თავს ვიზღვევდეთ. ასე არაა. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდანვე ვიტყოდით უარს ნაკრების მწვრთნელობაზე. ის, მორაგბე ნაკრებში მოუმზადებელი რომ მოდის, მარტო კლუბის ბრალი არაა. თვითონ მორაგბეებიც არიან დამნაშავე. ხომ იცოდნენ, რომ ნაკრების კანდიდატები არიან? შეეძლოთ თავისთვის, ინდივიდუალურად მომზადებულიყვნენ. მიუხედავად ყველა სიძნელისა გუნდში საბრძოლო განწყობაა. ძალიან მეგობრული კოლექტივი შეიკრა. მიუხედავად საკმაოდ დიდი კონკურენციისა, რაიმე დაძაბული ურთიერთობის ნიშანწყალიც არაა. თუმცა, ყველა მაქსიმალური თავდადებით იბრძვის ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად.

**- ჩვენი გუნდის მეტოქეები არიან რუმინეთი, რუსეთი და ზიმბაბვე. რა იცით მათ შესახებ?**

- ზურაბ ამონაშვილი: რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებებს კარგად ვიცნობთ ევროპის ჩემპიონატიდან, თუმცა, არაფერი ვიცით ზიმბაბვეზე. სუსტი გუნდი არც ამ აფრიკულ ქვეყანას ეყოლება.

გია ღლონტი: როგორც არ უნდა იყოს, ჩვენი მიზანი B ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება და A ჯგუფში დაბრუნებაა. ამ სამი თამაშის შემდეგ, ფლეი ოფში კიდევ უფრო ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს თამაში. ჩვენი ძირითადი კონკურენტები ტონგა და იტალია იქნებიან. თუ ოპტიმალური შემადგენლობის წაყვანა შევძელით ირლანდიაში, მიზნის მიღწევა სავსებით რეალურად მესახება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველო U-19**

**I ხაზი:** გიორგი ცირეკიძე (არმაზი), ბექა სულუხია (აია), გიორგი ჯამიტაშვილი (ხულიგანა), რეზო ბასილაშვილი (რუსთავი), ირაკლი მირცხულავა (დინამო), პაპუნა ელოშვილი (ლოკომოტივი), დავით ალადაშვილი (ლურჯი ხარები), დავით ხეჩიკოვი (ლოკომოტივი)

**II ხაზი:** გიორგი სურგულაძე (ლურჯი ხარები), ილია ჩხეიძე (ლელო), ლადო ჩოჩიშვილი (ყოჩები), თორნიკე ძაგნიძე (აია), ლევან გამჯაშვილი (აკადემია)

**III ხაზი:** ვახტანგ მძინარიშვილი (ლელო), ვასილ კაკოვინი (ლელო), არჩილ კობაური (ლელო), გიორგი კალმახელიძე (ხულიგანა), დავით ჩიჩუა (აჟენი)

9: როინ ქათამაძე (ყოჩები), გიორგი როხვაძე (აია), გიორგი ზირაქაშვილი (რუსთავი)

10: ლაშა ხმალაძე (ლელო), რატი ნუცუბიძე (ლურჯი ხარები)

12-13: სანდრო იაშვილი (ყოჩები), გიორგი ონიანი (აია), ჯაბა სონღულაშვილი (ხულიგანა), დავით დათუკიშვილი (ლოკომოტივი)

11-14: ჯაბა კიკვიძე, ბექა წიკლაური, ალექსი ტუჩაშვილი (ლურჯი ხარები), გიორგი სვანიძე (აკადემია)

15: ვახტანგ კავთიძე, მიხეილ წიკლაური (ლურჯი ხარები)

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კრივი**

საქართველოს ჩემპიონატი

# იდუმალი ავადმყოფობა

**მოკრივეებს რას ვერჩი, მაგრამ მათ მწვრთნელებს მინდა ასეთი შეკითხვა დავუსვა: თუ არ გყავთ ისეთი მოკრივეები, რომლებიც გამარჯვებას რომ თავი დავანებოთ, ძლიერ მეტოქეებს ოთხი რაუნდი ვერ გაუძლებენ, რატომღა გამოგყავთ ისინი საქართველოს ჩემპიონატზე?**


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ასეთი შესავალი გუშინ გამართული საქართველოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური ორთაბრძოლების შემდეგ დაგვჭირდა. თავად განსაჯეთ: გუშინ დაგეგმილი 22 ნახვარფინალიდან, 5 არ გაიმართა ერთ-ერთი მოკრივის გამოუცხადებლობის გამო. კონკრეტულად, მეტოქეები არ გამოუცხადდნენ **ალექსანდრე ჩეჩელიანს** (48 კგ), **ლევან ღვამიჩავას** (64), **კახა ჟვანიას** (69), **რევაზ ქარელიშვილს** (75) და **ბექა ლობჟანიძეს** (+91). როგორც დიქტორმა გვამცნო, ხუთივეს მოკრივეს ავადმყოფობა შეჰყრია. ტრიბუნებზე, გვერდით სულ მოკრივეები გვესხდნენ, რომელთაც ასეთი განცხადებები სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ და ამბობდნენ, არ დაიჯეროთ, შეგნებულად არიდებენ თავს ძლიერ მეტოქესთან შეხვედრებს, რათა ნოკაუტი არ მიიღონო.

ამას გარდა, სეკუნდანტთა უარის გამო, ოთხი შეხვედრა პირველ-მეორე რაუნდებშივე შეწყდა, ოთხჯერ ვადამდე დასრულდა ორთაბრძოლა ერთი მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო, ერთიც ნოკაუტი იყო. ასე რომ თავიდან ბოლომდე, ოცდაორიდან გაიმართა მხოლოდ რვა შეხვედრა. თანაც, ეს მოხდა ნახევარფინალურ ეტაპზე, სადაც. წესითა და რიგით, ყველა უძლიერესი მოკრივე უნდა იყოს გასული. მით უმეტეს, რომ ნახევარფინალამდე, ფაქტობრივად, ერთი სენსაციაც არ დაფიქსირებულა. თუმცა ამაზე და ქართული კრივის სხვა პრობლემებზე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვილაპარაკოთ, ახლა კი უშუალოდ გუშინდელ შეხვედრებს მივუბრუნდეთ.

48 კგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩეჩელიანს მეტოქე არ გამოუცხადდა და იგი ხელის გაუქნევლად გავიდა ფინალში. **ზვიად ხადურმა** კი, სასტარტო 0:2 ჩამორჩენისა და პირველი რაუნდის ფრედ დამთავრების შემდეგ, **დავით გასვიანს** შავი დღე აყარა და მესამე რაუნდში ოცი ქულით დაწინაურდა. შესაბამისად, ბრძოლა შეწყდა - აშკარა უპირატესობის გამო, გამარჯვება მიენიჭა ხადურს. ვნახოთ, დაიცავს თუ ვერა იგი შარშან მოპოვებულ ოქროს მედალს.

51 კგ. აქ ნახევარფინალების პირველი სენსაცია ვიხილეთ. დაძაბულ ბრძოლაში, ქულებით წააგო შარშანდელმა ჩემპიონმა **ვახტანგ წინამძღვრიშვილმა,** რომელმაც ფინალის საგზური **მერაბ თურქაძეს** გადაულოცა. მეორე შეხვედრაში კი **გიორგი კილანავამ** იოლად იმარჯვა და დღეს თურქაძესთან ის გაარკვევს ჩემპიონის ვინაობას.

54 კგ. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ნიკოლოზ იზორია** მხოლოდ ნახევარფინალიდან ჩაერთო საქართველოს ჩემპიონატში. მას **ვანო ყოჩიაშვილის** 20-ქულიანი უპირატესობით დასამარცხებლად სამი რაუნდი დასჭირდა და ფინალშიც გავიდა, სადაც ნახევარფინალის ასევე იოლად მომგები **კახა ლაზარაშვილი** ელის.

57 კგ. საქართველოს ნაკრების წევრ **კობა ფხაკაძეს გიორგი ნაროზაული** სამი რაუნდი მეტ-ნაკლებად გაუძალიანდა, მაგრამ კობას გამოცდილებამ და კლასმა მაინც თავისი გაიტანა. ასევე უპრობლემოდ მოიგო შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა **გიორგი კევლიშვილმა**. წესით, ფხაკაძე-კევლიშვილის ფინალი საკმაოდ საინტერესო უნდა გამოდგეს.

60 კგ. გრძელდება **ვასილ ყაზიშვილის** "სეირნობა". მისი მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდა **არტიომ კულახსზიანი**, რომელიც პირველსავე რაუნდში ორჯერ დაანოკდაუნა და სეკუნდანტს პირსახოცის გადმოგდება აიძულა. სამაგიეროდ, დამარცხდა წინა დღის გმირი **მინდია ჭინჭარაული** - იგი გუშინაც თავიდანვე სოლიდური სხვაობით ჩამორჩა მეტოქეს, თუმცა, კაშიასაგან განსხვავებით, გუშინ **ამირან ჯანჯღავამ,** ფაქტობრივად, ხელის განძრევის საშუალება არ მისცა და მესამე რაუნდში ოცქულიანი აშკარა უპირატესობით მოუგო. ჯანჯღავა საკმაოდ ენერგიული, ფიზიკურად ძლიერი ბიჭია და ეგებ მან მაინც გაუწიოს ღირსეული წინააღმდეგობა ყაზიშვილს.

64 კგ. მოიგო ორივე ფავორიტმა. ლევან ღვამიჩავას მეტოქე არ გამოუცხადდა, ხოლო **კონსტანტინე კუპატაძეს** პირველი რაუნდის შემდეგ გადმოუგდო პირსახოცი **სპარტაკ წოწონავას** სეკუნდანტმა. აი, ფინალში კი, რა თქმა უნდა, არც ერთს ელის იოლი გასეირნება და საკმაოდ თვალსასეირო ბრძოლას ველით.

69 კგ. აქ კახა ჟვანია იმდენად აშკარა ფავორიტია, რომ მასთან ბრძოლას უკვე ყველა ერიდება. გუშინ ხომ არ გამოუცხადდა **პეტრე ჯანგავაძე** და იმასაც მოვკარით ყური, ფინალშიც მოერიდებიანო. ვიმედოვნებთ, ასე არ მოხდება...

75 კგ. რეზო ქარელიშვილი უბრძოლველად გავიდა ფინალში, **გიორგი ნაკანმა** კი მეორე რაუნდიდან დაიწყო **ლევან გულედანის** მოტეხვა და მართალია, ქულებით, მაგრამ შეძლო კიდეც ამის გაკეთება.

81 კგ. ბოლო წლებში საქართველოს ნაკრების უცვლელმა წევრმა **დავით წიკლაურმა დავით დუნდუას** დაძაბულ ბრძოლაში მოუგო. აი, შარშანდელი ჩემპიონი **თორნიკე იველაშვილი** კი ზედიზედ მეორედ გადაურჩა მარცხს. ამჯერად, **ლევან კლდიაშვილთან** მოუწია უშელავათო ბრძოლამ და მხოლოდ ბოლო წამებზე მიყენებული დარტყმით გაიმარჯვა.

91 კგ. მოიგო ორივე ფავორიტმა. **დავით შათირიშვილმაც** და **იაგო კილაძემაც** იოლად დაჩაგრეს მეტოქეები და მათ მწვრთნელებს ნაადრევად შეაწყვეტინეს ბრძოლები. ორივე შეხვედრა მეორე რაუნდში შეწყდა.

+91 კგ. ყველაზე დიდი მოულოდნელობები ამ წონაში ხდება. ჯერ იყო და, აქამდე 91 კილოგრამში მოასპარეზე **ბექა ლობჟანიძემ** აინაცვლა მძიმეში, სადაც უმალვე ისეთივე ფავორიტად იქცა, როგორც ძველ წონაში. გუშინ კი ერთი უსიამოვნო ამბავიც გავიგეთ. შარშანდელი ჩემპიონი **იუზა გულორდავა** ამ შეჯიბრებაზე არ გამოდის. როგორც კრივის ფედერაციიდან გვაცნობეს, იგი თურმე საბერძნეთში აპირებს გადაბარგებას. დღის და მთელი ტურნირის მთავარი სენსაციაც გუშინ მოხდა ამ წონაში. ერთ-ერთი ფავორიტი **თამაზ ჯავოევი** ყველასთვის უცნობ **დავით სტეფანიასთან** პირველივე რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა. თანაც, ისეთი მძიმე დარტყმა მიიღო, რომ ალბათ 6 თვე ვერ ივარჯიშებს. სტეფანია ოქროს მედალს ლობჟანიძეს შეეცილება და ვნახოთ, შეძლებს თუ ვერა ზედიზედ მეორე სენსაციის მოხდენას.

**დღეს, ფინალური ორთაბრძოლები კვლავ 13 საათიდან დაიწყება ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში.**

**კობა ხატისაშვილი**

### ოთხი ექვსრაუნდიანი

ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში, დღეს გაიმართება პროფესიონალ მოკრივეთა მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები. სულ ოთხი ბრძოლა შედგება და ყველა ექვსრაუნდიანია. შეხვედრები 18 საათისთვის დაიწყება. გაგაცნობთ წყვილებს.

**54 კგ.** კახა ტოკლიკიშვილი (დედოფლისწყარო) - გიორგი გაჩეჩილაძე (ქუთაისი)
**62 კგ.** დავით ტლაშაძე (გორი) - ნიკოლოზ ავეტისიანი (ბორჯომი)
66 კგ. დავით ქადაგიძე (დედოფლისწყარო) - ლაშა ჯანიბეგაშვილი (თბილისი)
**+90 კგ.** ავით გეგეშიძე (თბილისი) - ზურაბ ნონიაშვილი (კასპი)

| ნახევარფინალი |
|---|
| **48 კგ** |
| დავით თედიაშვილი (ვარიანი) - **ალექსანდრე ჩეჩელიანი** (ახალქალაქი) 0:1 (მ. გ) |
| **ზვიად ხადური** (თბილისი) - დავით გასვიანი (ფოთი) 1:0 (ა. უ) |
| **51 კგ** |
| **გიორგი კილანავა** (ფოთი) - ირაკლი ონაშვილი (რუსთავი) 1:0 (ა. უ) |
| ვახტანგ წინამძღვრიშვილი (გორი) - **მერაბ თურქაძე** (ქუთაისი) 12:15 |
| **54 კგ** |
| ვანო ყოჩიაშვილი (გურჯაანი) - **ნიკოლოზ იზორია** (ფოთი) 0:1 (ა. უ) |
| **კახა ლაზარაშვილი** (ვარიანი) - ხვიჩა პაპიასვილი (თბილისი) 23:6 |
| **57 კგ** |
| **კობა ფხაკაძე** (ქუთაისი) - გიორგი ნაროზაული (გარდაბანი) 20:7 |
| **გიორგი კევლიშვილი** (გორი) - ნუგზარ გუმბარიძე (ქუთაისი) 34:10 |
| **60 კგ** |
| **ამირან ჯანჯღავა** (რუსთავი) - მინდია ჭინჭარაული 1:0 (ა. უ) |
| **ვასილ ყაზიშვილი** (გორი) - არტიომ კულახსზიანი 1:0 (ს. უ) |
| **64 კგ** |
| **ლევან ღვამიჩავა** (ფოთი) - ამირან გოგიავა (ბათუმი) 1:0 (მ. გ) |
| სპარტაკ წონიავა (თბილისი) - **კონსტანტინე კუპატაძე** (თბილისი) 0:1 (ს. უ) |
| **69 კგ** |
| გაგა ელიაშვილი (ქუთაისი) - **გიორგი გონჯილაშვილი** (გარდაბანი) 7:15 |
| პეტრე ჯანგავაძე (ქუთაისი) - **კახა ჟვანია** (ფოთი) 0:1 (მ. გ) |
| **75 კგ** |
| **რევაზ ქარელიშვილი** (ვარიანი) - ნიკა თამაზაშვილი (თბილისი) 1:0 (მ. გ) |
| **გიორგი ნაკანი** (მესტია) - ლევან გულედანი (თბილისი) 19:10 |
| **81 კგ** |
| ირაკლი დუნდუა (ფოთი) - **დავით წიკლაური** (თბილისი) 12:17 |
| ლევან კლდიაშვილი (თბილისი) - **თორნიკე იველაშვილი** (გარდაბანი) 10:11 |
| **91 კგ** |
| **დავით შათირიშვილი** (თელავი) - ემზარ ბერაია (ქუთაისი) 1:0 (ს. უ) |
| **იაგო კილაძე** (საჩხერე) - ვენედიკ კაზარიანი (ახალქალაქი) 1:0 (ს. უ) |
| **+91 კგ** |
| თამაზ ჯავოევი (თბილისი) - **დავით სტეფანია** (ფოთი) 0:1 (ნოკ) |
| **ბექა ლობჟანიძე** (გორი) - ალექსანდრე ქავთარაძე (მარნეული) 1:0 (მ. გ) |

*განმარტება. ა. უ - აშკარა უპირატესობით მოგება, ს.უ - სეკუნდანტის უარი, რინგზე პირსახოცის გადმოგდება, ნოკ - ნოკაუტი, მ. გ - მეტოქის გამოუცხადებლობა*

**ზამთრის ბავშვთა ოლიმპიადა**

# სიახლე: ქართული ბიათლონი ხაკაში

European Youth Olympic Festival 2007
JACA07
Festival Olímpico de la Juventud Europea · Festival Olympique de la Jeunesse Eu

18-23 თებერვალს ესპანურ ხაკაში გაიმართება ევროპის ბავშვთა ზამთრის ოლიმპიადა, რომელშიც საქართველოს დელეგაციაც იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის ქალაქია, რომელიც ბაკურიანს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობას ეცილებოდა, თუმცა ორივეს პირველივე ტურში მოეცარა ხელი. ოლიმპიადის დარი მასშტაბური ტურნირების საარჩევნო კამპანიაში ჩართვამდე კანდიდატები შედარებით პატარა შეჯიბრებების ჩატარებით ცდილობენ ზემდგომთათვის თავის მოწონებას. აღნიშნული თამაშების ჩატარებაზე ხაკამაც ამიტომ გამოიდო თავი.

ამ თამაშებში საქართველო, ჩვეულებისამებრ, მოკრძალებული გუნდით გამოვა, რადგან ჩვენში ზამთრის სახეობებს ძალიან უჭირთ. ქართველები მხოლოდ ბიატლონსა და სამთოთხილამურობაში გამოვლენ -სულ ხუთი სპორტსმენი, რომელთაგანაც სამი ბაკურიანელია, ორი თბილისელი. ბიატლონში ბაკურიანელები - **გიორგი ავაქიანი** და **ეკატერინე მურადიანი** გამოვლენ. სამთოთხილამურობაში ასევე ბაკურიანელ **კონსტანტინე ვახტანგიშვილთან** ერთად თბილისელები - **ნინო ნინუა** და **ირაკლი ჩხეიძეც** იასპარეზებენ. ბიატლონისტთა მწვრთნელი **ალექსანდრე ბუძიშვილია,** მოთხილამურეებისა - **დავით ჯაფარიძე**.

ჩვენი დელეგაცია თბილისიდან 16 თებერვალს გაემგზავრება და 18-ში გახსნის ცერემონიალში გამოვა. ჩვენები სტარტზე პირველად 20-ში გავლენ - ბიატლონისტები 7.5 კილომეტრიან სპრინტში და ნინუა. მეორე დღეს ვახტანგიშვილი და ჩხეიძე გიგანტურ სლალომში ისრიალებენ. 22-ში მხოლოდ ნინუა გამოვა, ოღონდ ამჯერად სლალომში, ასპარეზობას კი 23-ში ისევ სლალომით ვახტანგიშვილი და ჩხეიძე დაასრულებენ.

მრავალრიცხოვანი არც მთელი დელეგაციაა, რომელშიც აღნიშნულ მწვრთნელ-სპორტსმენთა გარდა, სულ ოთხი კაცი შედის. დელეგაციის ხელმძღვანელია სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, მისიის ხელმძღვანელი - სეოკ-ის სპორტული დირექტორის მოადგილე **გიორგი ესაკია**. დელეგაციაში ასევე შედიან სპორტული დირექტორი **კონსტანტინე ღლონტი** და საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორი **რუსუდან აფციაური,** რომელიც თარჯიმნის მისიასაც შეასრულებს. დელეგაცია ხაკადან 24-ში გამოემგზავრება და თბილისში მეორე დღეს დაბრუნდება.

ამ თამაშებზე ეს ჩვენების მეოთხე გამოსვლა იქნება. დებიუტი 1995 წელს ანდორაში შედგა, რასაც ორ წელიწადში შვედურ სუნდსვალში ქართველთათვის ერთადერთი წარმატებული ოლიმპიადა მოჰყვა - **ვახტანგ მურვანიძემ** ფიგურულ ფიგურაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამის შემდეგ ჩვენები მსგავს თამაშებში დიდხანს არც გამოსულან, ვიდრე 2005-ში შვეიცარიულ მანტეიში არ იასპარეზეს. ვნახოთ, რას იზამენ მეოთხე ჯერზე ესპანეთის კოხტა ზამთრის კურორტზე..

**ირაკლი თავაძე**


შეჯიბრების თილისმა - პინგვინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XIII ტური. პრესკონფერენცია

# ჯანმრთელზე მეტი ავადმყოფი გვყავს



ზაზა ცაგარეიშვილი, დინამო



გია ჯავახიშვილი, თსუ

**17 თებერვალი. ვერის პარკი**

12:00 სტუ-ავიამშენი
14:00 მაკაბი-აზოტი
16:00 დინამო-თსუ

გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტმა" მორიგ პრესკონფერენციას უმასპინძლა. დარბაზში შესულთ კალათბურთელ-მწვრთნელების მაგიდის ადგილას დასაკრავად გამზადებული დასარტყამი ინსტრუმენტი დაგვხვდა. "მზის დარტყმისა" არ იყოს, გვეგონა აქაც კალათბურთელებს უმზადებდნენ ხრიკს, მაგრამ დარბაზის კუთხეში მიგვიწვიეს, სადაც საპრესკონფერენციო მაგიდა გაემზადებინათ. მას ერთი მხრიდან დინამოელები - **ზაზა ცაგარეიშვილი** (მწვრთნელი) და **ზურაბ ბადრიძე** (გამთამაშებელი) მიუსხდნენ, მეორედან უნივერსიტეტელები: **გია ჯავახიშვილი** (მეორე მწვრთნელი) და **ბესიკ ლეჟავა** (მსროლელი).

პრესკონფერენცია სტუდენტთა მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა გახსნა:

- ამასწინათ, "ავიამშენთან" გავმართეთ საკონტროლო მატჩი, რომელშიც გამოცდილი ბუბა ბერიშვილი დაშავდა და "დინამოს" ინაალმდეგ ვერ ითამაშებს. ეს ერთადერთი დანაკლისია. დაგვიბრუნდა დავით იმნაძე, რომელსაც ტვინის შერყევის, გამო წინა ტური გაუცდა. ახლა რაც შეეხება უშუალოდ "დინამოსთან" მატჩს. ველით საინტერესო ორთაბრძოლას, მეტოქეს ახალგაზრდული, მებრძოლი გუნდი ჰყავს და მისი გატეხვა იოლი არ იქნება.

**ბესიკ ლეჟავამ** თსუ-სა და "დინამოს" მეორე წრის დაპირისპირება გაიხსენა: - მაშინ დინამოელთა ძლევა ძალიან გაგვიჭირდა და ბოლო წუთებზე მოვახერხეთ გარდატეხის შეტანა. იოლი ბრძოლა არც ახლა გველის, მაგრამ ვეცდებით, საქმე ბოლო წამებამდე არ მივიყვანოთ.

"დინამოს" მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** ყურადღება ჯანმრთელობაზე გააკეთა: - ჩვენს გუნდში ეპიდემიაა - ჯანმრთელზე მეტი ტრავმირებული გვყავს. გვაკლია ლექსო ლაფანაშვილი, დავით გვიმრაძე, ნოდარ ბექაური და ლაშა კეშელავა. ცოტა მომჯობინდა ზურაბ ბადრიძე, რომელიც შაბათს ითამაშებს. სხვათა შორის, ჩამოთვლილი მოთამაშეები წინა ტურშიც გვაკლდა, მაგრამ "აზოტის" წინააღმდეგ მაინც ღირსეულად ვიბრძოლეთ. ქომაგს ვპირდებით, რომ ამ შაბათსაც ლამაზი თამაში იქნება.

დინამოელმა **ზურაბ ბადრიძემ** შურისძიებაზე ილაპარაკა: - მეორე წრეში თსუ-სთან თითქმის მოგებული მატჩი დავთმეთ. გვინდა, მორიგი მატჩი რევანშისთვის გამოვიყენოთ, მაგრამ საქმეს ერთი-ორად ის ართულებს, რომ ძირითადი შემადგენლობის სამი კალათბურთელი ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვლადიმერ ბოისა

## ლეგიონერები

# ბოისამ რუსეთის ვიზა შეუკვეთა

**ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკი" ულების თასის ფინალისკენ თამამად მიიწევს. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შემდეგ სიენელებმა მერვედფინალური ეტაპიც უპრობლემოდ გაიარეს და ბერძნულ პაოკს ორივე მატჩი მოუგეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან "მონტეპასკიმ" პირველივე შეხვედრაში მოითავა საქმე - პაოკ-ს საბერძნეთში დამაჯერებლად სძლია, ხოლო იტალიაში სამქულიანი გამარჯვება იკმარა - 80:77.

ეს მატჩი წინამორბედთაგან იმით იყო გამორჩეული, რომ ბოისამ 22 წუთი ითამაშა - მანამდე მას მოედანზე 10-15 წუთით უწევდა ყოფნა. ჩვენიანი შეტევაში მეტისმეტი სიფრთხილით თამაშობდა, მონტეპასკელთა ნატყორცნი 41 ორქულიანიდან მხოლოდ ერთი იყო მის ანგარიშზე (ზუსტი), სამაგიეროდ, ორით მეტი სამქულიანი ისროლა და ორი კალათში მოათავსა.

ასე რომ, 22 წუთში ჩაგდებული 8 ქულა, 4 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა ქართველი ფორვარდის კარგ თამაშზე მიგვითითებს. იქნებ ამის შემდეგ მაინც ენდოს მწვრთნელი და სათამაშო დრო 20 წუთს ააცილოს. რადგან წინა შეხვედრებში ბოისასთვის გამოყოფილ უკმარ დროზე ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, გულდასაწყვეტი ისაა, რომ ბოისას წუთები იმ თანაამპლუელების ხარჯზე ეკვეცება, რომლებსაც ნამდვილად არაფრით ჩამოუვარდება. ამაში ყველა ის ქომაგი დაგვეთანხმება, ვისაც "მონტეპასკის" თამაში "ევროსპორტ-2-ზე" უნახავს.

საუბარს ანონსით დავასრულებთ. მეოთხედფინალში სიენელთა მეტოქე **შემონდ უილიამსის** ყოფილი კლუბი ყაზანის "უნიქსი" იქნება. პირველი მატჩი რუსეთში 27 თებერვალს გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრა იტალიაში 6 მარტს იგეგმება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "მონტეპასკის" ულების თასის მეორე ფავორიტთან მოუწევს დაპირისპირება.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# სერგო იმხნელი 60

გუშინ თბილისის "დინამოს" ყოფილ მოთამაშესა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **სერგო იმხნელს** 60 წელი შეუსრულდა. იუბილე მეგობრებმა კაფე "მსოფლიო სპორტში" მიულოცეს. **ნიკოლოზ დერიუგინი, ვლადიმერ უგრეხელიძე, პაატა გურასპაული**... კალათბურთის ფედერაციიდან ღონისძიებას ესწრებოდნენ პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, ვიცე-პრეზიდენტი **ლაშა ძიძავა** და გენმდივანი **მერაბ რატიშვილი**.

იუბილარმა მობრძანებისთვის ყველას მადლობა გადაუხადა და კარიერა მოკლედ გაიხსენა:

*- კალათბურთელობისას ვლადიმერ უგრეხელიძის, მიხეილ ქორქიას, ზურაბ სკანდელიძისა და სხვა წარმატებული სპორტსმენების გვერდში მომიხდა თამაში. ეს დიდი ბედნიერებაა. ამიტომ, ცხოვრება ახლიდან რომ დამეწყო, ისევ კალათბურთელობას ავირჩევდი. აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ხელი მწვრთნელობას მივყავი. კარგი სპორტსმენის აღზრდა იგივეა, რაც სამშობლოსთვის საგმირო საქმის კეთება. როგორ ვაკეთებ ამ საქმეს თქვენი შესაფასებელია...*

სერგო იმხნელს ბესიკ ლიპარტელიანმა საპატიო დიპლომი გადასცა.

მეგობარზე ვლადიმერ უგრეხელიძემაც ისაუბრა: - სერგო დიდი ენთუზიასტია. იგი კარგი კალათბურთელი იყო და ასეთივე მწვრთნელი გახდა. ეს განსაკუთრებული ნიჭის დამსახურებაა. მასთან ურთიერთობა მოედანზეც სიამოვნებას მანიჭებდა და ახლაც.

მოვუსმინოთ ნიკოლოზ დერიუგინს: - მე და სერგო მეგობრები ვართ. მართალია კალათბურთის თამაში მანამ დაასრულა, სანამ მე "დინამოში" მივიდოდი, მაგრამ ვიცი, რომ მოედანზე ჭკვიანური და ზრდილობიანი თამაშით გამოირჩეოდა. იგი სამაგალითო პიროვნებაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## დებიუტანტი

**ანი გოგვაძე**

**ჩოგბურთი**

დაიბადა 1995 წლის 9 დეკემბერს თბილისში
სიმაღლე: 141 სმ.
წონა: 43 კგ.

სწავლობს თბილისის 77-ე საჯარო სკოლაში

ჩოგბურთს თამაშობს 2002 წლიდან, კლუბ "ოლიმპის" წევრია

პირველი მწვრთნელი იყო ალექსანდრე ყარანგოზიშვილი, ახლა ავარჯიშებს გაგა დოლიძე

2005 წელს მოიგო კლუბ "თბილისის" ღია პირველობა;

ა. მეტრეველისა და ს. თუხარელის სახელობის ტურნირი;

შარშან გაიმარჯვა აჭარის საერთაშორისო ტურნირში, კლუბ "დინამოს" ღია პირველობაში, ანკარის საერთაშორისო ტურნირში წყვილთა შორის;

ა. მეტრეველის სახელობის ტურნირში გახდა მესამე პრიზიორი. რენა აბჟანდაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის მე-2 ადგილოსანი. გარდა ამისა, 2005-2006 წლებში სხვადასხვა ტურნირებში ოთხჯერ იყო მეორე, სამჯერ - მესამე პრიზიორი.

ჩოგბურთის გარდა გატაცებული ფეხბურთით.

**თიკა ასლანიშვილი**



## ჩოგბურთი

# მელიქიშვილი: წყვილში აბრამოვიჩთან

ჩოგბურთი. საქართველოს მესამე ჩოგანი **სოფიო მელიქიშვილი** მონაწილეობს ამერიკაში, მინესოტას შტატის ქალაქ სენტ პოლში ქალ ჩოგბურთელთა ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. მელიქიშვილი 338-ე ჩოგანია, ის პირველ წრეში ინდონეზიელ **რომანა ტეჯაკუსუმას** შეხვდება, რომელიც კლასიფიკაციაში 297-ე ჩოგანია. აქამდე მელიქიშვილი ორჯერ შეხვედრია ინდონეზიელს, ორივეჯერ ქართველმა სამ სეტში იმარჯვა. მანამდე 19 წლის მელიქიშვილმა ხორვატ **ივანა აბრამოვიჩთან** (165) ერთად წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში გააღწია. სოფიო ყველაზე მაღლა რეიტინგში შარშან, ივნისში იყო. მაშინ ის 259-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ყველა გზა ტეხასში მიდის

მილუოკისა და ისტ-რუზერფორდს დასავლეთის ორი გრანდი - "დალას მავერიქსი" და "სან ანტონიო სპურსი" სტუმრობდა. ორივემ მოიგო. "დალასმა" ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა, მისმა თანაშტატელებმა კი, **ჯეისონ კიდის** არყოფნით ისარგებლეს და "ბადეები" გაანადგურეს. ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

**დირკ ნოვიცკიმ** 38 ქულა მოიმკო და სამმაგ დუბლამდეც სულ ცოტა დააკლდა, ნამატჩევს კი სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** თქვა - დირკს ბოდიშს ვუხდი, სტატისტიკას არ ვეცნობოდი და რომ მცოდნოდა, იგი სამმაგ დუბლს უახლოვდებოდა, მოედანზე მეტხანს დავტოვებდიო.

დირკის სამმაგი დუბლიღა აკლიათ "მავერიქსის" მეტოქეებს. ყველაზე გამართული, თითქმის უშეცდომო კალათბურთით "დალასი" დაახლოებით ისე თამაშობს, როგორც 90-იანი წლების მეორე ნახევარში "ჩიკაგო ბულზი". ხომ გახსოვთ, მაშინ ასე იყო - "ბულზი" და ყველა დანარჩენი.

"მავერიქსი" პირველ ნახევარში 16 ქულას აგებდა, უკანასკნელ მეოთხედამდე "ხარ-ირმების" უპირატესობა 11 ქულა იყო, მაგრამ **დევინ ჯორჯმა** ბოლო 12-წუთეული ზედიზედ 9 ქულით გახსნა, ამას დირკის 13-ქულიანი "ტაიფუნი" მოჰყვა და საქმეც გაკეთდა. მასპინძლებმა ბოლო 7 წუთსა და 6 წამში თამაშიდან ერთი ტყორცნაც ვერ გამოიყენეს.

სტუმრები პირველად წინ ძირითადის დასრულებამდე 64 წამით ადრე გავიდნენ, როდესაც ნოვიცკიმ შეტევაში მორიგი მოხსნა მოიმკო და **ჩარლი ვილიანოვას** ხელებს ზემოდან ბურთი კალათში ჩაუშვა - "მავერიქსი" 93:92 დაწინაურდა.

ამ გამარჯვების მერე, "დალასს" 43 მოგება და მხოლოდ 9 წაგება აქვს, "მილუოკი" კი, რომელსაც კვლავ არ ჰყოლია ტრავმირებული სუპერვარსკვლავი **მაიკლ რედი**, ბოლო 8 შეხვედრაში მეშვიდედ დამარცხდა.

"დალასმა" უკანასკნელი 31 მატჩიდან მხოლოდ 2 წააგო. ვითომ, რეგულარული ფორმალობად იქცა?

■ ■ ■

უჭირს **გრეგ პოპოვიჩის** "სან ანტონიოს". 34 მოგება და 18 წაგება სხვა ნებისმიერი გუნდისთვის შესანიშნავი მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ არა ჩემპიონობის პერმანენტული კანდიდატისთვის, რომელმაც "ნეტსს" ყველაფერი მეორე მეოთხედში მოუგვარა და დარჩენილი დრო, ოდენ მოპოვებული უპირატესობის მეთოდურად შენარჩუნებას მოანდომა.

უშეცდომოდ (7-ში 7) შეასრულა საჯარიმოები სტუმართა ლიდერმა **ტიმ დანკანმა**, რომელსაც "ნიუ ჯერსისთან" თამაში ყოველთვის მისდის. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის სუპერფინალში, ტიმს კალათბურთის ისტორიაში უიშვიათეს ოთხმაგ დუბლამდე (!) მხოლოდ 2 დაფარება დააკლდა. ის მატჩი დანკანმა 21 ქულით, 20 მოხსნით, 11 შედეგიანი გადაცემითა და 8 დაფარებით დაასრულა.

სტუმრებმა გადამწყვეტი გაქცევა მეორე მეოთხედის დასაწყისშივე მოაწყვეს, როდესაც პირველი 5 წუთი 20:0 (!) მოიგეს. ამის მერე თამაში აღარ ყოფილა. უფრო სწორად, თამაშმა ხიბლი და ინტერესი დაკარგა.

"სან ანტონიოს" მთელი სეზონის განმავლობაში პრობლემები იმ გუნდებთან აქვს, რომლებსაც "სპურსის" წინააღმდეგ თავიანთი ვარსკვლავები აკლიათ. ასე, პოპოვიჩის გუნდი ორჯერ დამარცხდა "ჰიუსტონთან" – პირველად "როკეტსს" არ ჰყოლია ტრავმირებული **იაო მინი**, მეორედ კი ტეხასურმა კლუბი მუხლნატკენი **ტრეისი მაკგრეიდი** ვერ იახლა. "სპურსი" დამარცხდა იმ "ლეიკერსთან", რომელსაც **ლამარ ოდომი** არ ჰყოლია, ბოლოს კი, გუნდი **კარლოს ბუზერის** გარეშე მოთამაშე "იუტა ჯაზთანაც" შერცხვა. ასე რომ, თუ ჩემპიონობა ჯერაც დღის წესრიგში დგას, "სან ანტონიომ" სტაბილურობა უნდა დაიბრუნოს.

■ ■ ■

ლოს ანჯელესის "სტეიპლს სენტრში", "ნიქსის" ცენტრმა **ედი კარიმ** ძირითადის დასრულებამდე 7 წამით ადრე **კობი ბრაიანტს** ბურთი თავზე გადაატენა (შეტევაში მოხსნა **დევიდ ლიმ** გააკეთა), მასპინძელთა რიგებში კი ბოლო სროლა **ლამარ ოდომმა** გააფუჭა.

**ზურაბ თალაკვაძე**

| ნ. ჯერსი–ს. ანტონიო | 82:107 |
|---|---|

22:26, 16:33, 22:20, 22:28

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (18 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ე. პაუსი (16 ქ), მარკუს უილიამსი (9 ქ. 10 პ. 4 მ).

**სან ანტონიო:** დანკანი (21 ქ. 8 მ. 3 პ), ტ. პარკერი (19 ქ. 2 ჩ), ფინლი (15 ქ), ჯინობილი (14 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ).

| მაიამი–პორტლენდი | 104:85 |
|---|---|

22:24, 24:20, 27:26, 31:15

**მაიამი:** უეიდი (35 ქ. 5 პ. 3 დ. 2 ჩ), ჰასლემი (12 ქ. 2 ჩ), პოუსი (11 ქ. 8 მ. 4 პ. 2 ჩ), კაპონო (11 ქ), შ. ონილი (6 ქ. 5 მ. 5 დ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (17 ქ. 6 მ), ჯეკი (16 ქ. 5 პ), როი (15 ქ. 4 პ), უდოკა (14 ქ. 7 მ), დიქსონი (12 ქ).

| ჩიკაგო–ტორონტო | 111:112 |
|---|---|

26:33, 25:23, 31:31, 29:25

**ჩიკაგო:** დენგი (30 ქ. 5 მ), გორდონი (27 ქ. 7 მ. 6 პ), ჰაინრიხი (18 ქ. 13 პ), სვიტნი (16 ქ. 2 ჩ), ბ. უოლასი (5 ქ. 13 მ. 4 პ).

**ტორონტო:** ბოში (25 ქ. 14 მ. 2 დ), ბარნიანი (22 ქ. 3 მ. 1 პ. 1 დ), კალდერონი (16 ქ. 9 პ. 5 მ), გარბახოსა (14 ქ), ე. პარკერი (12 ქ).

| მილუოკი–დალასი | 93:99 |
|---|---|

30:22, 28:23, 24:26, 11:28

**მილუოკი:** პატერსონი (20 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ბოგუტი (16 ქ. 17 მ. 3 პ), მო უილიამსი (15 ქ. 5 პ. 4 მ), ვილიანოვა (15 ქ), ბოიკინსი (13 ქ. 2 ჩ), ჩ. ბელი (11 ქ).

**დალასი:** ნოვიცკი (38 ქ. 11 მ. 8 პ. 2 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 8 მ), სტექჰაუზი (13 ქ), ტერი (11 ქ. 10 პ).

| ჰიუსტონი–საკრამენ | 109:104 (ო) |
|---|---|

22:25, 32:26, 23:29, 20:17, 12:7

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (28 ქ. 12 პ. 6 მ. 3 ჩ. 3 დ), ბეტიე (25 ქ. 8 მ. 2 დ), ალსტონი (18 ქ. 5 პ), ჰედი (15 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჰეიესი (6 ქ. 14 მ).

**საკრამენტო:** არტესტი (39 ქ. 8 მ. 2 ჩ), კევინ მარტინი (21 ქ. 2 ჩ), ბიბი (13 ქ. 7 პ), კენი ტომასი (10 ქ. 9 მ. 3 ჩ).

| მემფისი–ნ. ორლეანი | 108:104 |
|---|---|

23:30, 29:22, 21:27, 35:25

**მემფისი:** მ. მილერი (22 ქ. 4 მ. 4 პ), ეტკინსი (19 ქ. 6 პ), გეი (18 ქ. 5 მ. 3 დ. 2 ჩ), უორიკი (15 ქ. 12 მ), გასოლი (11 ქ. 15 მ. 3 პ. 3 დ), ჯ. ჰარინგტონი (11 ქ. 2 ჩ).

**ნიუ ორლეანი:** მეისონი (23 ქ), დევიდ უესტი (22 ქ. 11 მ. 5 პ), ჩენდლერი (17 ქ. 23 მ. 2 დ), პარგო (11 ქ), რ. ბატლერი (10 ქ), პოლი (5 ქ. 10 პ).

| ლეიკერსი–ნ. იორკი | 106:107 |
|---|---|

19:17, 35:32, 19:27, 26:26

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), მ. ევანსი (16 ქ. 2 ჩ), ოდომი (12 ქ. 10 მ. 4 პ), ტურიაფი (11 ქ. 2 დ), ბინუმი (8 ქ. 11 მ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (24 ქ. 3 პ), კ. რიჩარდსონი (19 ქ. 12 მ), კარი (19 ქ. 7 მ), ფრაი (14 ქ. 7 მ), ლი (12 ქ. 4 მ), მარბერი (8 ქ. 9 პ).



ენდრიუ ბოგუტს ორი დალასელი ებრძვის

### აღმოსავლეთი

**ატლანტიკის ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ტორონტო* | 52 | 28 | 24 | 53.8 |
| ნიუ ჯერსი | 53 | 25 | 28 | 47.2 |
| ნიუ იორკი | 52 | 23 | 29 | 44.2 |
| ფილადელფია | 42 | 17 | 35 | 32.7 |
| ბოსტონი | 50 | 12 | 38 | 24.0 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დეტროიტი* | 50 | 32 | 18 | 64.0 |
| კლივლენდი* | 51 | 30 | 21 | 58.8 |
| ჩიკაგო* | 53 | 29 | 24 | 54.7 |
| ინდიანა* | 51 | 27 | 24 | 52.9 |
| მილუოკი | 52 | 19 | 33 | 36.5 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი* | 49 | 28 | 21 | 57.1 |
| ორლანდო* | 52 | 26 | 26 | 50.0 |
| მაიამი* | 52 | 26 | 26 | 50.0 |
| ატლანტა | 51 | 20 | 31 | 39.2 |
| შარლოტი | 51 | 18 | 33 | 35.3 |

### დასავლეთი

**სამხრეთ-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დალასი* | 52 | 43 | 9 | 82.7 |
| სან ანტონიო* | 52 | 34 | 18 | 65.4 |
| ჰიუსტონი* | 51 | 33 | 18 | 64.7 |
| ნიუ ორლეანი | 52 | 24 | 28 | 46.2 |
| მემფისი | 53 | 14 | 39 | 26.4 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა* | 51 | 34 | 17 | 66.7 |
| დენვერი* | 50 | 26 | 24 | 52.0 |
| მინესოტა | 51 | 24 | 27 | 47.1 |
| პორტლენდი | 53 | 22 | 31 | 41.5 |
| სიეტლი | 51 | 19 | 32 | 37.3 |

**წყნარი ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი* | 51 | 39 | 12 | 76.5 |
| ლეიკერსი* | 53 | 30 | 23 | 56.6 |
| კლიპერსი* | 52 | 25 | 27 | 48.1 |
| გ. სტეიტი | 53 | 24 | 29 | 45.3 |
| საკრამენტო | 50 | 22 | 28 | 44.0 |

*შენიშვნა:* * - ფლეი ოფის ზონა

**ქულები**

| | |
|---|---|
| ენტონი (დენ) | 30.8 |
| არენასი (ვაშ) | 29.0 |
| უეიდი (მაი) | 28.8 |
| აივერსონი (ფილ) | 28.7 |
| ბრაიანტი (ლეი) | 28.7 |
| რედი (მილ) | 27.7 |
| რ. ალენი (სიე) | 26.9 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 26.2 |
| ნოვიცკი (დალ) | 25.2 |
| ჯ. ჯონსონი (ატლ) | 25.1 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| გარნეტი (მინ) | 12.5 |
| კემბი (დენ) | 12.1 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 11.9 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 11.9 |
| ბუზერი (იუტ) | 11.8 |
| ოკაფორი (შარ) | 11.3 |
| ლი (ნ-იორკ) | 10.8 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.8 |
| ჯეფერსონი (ბოს) | 10.7 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.8 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 9.1 |
| პოლი (ნ-ორლ) | 8.7 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 8.7 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.7 |
| ა. მილერი (დენ) | 8.2 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 7.8 |
| უეიდი (მაი) | 7.8 |
| ბილაპსი (დეტ) | 7.6 |
| აივერსონი (დენ) | 7.6 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.2 |
| მერიონი (ფინ) | 2.2 |
| უეიდი (მაი) | 2.1 |
| კ. ბატლერი (ვაშ) | 2.1 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.0 |
| არენასი (ვაშ) | 1.9 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 1.9 |
| ალსტონი (ჰიუ) | 1.7 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 1.7 |
| ჯინობილი (ს-ანტ) | 1.7 |
| ტინსლი (ინდ) | 1.7 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| კემბი (დენ) | 3.1 |
| ჯ. ონილი (ინდ) | 3.0 |
| ოკაფორი (შარ) | 2.8 |
| მოურნინგი (მაი) | 2.7 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.7 |
| დანკანი (ს-ანტ) | 2.6 |
| გასოლი (მემ) | 2.3 |
| დალემბერი (ფილ) | 2.2 |
| ბრენდი (კლი) | 2.2 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 2.z |



ალენ აივერსონი

ყველა ვარსკვლავის მატჩი 2007

# დიდი ცირკი უაივერსონოდ

## ლას ვეგასში ჯეისონ კიდიც არ იქნება?

მორიგი ცვლილებაა "ყველა ვარსკვლავის მატჩის მონაწილეთა" შორის. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, დასავლეთი კონფერენციის ნაკრებში, ტრავმების გამო ვერ ითამაშებდნენ **იაო მინი** ("ჰიუსტონ როკეტსი") და **კარლოს ბუზერი** ("იუტა ჯაზი"). NBA-ის კომისარმა - **დევიდ სტერნმა,** მათ შემცვლელებად **ჯოშ ჰოვარდი** ("დალას მავერიქსი") და **კარმელო ენტონი** ("დენვერ ნაგეტსი") დაასახელა.

მოგვიანებით, ტრავმირებულთა სიაში მოხვდა "ფინიქს სანზის" გამთამაშებელი **სტივ ნეში**, ბოლო ინფორმაციით კი, "ოლ სტარს" გამოტოვებს დენვერელი **ალენ აივერსონიც**.

იმავე დევიდ სტერნის გადაწყვეტილებით, ნეშსა და აივერსონს **მეჰმეთ ოქური** ("იუტა ჯაზი") და **რეი ალენი** ("სიეტლ სუპერსონიქსი") შეცვლიან.

თურქი ოქური "ყველა ვარსკვლავის მატჩში" პირველად იასპარეზებს, რაც შეეხება რეი ალენს, ის ზედიზედ მეოთხედ, სულ კი, მეშვიდედ გამოვა ვარსკვლავების შოუზე. ალენი ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში მეექვსე ადგილზეა - "სიეტლის" მცველი საშუალოდ მატჩში 26.9 ქულას აგროვებს.

*"ყოველთვის ძალიან ამაყი ვარ, როცა ჩემს გუნდსა და ჩემს ქალაქს "ოლ სტარზე" წარმოვადგენ. იმედია, "ყველა ვარსკვლავის მატჩში" "სონიქსის" ტრადიციები კვლავაც ურყევი დარჩება",* - განაცხადა რეი ალენმა.

როგორც ხედავთ, დასავლეთი კონფერენციის ნაკრებში უკვე ოთხი ცვლილება მოხდა, აღმოსავლეთში კი, ჯერ არცერთი. თუმცა, ამ გუნდმაც შეიძლება დაკარგოს ერთი ვარსკვლავი. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში არ უთამაშია "ნიუ ჯერსი ნეტსის" უნივერსალ კალათბურთელ **ჯეისონ კიდს**. მას ზურგის ტრავმა აქვს და როგორც ექიმები ამბობენ, ამ მცველს მინიმუმ კიდევ ერთი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. ჯერჯერობით, უცნობია, ითამაშებს თუ არა კვირას კიდი ლას ვეგასში.

### კრივი

ჩემპიონების ამბები

# ჰატონმა ტიტული დათმო



რიკი ჰატონი

ბრიტანელმა **რიკი ჰატონმა** კიდევ ერთხელ დათმო IBF-ის ვერსიით ქვეროჭოს წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მან ეს ნაბიჯი იმის გამო გადადგა, რომ სავალდებულო პრეტენდენტის, სამხრეთაფრიკელი **ლავმორ ნ'დუს** ნაცვლად, მექსიკელ **ხოსე ლუის კასტილიოს** შეხვდეს.

შეგახსენებთ, რომ ჰატონმა IBF-ის ტიტული პირველად 2005 წელს მოიპოვა მას შემდეგ, რაც ავსტრალიელ **კოსტია ცზიუს** ტექნიკური ნოკაუტით მოუგო. შემდეგ ზედა წონაში გადავიდა, რის გამოც ტიტულის დათმობა მოუხდა. ცოტა ხნის წინათ კი კვლავ ქვე-როჭოს წონას დაუბრუნდა, კოლუმბიელ **ხუან ურანგოს** ქულებით მოუგო და დათმობილი ტიტული დაიბრუნა.

*"ფედერაციის ხელმძღვანელობას წერილი გავუგზავნეთ, რომელშიც ნათქვამია, რომ IBF-ის ტიტულის დაცვის ნაცვლად, კასტილიოსთან ბრძოლას ვაპირებთ. რიკი ამაყობს იმით, რომ ორჯერ შეძლო IBF-ის ტიტულის მოპოვება. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების მიღება არ გვსურდა, მაგრამ კასტილიოსთან ბრძოლის სურვილმა გადასწონა. მჯერა, რომ რიკის წინსვლისთვის ეს უკეთესი ნაბიჯია",* - განაცხადა ჰატონის პრომოუტერმა **დენის ჰობსონმა**.

ჰობსონის თქმით, ის მზად იყო, ნ'დუს ბანაკთან მოლაპარაკება ეწარმოებინა, მაგრამ მათგან არავითარი ინიციატივა არ წამოსულა და მანაც კასტილიოს ვარიანტი ამჯობინა.

*"ჩვენ მოუთმენლად ველოდით, როდის დაგვიკავშირდებოდა ნ'დუს ხალხი, მაგრამ ტელეფონი სდუმდა. დრო გადიოდა, ჩვენ კი დაუსრულებლად ლოდინი არ შეგვიძლია. ესეც რომ არ იყოს, ამერიკაში რიკისა და ნ'დუს ბრძოლაზე ბილეთების გაყიდვა ძალიან გაჭირდებოდა. რიკისა და კასტილიოს ბრძოლას კი ბევრი მოუთმენლად ელის",* - დასძენს ჰობსონი.

IBF-ის ტიტული რომ დათმო, ჰატონი კასტილიოსთან ბრძოლაში სასწორზე კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ნაკლებად პრესტიჟულ სარტყელს გამოიტანს.

■ ■ ■

ცნობილი შეიქნა, რომ WBO-ის ვერსიით ზემძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **შენონ ბრიგსი** (48-4-1, 42 ნოკაუტი) პნევმონიითაა ავად, რის გამოც ის 10 მარტს ვერ შეხვდება ტიტულის სავალდებულო პრეტენდენტ **სულთან იბრაგიმოვს** (19-0-1, 16 ნოკაუტი). ბრიგსის პრომოუტერები იმედოვნებენ, რომ ამ ბრძოლას მოგვიანებით მაინც დანიშნავენ. ეგაა, რომ ალბათ ველარ მოხერხდება ბრძოლის "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# სვინდალის ოქროს დუბლი


სვინდალი ნორვეგიის დროშას აფრიალებს

ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი** არეს (შვედეთი) მსოფლიო ჩემპიონატს მსოფლიო თასის აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერის რანგში ეწვია და ბუნებრივია, მისგან ბევრი კარგ შედეგებს ელოდა, მაგრამ ორი ოქროს მოპოვება მისთვისაც დიდი სიურპრიზი გამოდგა.

გუშინ მან გიგანტურ სლალომში მეორე ოქროს მედალი მოიპოვა. თუ დაშვებაში გამარჯვება მისთვისაც დიდი მოულოდნელობა იყო, გიგანტურ სლალომში მისგან ბევრი გამარჯვებას ელოდა. მანაც მოლოდინი გაამართლა. ორივე ცდაზე სტაბილურად იასპარეზა და მართალია, პირველზე მეოთხე შედეგი აჩვენა, მეორეზე ყველა მეტოქეს აჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

საბოლოოდ, 24 წლის ნორვეგიელმა თითქმის ნახევარი წამით აჯობა მეორეზე გასულ შვეიცარიელ **დანიელ ალბრეხტს**, ვისაც პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა, გიგანტურ სლალომამდე კი სუპერკომბინაციაში მოპოვებული ოქროთი გამოიჩინა თავი. ბრინჯაოს დასჯერდა ალბრეხტის გამოცდილი თანაგუნდელი **დიდიე კუშე**.

კვლავ ვერ ივარგა ამერიკელმა სუპერვარსკვლავმა **ბოდე მილერმა**. ბოლო ხანებში მისი პრობლემა ტექნიკური დისციპლინების რბოლების დასრულებაა. ამჯერად მილერმა ორივე ცდა ბოლომდე შეასრულა, მაგრამ მეორეზე სერიოზული შეცდომები მოუვიდა, რითაც გამარჯვების ყველანაირ შანსს ხაზი გადაუსვა. არადა, ტრასა მისი მწვრთნელის შედგენილია და ბუნებრივია, სწორედ მილერის შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

მეოთხე შედეგი აჩვენა მილერის თანაგუნდელმა **ტედ ლაიჯეტიმ**, ვინც კუშეს 0.07 წამით ჩამორჩა. სხვათა შორის, კუშეს დაშვების მედლის მოსაპოვებლად 0.04 წამი დააკლდა, სუპერგიგანტში კი იმავე მიზანს 0.01 წამით ასცდა.

ფიასკო განიცადეს ავსტრიელებმა, რომელთაგან მოწინავე ათეულში ვერცერთი მოხვდა. პირველივე ცდა გააფუჭეს **კრისტოფ გრუბერმა** და **ჰანს რაიხელტმა**, ასევე გიგანტური სლალომის მოქმედმა ჩემპიონმა **ბენიამინ რაიხმა**. რაც შეეხება **ჰერმან მაიერს**, ის ორი ცდის ჯამში 21-ე ადგილს დასჯერდა.

ავსტრიელების წარუმატებლობათა ფონზე (მათ ანგარიშზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ორი მედალია და მათგან არცერთი ოქროსი), აშკარად ბრწყინავენ შვეიცარიელები, რომლებსაც უკვე ხუთი მედალი აქვთ მოპოვებული, მათგან ერთი - ოქროსია (ალბრეხტმა სუპერკომბინაციაში მოიპოვა). არადა, წინა ჩემპიონატზე, რომელიც იტალიის ბორმიოში ჩატარდა, შვეიცარიელებმა ერთი მედლის აღებაც კი ვერ შეძლეს.

*"დაშვებაში რომ ოქრო მოვიპოვე, იმის შემდეგ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთი მომეხსნა. ტრასაზე სიამოვნების მისაღებად გამოვედი. საერთოდ, როცა ასეა, თითქმის ყოველთვის კარგ შედეგებს ვაჩვენებ. ამჯერადაც ასე მოხდა. რა თქმა უნდა, პირველი ოქრო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ ამ გამარჯვებამ უფრო გამახარა, რადგან გიგანტური სლალომი ჩემი ფავორიტი სახეობაა და ამ რბოლაში თავის გამოჩენა ყველაზე მეტად მინდოდა"*, - განაცხადა სვინდალმა, ვისაც შანსი აქვს, გაიმეოროს სახელოვანი თანამემამულის, **სტაინ ერიკსენის** მიღწევა, რომელმაც არეშივე, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ოქროს სამი მედალი მოიპოვა.

■ ■ ■

ავსტრიელებს გიგანტურ სლალომმდე ქალებშიც უჭირდათ - მხოლოდ სამი ბრინჯაო ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ გიგანტური სლალომის შემდეგ, მათი მონაგარი ოქროს მედლით გამდიდრდა - გამარჯვება მოიპოვა და შვედი **ანია პერსონის** გამარჯვებათა სერია შეწყვიტა **ნიკოლ ჰოსპმა**, ვინც ორი ცდის ჯამში, თითქმის წამით აჯობა მეორეზე გასულ "მოულოდნელ" შვედ **მარია პიეტილაე-ჰოლმნერს**.

ალბათ იკითხავთ, რა ბედი ეწია "მოსალოდნელ" შვედ პერსონს, ვისაც წინა ორ ჩემპიონატზე გიგანტური სლალომის ოქრო ჰქონდა მოპოვებული და ბევრი არეში მეოთხე ოქროს აღებასაც უწინასწარმეტყველებდა. პირველ ცდაზე პერსონს მეშვიდე შედეგი ჰქონდა, მეორეზე კი შესანიშნავი გრაფიკით სრიალებდა, მაგრამ შემდეგ უხეში შეცდომა დაუშვა და ზუსტად ისეთი ნახტომი შეასრულა, როგორც გამარჯვების შემდეგ სჩვევია. ოღონდ, ამჯერად ეს ნახტომი რბოლიდან გამოთიშვად და ვინ იცის, იქნებ დაკარგულ მეოთხე ოქროს ფასად დაუჯდა. ყოველ შემთხვევაში, სანამ "გაფრინდებოდა", იტალიელ **დენიზე კარბონს**, ვინც იმ მომენტში ლიდერი იყო, საბოლოოდ კი ბრინჯაო მოიპოვა, დიდი უპირატესობით (0.63 წამით) სჯობნიდა.

*"რა თქმა უნდა, ვრისკავდი, რადგან როგორც წესი, ყველა იმ რბოლის მოგება მსურს, რომლებშიც ვმონაწილეობ. ოღონდ, ნუ იფიქრებთ, რომ რისკის გამო შემემთხვა ეს ინციდენტი. უბრალოდ, ტექნიკური შეცდომა დავუშვი, რაც ნებისმიერ დროსაა მოსალოდნელი. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ კიდევ ერთ ოქროს მოვიგებდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გაწბილებული ვარ - სხვა თუ არაფერი, სამი ოქრო მაქვს მოპოვებული, რომლებსაც ველარავინ შემეცილება"*, - განაცხადა პერსონმა.

რაც შეეხება ჰოსპს, ვისაც ტურინის ოლიმპიადაზე სლალომში ვერცხლი აქვს მოპოვებული, პირველი ცდის შემდეგ მან და შვედმა **ანა ოტოსონმა** იდენტური, მეოთხე შედეგი აჩვენეს, მაგრამ მეორე ცდაზე ავსტრიელმა შესანიშნავი შედეგი დააფიქსირა, რისი წყალობითაც, კარიერაში პირველად მოიპოვა დიდი ტურნირის (მსოფლიო ჩემპიონატები და ოლიმპიადები) ოქროს მედალი.

*"წუხელ ძილის წინ გამარჯვებაზე ვოცნებობდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ამ ოცნების შესასრულებლად დიდი გარჯა მომიწევდა. ასეც მოხდა და მიხარია, რომ ოცნება მართლაც ავისრულე. მეორე ცდაზე რომ ვისრიალე, ასე კარგად გიგანტურ სლალომში მანამ არასოდეს გამოვსულვარ"*, - განაცხადა 23 წლის ჰოსპმა.

პირველ ცდაზე საუკეთესო ამერიკელი **ჯულია მანკუზო** იყო, ვინც ჰოსპს 0.25 წამს უგებდა, მაგრამ მეორე ცდაზე ზედმეტად იფრთხილა, რის გამოც საბოლოოდ, ჩემპიონთა 1.24 წამი დათმო და მეხუთეზე გავიდა. ნარბოლევს კი განაცხადა, ამაზე გაცილებით მეტს ველოდი, მაგრამ ტრასის ზედა ნაწილი მეტისმეტად დაბორცვილი იყო და ისე ვერ გავილალე, როგორც შემეძლოო. ამასთან, მან თავისი ზედმეტი სიფრთხილე გადაღლას დააბრალა - ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მეშინოდა, დაღლილს შეცდომები არ დამეშვაო. მოკლედ, არ გარისკა და ვერც შამპანური დალია...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

არე (შვედეთი). კაცები
გიგანტური სლალომი

**1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:19.64 (1:09.67, 1:09.97); 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 2:20.12 (1:09.44, 1:10.68); 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:20.56 (1:09.98, 1:10.58); 4. ტედ ლაიჯეტი (აშშ) 2:20.63 (1:10.09, 1:10.54); 5. ალბერტო შიეპატი (იტალია) 2:20.72 (1:09.91, 1:10.81); 6. ტრულს ოვე კარლსენი (ნორვეგია) 2:21.00 (1:10.19, 1:10.81); 7. კალე პალანდერი (ფინეთი) 2:21.09 (1:10.55, 1:10.54); 7. ჟან-ფილიპ რუა (კანადა) 2:21.09 (1:10.24, 1:10.85); 9. მიტია ვალენჩიჩი (სლოვენია) 2:21.11 (1:10.55, 1:10.56); 10. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 2:21.26 (1:10.48, 1:10.78)...**

არე (შვედეთი). ქალები
გიგანტური სლალომი

**1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:31.72 (1:13.80, 1:17.92); 2. მარია პიეტილაე-ჰოლმნერი (შვედეთი) 2:32.57 (1:13.84, 1:18.73); 3. დენიზე კარბონი (იტალია) 2:32.69 (1:14.54, 1:18.15); 4. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 2:32.87 (1:14.94, 1:17.93); 5. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:32.96 (1:13.55, 1:19.41); 6. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:33.02 (1:14.43, 1:18.59); 7. ანა ოტოსონი (შვედეთი) 2:33.05 (1:13.80, 1:19.25); 8. ვქტორია რებენსბურგი (გერმანია) 2:33.27 (1:15.21, 1:18.06); 9. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 2:33.30 (1:14.57, 1:18.73); 10. ჟენევიევ სიმარი (კანადა) 2:33.34 (1:13.68, 1:19.66)...**


ჰოსპმა ავსტრიას პირველი ოქრო მოუპოვა

# სხვადასხვა

ფორმულა 1

## ფერარიმ ყველას გაუსწრო

ბარსელონაში მიმდინარე ტესტების პირველ დღეს, საუკეთესო დრო აჩვენეს "ფერარის" პილოტებმა - ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** და ფინელმა **კიმი რაიკონენმა**. მასამ საუკეთესო წრე წუთსა და 21.181 წამში გაიარა, ხოლო რაიკონენის დრო იყო - წუთი და 21.719 წამი.

მესამე შედეგი აჩვენა "რენოს" ახალწვეულმა, ფინელმა **ჰეიკი კოვალაინენმა** (1.21,819). რაც შეეხება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, "მაკლარენის" ესპანელ პილოტ **ფერნანდო ალონსოს**, ის გუშინ მეოთხე პოზიციით დაკმაყოფილდა.

## ტორო როსო სანახევროდაა დაკომპლექტებული

ფორმულა 1-ის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვე დარჩა, მაგრამ პირველობის ერთ-ერთი მონაწილის - "ტორო როსოს" ხელმძღვანელობა ჯერაც ვერ გარკვეულა ძირითად პილოტებთან დაკავშირებით. თუ გუნდში იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცის** ყოფნა ეჭვს არ იწვევს, ამერიკელი **სკოტ სპიდის** მდგომარეობა არც ისე სტაბილურია. ამ პილოტს გუნდთან კონტრაქტის თაობაზე აქვს დავა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, "ტორო როსოს" თანამფლობელის - ავსტრიელი **გერჰარდ ბერგერის** კომენტარი ასეთი გახლავთ: *"სპიდის კონტრაქტთან მიმართებაში ყველაფერი გარკვეული არ არის. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მას აქვს შანსი, ჩვენი გუნდის მეორე ნომერი გახდეს"*.

ჰოკეი

## ემერი ყვანჯის ქნევისთვის დაისაჯა

"ოტავა სენატორზის" ძირითადმა მეკარემ - **რეი ემერიმ** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ასეთი მკაცრი სასჯელი იმ ინციდენტმა გამოიწვია, რომლის დროსაც, გოლკიპერმა "მონრეალის" ფორვარდ **მაქსიმ ლაპიერს** ყვანჯი ჩაარტყა. საბედნიეროდ, თავდამსხმელმა დროულად გაწია თავი და ამით მძიმე ტრავმა აიცილა თავიდან.

გარდა დისკვალიფიკაციისა, ემერის ხელფასიდან 15 ათას დოლარს დაუქვითავენ - ეს ფული ჰოკეისტთა დახმარების სარეზერვო ფონდში გადაირიცხება.

ამ სეზონში, "ოტავას" მეკარე საშუალოდ მატჩში 2.4 შაიბას უშვებს და დარტყმების 92.3 პროცენტს იგერიებს.

## მომავალი რეგულარული ლონდონში გაიხსნება

გაზეთ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ინფორმაციით, "ლოს ანჯელეს კინგზი" 2007-08 წლების რეგულარული ჩემპიონატის პირველ ორ საშინაო შეხვედრას ინგლისის დედაქალაქ ლონდონში გამართავს. სავარაუდოდ, მისი მეტოქეები "ანაჰაიმ დაქსი" და "ვანკუვერ კენაქსი" იქნებიან.

ოფიციალური სეზონის დაწყებამდე, ევროპაში რამდენიმე საჩვენებელი მატჩის გამართვაც არის დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ 1997 წელს, "ანაჰაიმმა" და "ვანკუვერმა" ორჯერ ითამაშეს ტოკიოში, ერთი წლის შემდეგ კი, იაპონიის დედაქალაქში სეზონი გახსნეს "სან ხოსემ" და "კალგარიმ". ევროპაში ჰოკეის ეროვნული ლიგის მატჩები აქამდე არასოდეს გამართულა.

მძლეოსნობა

## არმსტრონგი მარათონს ისევ გაირბენს

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონი, ამერიკელი **ლენს არმსტრონგი** წელსაც აპირებს ნიუ იორკის ტრადიციულ მარათონში მონაწილეობის მიღებას. პირველად, ლეგენდარულმა ველომრბოლმა ამ სახეობაში ბედი შარშან სცადა და ფინიშზე 856-ე მივიდა.

"როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში არმსტრონგი აცხადებს, რომ მარათონში მონაწილეობით, ის აპირებს საზოგადოების უფრო დიდი ნაწილი დააინტერესოს თავისი საქველმოქმედო ფონდით, რომელიც კიბოს დაავადებას ებრძვის და ამ ავადმყოფობის პროფილაქტიკით არის დაკავებული.

კალათბურთი

## სან ანტონიომ მელვინ ელი დაიმატა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა ფავორიტმა - "სან ანტონიო სპურსმა" ახალი კალათბურთელი აიყვანა. ეს გახლავთ "შარლოტ ბობკეტსის" მძიმე ფორვარდი **მელვინ ელი**.

ამ მოთამაშის სანაცვლოდ, "სან ანტონიომ" **ერიკ უილიამსი** დათმო, რომელსაც წელს, **გრეგ პოპოვიჩი** თითქმის არ აძლევს სათამაშო დროს. გარდა ამისა, "დეზებმა" უალიამსს, ხურდაში 2009 წლის დრაფტის მეორე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლებაც მოაყოლეს.

## კიდევ ერთი უმნიშვნელო ტრეიდი

გუშინ, მოთამაშეების გაცვლა განახორციელეს "მემფის გრიზლისმა" და "ჰიუსტონ როკეტსმა". 27 წლის ცენტრი **იაკოვ ცაკალიდისი** "ჰიუსტონში" გადავიდა, მის სანაცვლოდ კი, "მემფისმა" 30 წლის ფორვარდი - **სკოტ პაჯეტი** მიიღო.

ცაკალიდისმა ამ სეზონში 23 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 2.3 ქულასა და 2.8 მოხსნას აგროვებდა. პაჯეტი კი, 24-ჯერ გამოჩნდა მოედანზე და თითო თამაშში გუნდს 1.8 ქულით დაეხმარა.

## ვირტუსში სამი ახალწვეულია

სერიოზული შევსება მიიღო იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე ბოლონიის "ვირტუსმა". გუშინ, ამ კლუბმა ერთბაშად სამ კალათბურთელთან გააფორმა კონტრაქტი.

გუნდის ახალწვეულები გახდნენ - ცენტრალური თავდამსხმელი **რობერტო კიაჩიგი** და მცველები - **იონ სტეფანსონი** და **რობერტო გაბინი**.

32 წლის კიაჩიგი და 31 წლის გაბინი ამ სეზონის ბოლომდე ითამაშებენ "ბოლონიაში", 24 წლის სტეფანსონმა კი, გუნდთან 2008 წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი.

# ფეხბურთი



ბენფიკას მიკოლის გოლმა მოაგებინა

## უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

### ბორდო (საფრანგეთი)-ოსასუნა (ესპანეთი) 0:0

**ბორდო:** რამე, სიდი, ფობერი, ჟემალი (46. მარანჟი), ჟურიეტი, პლანუსი, ალონსო (82. ობერტანი), მავუბა, შმიცერი (65. პერეა), შამახი, ფრანსია.

**ოსასუნა:** რიკარდო, კორალესი, კრუჩაგა, ხავიერ ფლანო, ხოსეჩო, ხუანფრანი, ნექუნამი, პუნიალი, მილოშევიჩი (90. რაულ გარსია), მუნიოსი (66. დავიდ ლოპესი), ვებო (76. სოლდადო).

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 16 029

### ცსკა (რუსეთი)-მაქაბი (ჰაიფა. ისრაელი) 0:0

**ცსკა:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ალდონინი (46. შემბერასი), დუდუ, ჟო, კრაშიჩი, რაჰიმიჩი, რამონი (56. კარვალიო), ჟირკოვი.

**მაქაბი:** დავიდოვიჩი, ჰარაზი, კეინანი, მაგრალიშვილი, ანდერსონი, ბოკოლი, დირსეუ, მასუდი (90. მეშუმარი), სოანი, კოლაუტი (69. არბაიტმანი), კატანი (86. რაფაელოვი).

**გაფრთხილება:** 3-5

**მაყურებელი:** 18 102

### შახტარი (უკრაინა)-ნანსი (საფრანგეთი) 1:1

**შახტარი:** შუსტი, ჩიგრინსკი, კუჩერი, შევჩუკი (65. გაი), ფერნანდინიო, ჟადსონი, მათუსალემი, სრნა, ტიმოშჩუკი, ბიელიკი (73. ვორობეი), მარიცა.

**ნანსი:** გრეგორინი, ანდრე ლუიში, დიაკატი, პუგრენიე, ბელენგერი, ბიანკალანი (46. სოჟე), შრეტიენი, დუშემინი (87. გავანონი), კურბელო, ფორჩუნი, ჰაჯი.

**გოლები:** 0:1 ფორჩუნი (81), 1:1 სრნა (84)

**გაფრთხილება:** 3-1

**გაძევება:** ტიმოშჩუკი (90. შახტარი)

**მაყურებელი:** 45 000

### ლევერკუზენი (გერმანია)-ბლექბერნი (ინგლისი) 3:2

**ლევერკუზენი:** ბუტი, კალსენ-ბრაკერი, ჰაგი, ბაბიჩი, ბარბარესი, კასტრო, რამელოვი, როფლესი, შნაიდერი, კისლინგი (85. ფრაიერი), ვორონინი.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ანშო, მოკოენა (90. ტოდი), ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, დანი (65. პეტერი), ემერტონი, თუგაი, მაკკარტი, რობერტსი (69. ნონდა).

**გოლები:** 1:0 კალსენ-ბრაკერი (18), 1:1 ბენტლი (39), 2:1 რამელოვი (43), 3:1 შნაიდერი (56), 3:2 ნონდა (86)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 22 500

### ფენერბაჰჩე (თურქეთი)-ალკმაარი (ჰოლანდია) 3:3

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, დენიზი, ედუ, უმითი, ალექსი, აპია, უგური (66. ოლჯანი), თუმერი, მეჰმეთ იოზგათი, დე სოუზა, თუნჯაი.

**ალკმაარი:** ვატერმანი, დე კლერი, იალიენსი, ლუირინკი, სტეინსონი, დე ზეეუვი, მარტენსი (89. ვორმერი), მოლჰუკი (32. იენერი), ბუხარი, დემბელე (90. ლენსი), კუვერმანსი.

**გოლები:** 0:1 დე ზეეუვი (15), 1:1 თუმერი (28), 1:2 ბუხარი (62), 1:3 იენერი (63), 2:3 თუნჯაი (66), 3:3 თუმერი (75)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 42 000

### ჰაპოელი (ისრაელი)-რეინჯერსი (შოტლანდია) 2:1

**ჰაპოელი:** ელიმელეხი, ანტები, ბონდარი, დოანი, აბუქსისი (83. ჩენი), ბადირი, დაგო, ტოამა, ველინგტონი (67. დე ბრუნო), ბარდა, ოგბონა (87. ვერმოტი).

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, სვენსონი, უეირი, ბერკი (84. ადამი), ფერგიუსონი, ემდანი, მიურეი, რაე, ბოიდი, ნოვო (79. ზიონკო).

**გოლები:** 1:0 ტოამა (43), 1:1 ნოვო (53), 2:1 დაგო (76)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 13 000

### ვერდერი (გერმანია)-აიაქსი (ჰოლანდია) 3:0

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ვომე (74. შულცი), ფრინგსი (79. პასანენი), ვრანიესი, იენსენი, დიეგო, კლოზე, ჰუნტი (74. უგო ალმეიდა).

**აიაქსი:** სტეკელენბურგი, როხერი, მადურო, სტამი, გაბრი, ჰეიტინგა, სნეიდერი, ლინდენბერგი, დე მული (26. ანიტა), ბაბელი (72. სანტიაგო), დონალდი (72. პერესი).

**გოლები:** 1:0 მერტეზაკერი (48), 2:0 ნალდო (54), 3:0 ფრინგსი (71)

**გაფრთხილება:** 1-4

**გაძევება:** ლინდენბერგი (23. აიაქსი)

**მაყურებელი:** 37 500

### აეკ (საბერძნეთი)-პსჟ (საფრანგეთი) 0:2

**აეკ:** სორენტინო, ჩირილო, მორასი, ციორციოპულოსი, ლაკისი (53. კონე), პლიაციკოსი (63. გეორგეასი), ტოშერი, ჟულიო სეზარი, კაპეტანოსი, კირიაკიდისი (46. კაფესი), მანდუკა.

**პსჟ:** ლანდრო, მენდი, ტრაორე, შანტომი, სისე, ჰელებიუკი, მულუნბუ, როდრიგესი, სახო (85. დრამი), დიანე (68. ლუინდულა), კალუ.

**გოლები:** 0:1 ტრაორე (45), 0:2 მენდი (86)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 26 120

### ლივორნო (იტალია)-ესპანიოლი (ესპანეთი) 1:2

**ლივორნო:** ამელია, სეზარი (60. პაულინიო), გალანტე, გრანდონი, კუფური, პასკუალე, ფილიპინი, ფიორე (77. პფერტცელი), მორონე (72. კოპოლა), პასონი, ლუკარელი.

**ესპანიოლი:** ირაისოსი, ჩიკა, ხარკე, ლაკრუსი, ველასკო, კორო (88. მოისესი), კოსტა, იტო, მოა (60. რიერა), პანდიანი (76. ლუის გარსია), რუფეტე.

**გოლები:** 0:1 პანდიანი (28-პენ), 0:2 მოა (59), 1:2 გალანტე (82)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 0 (დისკვალიფიკაცია)

### ბენფიკა (პორტუგალია)-დინამო (რუმინეთი) 1:0

**ბენფიკა:** კუიმი, კლებერი, ლეო, ლუიზაო, ნელსონი, კარაგუნისი, კაცურანისი, პეტი (46. მიკოლი), რუი კოშტა (90. კოიმბრა), სიმაო საბროსა, ნუნუ გომეში (75. დერლეი).

**დინამო:** ლობონტი, ბალაჩე, ბლეი, მოტი, პულაჩი (65. ბალტოი/82. სერბანი), რადუ, კრისტეა, მარგარიტესკუ, მუნტეანუ (79. როპოტანი), დანჩულესკუ, ნიკულესკუ.

**გოლი:** 1:0 მიკოლი (90)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 35 000



ნალდოს გააქვს მეორე გოლი აიაქსის კარში

# ჰოკეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### ბოსტონი-ედმონტონი 3:0

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბოჩენსკი-6 (პ. ბერჟერონი-35, სავარი-52), 2:0 შტურმი-16 (პ. ბერჟერონი-36, ბოჩენსკი-1), 3:0 შტურმი-17 (ბოჩენსკი-2, ალბერტსი-9).

### კაროლინა-ლოს ანჯელესი 2:1

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 რეი უიტნი-26 (ბრინდამორი-47, ტანაბე-8), 1:1 ფროლოვი-30 (სოპელი-17, დ. არმსტრონგი-30), 2:1 ს. უოკერი-17 (ვაშიჩეკი-10, ტანაბე-9).

### სენტ ლუისი-სან ხოსე 5:6

1:3, 2:3, 2:0

**გოლები:** 0:1 ქლოუ-13 (ჯ. ტორნტონი-57, ჩიჩუ-20), 0:2 მ. კარლი-6 (ჩიჩუ-21, ჯ. ტორნტონი-58), 1:2 გერინი-23 (ბეკმენი-8, ტკაჩუკი-22), 1:3 გრირი-12 (მარლო-35, მ. მიხალეკი-24), 1:4 ჯ. ტორნტონი-15 (ერჰოფი-16, ჩიჩუ-22), 1:5 მარლო-29 (გრირი-9, მ. მიხალეკი-25), 2:5 გერინი-24 (ჩაიანეკი-21, ჯეკმენი-13), 2:6 ჩიჩუ-21 (ჯ. ტორნტონი-59), 3:6 გერინი-25 (მ. უოკერი-2, ვოიეიტკა-2), 4:6 ტკაჩუკი-19 (დვორაკი-21, მაიერსი-9), 5:6 ბეკმენი-4 (გერინი-19, ჩაიანეკი-22).

### კოლორადო-ანაჰაიმი 2:0

1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰეიდუკი-18 (ბრუნეტი-30, საკიკი-39), 2:0 პ. შჩასტნი-18 (ჰეიდუკი-21, ლეოპოლდი-3).

### ტორონტო-აილენდერსი 2:3 (ბ)

1:0, 1:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კუბინა-5 (კოლაიაკოვო-4, სტინი-13), 1:1 ჰანტერი-15 (სილინჯერი-25, ჰილბერტი-14), 1:2 შატანი-20 (ტამბელინი-5, ვიქ. კოზლოვი-18), 2:2 ბატალია-10 (დევერო-8, კილგერი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსენი (აილენდერსი), სუნდინი (ტორონტო), ვიქ. კოზლოვი (აილენდერსი).

### მონრეალი-ფლორიდა 0:1

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 ბოუმისტერი-9 (ო. იოკინენი-34, ალენი-12).

### ტამპა ბეი-ფინიქსი 5:3

3:2, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-36 (პროსპალი-29, სენტ ლუისი-42), 2:0 სენტ ლუისი-33 (ლეკავალიე-39, პროსპალი-30), 2:1 ზიგომანისი-10 (საპრიკინი-20, ლარაკი-16), 2:2 საპრიკინი-11 (ბალარდი-12, ზიგომანისი-6), 3:2 ლეკავალიე-37 (სენტ ლუისი-43, რეინჯერი-20), 3:3 მორისი-4 (როჩი-8, დოენი-16), 4:3 ბ. რიჩარდსი-20 (ფედოტენკო-14, პროსპალი-31), 5:3 პერენი-9 (ფედოტენკო-15, ბ. რიჩარდსი-29).

### კალგარი-ატლანტა 4:1

3:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ლენგკოუ-23 (ფანოფი-24, ჰუსელიუსი-27), 2:0 იგინლა-25 (კონროი-15, ტანგეი-38), 3:0 ლენგკოუ-24 (ჰუსელიუსი-28, იგინლა-36), 3:1 ჰამელი-5 (დევრისი-17), 4:1 ტანგეი-17 (იგინლა-37, კონროი-16).

# TV სპორტი

## 15 თებერვალი. ხუთშაბათი

### SPORT 1 (უკრაინა)

09:00 მძლეოსნობა.
09:25 ფიტნესი.
09:50 სპორტკლუბი.
10:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 მძლეოსნობა.
11:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ბოლივარი (ბოლ)-ბოკა ხუნიორსი (არგ).
13:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ცსკა-მაკაბი.
15:04 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:34 სპორტკლუბი.
15:56 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ფენერბაჰჩე-ალკმაარი.
17:43 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-არმინია.
19:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დეტროიტი.
22:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:50 სპორტინფორმი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
11:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ბოლივარი (ბოლ)-ბოკა ხუნიორსი (არგ).
01:15 სპორტინფორმი.
01:30 კრივი. ნოკაუტების დრო.
02:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. დუისბურგი-კარლსრუე.
04:05 სპორტდოსიე.
04:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი (LIVE).
07:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### EUROSPORT

11:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. გერმანია.
12:00 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. ჩეხეთი-ავსტრალია. ავსტრია (LIVE).
13:00 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-გერმანია. ავსტრია (LIVE).
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ანტვერპენი. ბელგია.
14:15 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჩეხეთი-გერმანია. ავსტრია (LIVE).
15:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
17:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია.
21:00 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. შვეიცარია-გერმანია. ავსტრია (LIVE).
22:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა (LIVE).
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა.
03:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი.
14:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი.
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა.
19:00 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. ესპანეთი-პოლონეთი. ავსტრია (LIVE).
20:00 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ავსტრალია-იტალია. ავსტრია (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. დირ ველი. აშშ.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი.
22:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
00:15 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. ავსტრია-ესპანეთი. ავსტრია (LIVE).
01:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. ესპანეთი-პოლონეთი. ავსტრია.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისის თასი** | |
| ბოლტონი-არსენალი | 1:1. დ.დ. 1:3 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანტვერპენი-ვაასლანდი | 1:1 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| ლაჰტი-ჰიკ | 1:3 |
| იარო-ტპს | 2:0 |

## კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-ჟუვენტუდი | 81:69 |
| პარტიზანი-ოლიმპიაკოსი | 84:92 |
| რომა-პო ორტეზი | 78:68 |
| **ევროპის თასი** | |
| კალევი-ვირტუსი | 82:85 |
| ხირონა-დიჟონი | 117:83 |

## ჰოკეი

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| სიბირი-ხიმიკი | 3:2 |
| ს. იულაევი-მეტალურგი (მ) | 2:2 |
| ლადა-ტრაქტორი | 5:4 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (ნ) | 6:1 |
| სევერსტალი-ამური | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 2:3 |
| სკა-ვიტიაზი | 2:6 |
| მვდ-კრილია | 2:4 |
| ცსკა-ავანგარდი | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ვსეტინი-კლადნო | 2:6 |
| ტრშინეცი-პლზენი | 2:1 |
| ზნოიმო-ვიტკოვიცე | 3:3 |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 3:2 |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 3:2 |
| ლიბერეცი-ქლენი | 2:2 |
| სლავია-ლიტვინოვი | 3:0 |

## ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მარსელი** | |
| ტ. იოჰანსონი-ბასტლი | 4:6, 7:5, 6:3 |
| დავიდენკო-სიოდერლინგი | 6:3, 4:6, 1:6 |
| ბრაჩიალი-ბიორკმანი | 3:6, 2:6 |
| მაუ-ლუბიჩიჩი | 6:4, 6:4 |
| ფერერი-კლემანი | 6:4, 6:4 |
| ანჩიჩი-სეპი | 0:6, 0:6 |
| ნიემინენი-ჯერემი | 6:7, 7:6, 7:6 |
| ლოდრა-ჰიუიტი | 6:4, 1:6, 4:6 |
| გასკე-ჰერნიჩი | 6:1, 7:5 |
| **ATP. კოსტა დო საუიპე** | |
| ფერერო-როიტმანი | 6:4, 6:4 |
| ალმაგრო-ვისენტე | 6:0, 6:1 |
| მონტანიესი-ანდუხარი | 6:2, 7:6 |
| რამირეს იდალგო-გალვანი | 7:6, 6:3 |
| სარეტა-დი მაურო | 6:1, 6:2 |
| დლუჰი-ანდრეევი | 6:1, 4:6, 7:5 |
| შვანკი-პორტასი | 2:6, 2:6 |
| კანიასი-დანიელი | 6:1, 6:4 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| უდსემა-საფინი | 4:6, 6:7 |
| მარეი-კიმი | 6:3, 6:1 |
| შუტლერი-ლოპესი | 7:6, 6:1 |
| ბეკერი-ვემიჩი | 6:4, 3:6, 6:4 |
| ფიში-გაბაშვილი | 6:3, 6:2 |
| **WTA. ანტვერპენი** | |
| ჩაკვეტაძე-ბრემონი | 4:6, 7:6, 6:2 |
| გოლოვინი-შნიდერი | 6:7, 7:6, 6:2 |
| კლაისტერსი-პუჩკოვა | 6:0, 6:2 |
| ივანოვიჩი-იაკიმოვა | 6:3, 6:2 |
| საფინა-კრაიჩეკი | 6:2, 7:6 |
| **WTA. ბანგალორი** | |
| ჩანი-ჩინკი | 6:1, 5:7, 2:6 |
| სანტანჯელო-სუნი | 6:2, 7:6 |
| კოსტანიჩი-ციბულკოვა | 6:4, 6:1 |
| ტანასუგარნი-შვედოვა | 4:6, 6:3, 4:6 |
| მირზა-სუხა | 6:4, 4:6, 6:3 |

# ჩემპიონი, რომელმაც ყველაფერი დაკარგა

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 35*

## ისტორია პირველი: ოქროს ბიჭები

გულშემატკივრები **ბიორნ ბორგს** აულელვებელ ვიკინგს ადარებდნენ. თუმცა ბევრმა არ იცოდა, რომ ამ იმიჯის უკან, უკიდურესად ვნებიანი და სექსის მოყვარული ფლეიბოი იმალებოდა, ჩოგბურთელი, რომელსაც ემოციური განმუხტვისთვის, მუდმივად ქალები ესაჭიროებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ ჩემპიონს ფლირტისათვის დრო არ ჰქონდა, მისთვის მეგობარი ქალების შერჩევის საპატიო მისია ბორგის საუკეთესო მეგობარმა **კრისტოფერ გუსტაფსონმა** იკისრა.

ბორგმა და გუსტაფსონმა საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში გაიცნეს ერთმანეთი, როცა ხმაურიანი ქეიფის შემდეგ, მეორე დილას, ვილაც უცნობ გოგონებთან ერთად ერთ საწოლში გაიღვიძეს. ამის გამო განცდილი მცირე შოკი მათ ადვილად გადაიტანეს და ძალიან მალე დამეგობრდნენ კიდეც. აქედან მოყოლებული, კრისი ბორგის ნებისმიერი სასიყვარულო თავგადასავლის დროს, ჩოგბურთელის კომპანიონი გახდა. ყოველთვის, სტოკჰოლმში დაბრუნებული ბორგი, პირველ რიგში არა მშობლებს, არამედ გუსტაფსონს ურეკავდა. *"სალამი ძველო გარყვნილო!* - ჩვეულებრივ ასე ესალმებოდა მეგობარს. - *"მზად ხარ, დღეს საღამოს სრული პროგრამით გავერთოთ?"* და არ ყოფილა შემთხვევა, რომ კრისტოფერს უარი ეთქვას მსგავს შემოთავაზებაზე.

ისინი ერთად "ხსნიდნენ" გოგონებს დისკოთეკებიდან, მათთან ერთად ატარებდნენ დროს სტოკჰოლმის გარეუბანში მდებაზე უზარმაზარ სახლში, რომელიც კრისმა მილიონერი ბაბუისგან მემკვიდრეობით მიიღო. ბორგის აზრით, გუსტაფსონი იდეალური მეგობარი იყო - ის არასდროს თხოულობდა ფულს, არ იყენებდა ჩოგბურთელის სახელს პირადი მიზნებისთვის და არასდროს აწუხებდა ბიორნს მსგავსი იდიოტური თხოვნებით: *"მასწავლე სწორად მოწოდება!"* კრისს ცხოვრებაში ხელში ჩოგანი არ აულია და ამით ამაყობდა კიდეც. სამაგიეროდ, გუსტაფსონი შეუდარებელი იყო მხიარულ კომპანიებში, სადაც გაუთავებლად ჰყვებოდა ანეკდოტებს, ერთმანეთის მიყოლებით ცლიდა ლუდის ბოთლებს და არც თავის მრავალრიცხოვან მეგობარ გოგონებს ივიწყებდა. ზუსტად ვიცი, რომ ბორგის უამრავ კოლეგას ძალიან შურდა შვედი ჩოგბურთელის - მას ისეთი მეგობარი ჰყავდა, რომელთან ერთადაც უპრობლემოდ ივიწყებდა პროფესიული ჩოგბურთის ყოველდღიურ ცხოვრებას. კრისტოფერის გვერდით, ბორგს შეეძლო თავისუფლად მოეხსნა "ცივი, უემოციო ჩემპიონის" ნილაბი და გამოეჩინა თავისი ნამდვილი სახე - ფლეიბოი, რომელიც 30 მეტრის რადიუსში არცერთ ქალს არ ტოვებს უყურადღებოდ.

დიახ, ბორგისა და გუსტაფსონის მეგობრობა გოგონებზე ნადირობით გამოიხატებოდა. *"მე და ბიორნი მხოლოდ სექსზე ვფიქრობდით და იმ დღეს გაცდენილად ვთვლიდით, თუ მხოლოდ ორი პაემნით შემოვიფარგლებოდით!"* - იხსენებდა მოგვიანებით გუსტაფსონი. კრისი კარგად იყენებდა თავის კავშირებს შოუბიზნესში (გუსტაფსონი შვედეთის ერთ-ერთი მსხვილი ხმისჩამწერი კომპანიის მენეჯერი გახლდათ) და არ გამოეპარებოდა პრაქტიკულად არც ერთი მეტ-ნაკლებად სიმპათიური გოგო მთელი სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. ხოლო შემდეგ, როცა ის მობეზრდებოდა, ამაყად გადაულოცავდა ხოლმე ბორგს.

ეს "ოქროს ბიჭები" არა მხოლოდ წარმატებული, არამედ პატივმოყვარე მონადირეებიც იყვნენ. იმ წლებში მათი ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, საწოლში რომელიმე ტოპმოდელის ან პოპმომღერლის შეტყუება. ABBA-ს ორივე სოლისტი, **ოლივია ნიუტონ-ჯონი, ლაიზა მინელი** და სხვა სახელგანთქმული ქალების მთელი ჯგუფი ჩვენი გმირების ხელში არიან გამოვლილები. "ოქროს ბიჭებს" სპეციალურად ვარსკვლავებისთვის ჰქონდათ დაბევებული სტოკჰოლმის სასტუმროების - "შერატონისა" და "გრანდ ოტელის" ძვირფასი ნომრები.

საზღვარგარეთ დიდხანს ყოფნისას, ბორგს ძალიან ენატრებოდა თავისი მეგობარი-კომპანიონი. მის გარეშე ის ძალიან მოწყენილი იყო ხოლმე. ერთხელ, თუ არ ვცდები 1975 წელს, აშშ-ს ღია პირველობის მსვლელობისას, ბიორნმა ვეღარ მოითმინა და ნიუ იორკში გამოიძახა გუსტაფსონი. როცა რამდენიმე დღის შემდეგ, ბორგმა თავისი მეგობარი სასტუმროში დაინახა, სიხარულით კინაღამ ჭკუიდან გადავიდა. იმავე საღამოს მეგობრებმა ბორგის მწვრთნელი **ლანერტ ბერგელინი** შეიამხანაგეს და სახელგანთქმულ "სტუდია54-ში" (70-იან წლებში დისკო-მუსიკის მსოფლიო ცენტრი) გაემართნენ, რომელიც ბროდვეისა და 54-ე ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობდა. ვერ მოასწრეს "დისკოს დედოფლის" ("სტუდია 54-ის" საუკეთესო მოცეკვავის როლი ამავე სახელწოდების ფილმში **სალმა ჰაიეკმა** განასახიერა - რედ.) ცეკვებით ტკბობა, რომ მათ მაგიდას **მიკ ჯაგერი** მიუჯდა, რომელმაც რატომღაც ჩოგბურთელისგან რჩევების მიღება მოინდომა - ცნობილ მომღერალს აინტერესებდა, რა მიზეზით სტკიოდა ბოლო დროს კონცერტებისას ფეხის კუნთები. ბორგს იმ საღამოს ჩოგბურთზე საუბარი საერთოდ არ სურდა, ამიტომ ჯაგერი თავის მწვრთნელს გადაულოცა. *"მე თქვენ გაგსინჯავთ! იმედია, აქ მოიძებნება თავისუფალი ოთახი"* - შესთავაზა ჯაგერს ლენარდმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ამ ხმაურიან დარბაზს გასცლოდა. ისინი ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდნენ. ბერგელინი გაოგნებული ჩანდა იმით, რაც "სტუდიის" კულისებში იხილა: *"ღმერთო ჩემო, ეს სად მოვხვდი? კლუბი კი არა, ნამდვილი ნარკოპრიტონია! აქ ყოველ კუთხეში ან მირიხუანას ეწევიან, ან სექსით არიან დაკავებულნი"*.

უფასო მასაჟისა და კონსულტაციის სანაცვლოდ, "როლინგ სტოუნზის" ლიდერმა შვედების ტრიო "სტუდიასთან" ახლოს მდებარე პენტჰაუზში დაპატიჟა, სადაც "სრული პროგრამით" შეიძლებოდა გართობა. ოთხ მამაკაცს კომპანიას უწევდა ათობით გრძელფეხება მომხიბვლელი მანეკენი, რომელთა გონებრივი კოეფიციენტი ნულს უტოლდებოდა. იმ საღამოს ბორგმა ოთხ ლამაზმანთან მოასწრო დროის გატარება, რითაც ძალიან ამაყობდა თავის მეგობრებში ("მე სამოთხეში ვიყავი!"), მაგრამ ჩოგბურთელზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა "მეოთხე ნომერმა" - ქერათმიანმა გოგონამ ტეხასიდან, უდიდესი მკერდითა და ბოხი ხმით. მოგვიანებით, **ჯერი ჰოლი** (ასე ერქვა იმ ქერათმიანს) მიკ ჯაგერის ოფიციალური საყვარელი გახდა.

თუმცა მეორე წელს ბორგის მშფოთვარე ცხოვრების ტემპმა მკვეთრად იკლო. მისი მეგობრების და პირველ რიგში, კრისტოფერის გასაკვირად, ჩოგბურთელი შეყვარებული გახლდათ. თანაც, არა რომელიმე კინოვარსკვლავზე ან მანეკენზე. არა, 1976 წლის გაზაფხულზე ბორგმა სულ ნორჩი ჩოგბურთელი **მარიანა სიმონესკუ** შეიყვარა, გოგონა, რომელიც განსაკუთრებული სილამაზით არ გამოირჩეოდა და თან, კომუნისტური ბანაკის ყველაზე ოდიოზური ქვეყნის, რუმინეთის წარმომადგენელი გახლდათ. როცა ბორგს ვკითხე, მეგობარი ქალების ამხელა სიიდან (რომელშიც შედიოდა ოთხი კინოვარსკვლავი, შვიდი პოპულარული მომღერალი, 12 მანეკენი და ორი ჩოგბურთელი), რაღა მაინც და მაინც ყველაზე შეუხედავი აირჩიე-მეთქი, იცით რა მიპასუხა: *"ეჰ, ბებერო, ნეტავ იცოდე როგორ დავიღალე ამ სექსბომბებისგან! გადავწყვიტე ცოტა დავისვენო და მშვიდად ვიცხოვრო"*.

შვედი ფლეიბოისა და კომუნისტების ქალიშვილის სიყვარული პარიზში, "როლან გაროსის" (1976) ტურნირის დროს ჩაისახა. იმ წელს ბორგმა მეოთხედფინალამდე მიაღწია, რაც წინა ორი ჩემპიონატის მოგების ფონზე, აშკარა ჩავარდნად მოინათლა. სიმონესკუმ უფრო წარმატებით ითამაშა და იუნიორთა ტურნირზე ფინალამდე მიაღწია. იმ დროს სპეციალისტები 18 წლის მარიანას დიდი მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ის, ალბათ, ჩემპიონიც გახდებოდა, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ბორგს რომ არ შეხვედროდა...

მარიანას შვედი პირველივე ნახვით შეუყვარდა და როცა ბორგმა მას თავის სასტუმრო ნომერში პაემანი დაუნიშნა, დაუფიქრებლად მიიღო წინადადება. მეორე დღეს ბიორნი გაკვირვებას ვერ მალავდა: *"წარმოგიდგენია, ის ქალიშვილი იყო. 18 წლამდე შეინახა ქალიშვილობა - ასეთი რამ მხოლოდ რუმინეთშია შესაძლებელი!"* - მიზიარებდა შთაბეჭდილებებს ბორგი.



მარიანა სიმონესკუ განსაკუთრებული სილამაზით არ გამოირჩეოდა

ბიორნმა სულ მთლად დაკარგა თავი ამ "ბოშა ქალისგან" (ეს მეტსახელი მარიანას ბორგის დედამ - **მარგარეტმა** მოუძებნა, რომელმაც თავიდანვე შეიზიზღა შვილის ახალი შეყვარებული) და ნაცნობობის ხუთი კვირის თავზე, მას ცოლობა სთხოვა. მე, კრისტოფერმა და დედამისმა ძლივს გადავაფიქრებინეთ ბორგს ამ ნაჩქარევი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ბოლომდე მისი დარწმუნება ვერ მოვახერხეთ. ოთხი წლის შემდეგ, მან მაინც იქორწინა მარიანაზე, თანაც ბუქარესტში, "კარპატების მეფის" **ჩაუშესკუს** წყალობითა და ყოვლისშემძლე საიდუმლო პოლიციის "სეკურიტატეს" მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

მათი თანაცხოვრება ქორწილამდე გაცილებით ადრე დაიწყო, თუმცა მათ ურთიერთობას ბედნიერს ძნელად თუ უწოდებდი. მარიანამ ბორგთან შეხვედრის შემდეგ უარი თქვა კარიერაზე და ეგონა, რომ მისი გულისსწორი, სათანადოდ შეაფასებდა ამ მსხვერპლს. მაგრამ ბორგი არ იყო ბრწყინვალე რაინდი, როგორც ეს რუმინელს წარმოედგინა. იმ დროსაც კი, როცა მათი რომანი პიკს აღწევდა, ბორგი არ ივიწყებდა ძველ მეგობარ გოგონებს და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობდა გაემრავალფეროვნებინა თავისი სექსუალური ცხოვრება. მარიანა ინფორმირებული იყო ბორგის თავგადასავლების შესახებ, მით უმეტეს, რომ ჩემპიონი არც მალავდა თავის მისწრაფებებს. იმისათვის, რომ თავისი ბოიფრენდი დაეშოშმინებინა, მარიანა დასახმარებლად მარგარეტ ბორგს მიმართავდა ხოლმე, მაგრამ ბიორნის დედა ყოველთვის უარით ისტუმრებდა მას. ერთხელ მან პირდაპირ განუცხადა თავის მომავალ რძალს: *"თუ ჩემი შვილი სხვაგან ცდილობს გართობას, გამოდის, რომ როგორც ქალი, შენ აღარ მოსწონხარ!"* ჯობდა მარგარეტს საერთოდ არ ამოეღო ხმა! ამ საუბრის შემდეგ, მარიანას საქმეები უკუღმა წავიდა. 23 წლის გოგონას თირკმელებთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და ცოტა ხანში, მას მთელი რიგი ავადმყოფობები დაემატა. პირველად ბორგის მეუღლის დაავადებების შესახებ, ბრიტანული ბულვარული პრესის წარმომადგენლებმა შეიტყვეს. 1981 წლის გაზაფხულზე, ლონდონის Daily Express-მა პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაწერა: *"ბორგის ცოლი კიბოთია დაავადებული. მისი დღეები დათვლილია"*. მართალია, ყველაფერი ეს ტყუილი აღმოჩნდა, მაგრამ მსგავსი პუბლიკაციები დიდად ვნებდნენ ისედაც გაუბედურებულ მარიანას.

ბევრი არაფერი შეცვლილა ბორგების ოჯახის სტოკჰოლმიდან მონაკოში გადაბარგებით. "საგადასახადო სამოთხეში" ცხოვრებამ ბიორნსა და მარიანას ბედნიერება მაინც ვერ მოუტანა. გოგონას სულ უფრო ხშირად უწევდა ოთხმეტრიანი სიგანის საწოლზე ღამეების მარტო გატარება. ამ დროს კი, ბორგი თავის იახტაზე მორიგი შეყვარებულის მკლავებში ხვდებოდა დილას. მარიანას ბორგის შენარჩუნების ერთადერთი შანსი დარჩა - შვილი გაეჩინა. მაგრამ არც აქ გაუმართლა: 1983 წელს ექიმებმა გამოიკვლიეს და დაასკვნეს, რომ მისის ბორგი უნაყოფო იყო. ამ ვერდიქტის შემდეგ, ბიორნმა ჩათვალა, რომ ფარსის გაგრძელება აღარ ღირდა და თავისი ადვოკატების საშუალებით მეუღლეს განქორწინების პროცესის დაწყება ამცნო. 1984 წლის აპრილში ისინი გაიყარნენ, თანაც ბორგის საბანკო ანგარიში დიდად არ დაზარალებულა. რვა წლიანი "მონობის" სანაცვლოდ, მარიანამ სულ რაღაც 700 ათასი დოლარი და ზღვის პირას მოკრძალებული სახლი მიიღო. ბორგი თავისუფალი იყო და შეეძლო თავის საყვარელ საქმიანობას - გრძელფეხება მანეკენებზე ნადირობას დაბრუნებოდა.

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში)*

**ელენე თვალაბეიშვილი**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბიძი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უზულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი: მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახალგაზრდობის 10ა, 0159 თბილისი
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge, gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა